სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 11 ივლისი 2000 №130 (1152) | ფასი 50 თეთრი

ავთანდილ სვანიძე

ლონდონიდან

ჩემპიონის ცრემლი

ამოდის, შავდება

ფინალი. კაცები: პიტ სამპრასი (1, აშშ) — პატრიკ რაფტერი (12, ავსტრალია) 6:7 (10:12), 7:6 (7:5), 6:4, 6:2

კვირას, ლონდონის დროით 8 საათსა და 57 წუთზე, პიტ სამპრასმა საბოლოოდ დაიმკვიდრა ისტორიაში ყველაზე წარმატებული ჩოგბურთელის სახელი და ეს მილიონობით ტელემაყურებლისა და უიმბლდონის ცენტრალურ კორტზე შეკრებილი 14 ათასი განცვიფრებული ადამიანის თვალწინ ცხარე ცრემლის ფრქვევით აღნიშნა.

უჩვეულო იყო ჩემპიონის ჩაწითლებული თვალებისა და ქვითინის ხილვა. პისტოლ პიტის მიღწევა მართლაც არაჩვეულებრივი გახლდათ: მან როი ემერსონის 30 წლის წინანდელი რეკორდი გააუმჯობესა დიდი სლემის ტურნირების მეცამეტე ტიტულის მოგებით, „ოლ ინგლენდ კლაბში“ მეშვიდედ გახდა ჩემპიონი და ამ მაჩვენებლით ლეგენდარულ უილიამ რენშოუსაც დაეწია. ეს მაშინ, როცა მეორე წრიდან მოყოლებული კოჭის ტრავმა აწუხებდა.



REUTERS ლონდონიდან

პიტ სამპრასი მეშვიდედ ატირდა

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

ვინუს უილიამსის პირველი დიდი სიხარული

სიკვდილის წვიმა ჰარარეში

ჰარარეს ეროვნულ სტადიონზე, ზიმბაბვესა და სამხრეთ აფრიკის ნაკრებთა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის დამთავრებას რვა წუთი უკლდა, როცა სტუმრები 0:2 დაწინაურდნენ. დაწინაურდნენ და არეულობაც დაიწყო: მოედანზე ქვებისა და შუშა-პლასტმასის წვიმა წამოვიდა. გოლის ავტორს ქვით თავი გაუტეხეს. მერე კი უარესიც მოხდა: პოლიცია საქმეში აქტიურად ჩაერია და იქაურობა ქაოსმა მოიცვა. უამრავი ადამიანი დაშავდა, მათგან ცამეტს კი საავადმყოფოშიც ვერაფერი უშველეს...

მერე ხელჩართულმა ბრძოლამ ქალაქის ქუჩებში გადაინაცვლა. ათეულობით მანქანა და მაღაზიის ვიტრინა დაიმსხვრა...

ამბობენ, ჰარარეს ამბავი პოლიტიკასთან წილნაყარიაო, მაგრამ, განა ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს?..



REUTERS ჰარარედან

ზიმბაბველთა და სამხრეთაფრიკელთა მატჩის სარბიელი ბრძოლის ველს დაემსგავსა

იხილეთ მეხუთე გვერდი

აკაკი დევაძე მეტალურგელი გახდა მერანი ისევ ძიებაშია

ბადრი კეთილაძის ფოტო

საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილმა მეკარემ აკაკი დევაძემ ამ დღეებში უკრაინას მიაშურა და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა მომავალ სეზონს ზაპოროჟიეს „მეტალურგში“ გაატარებს. ასე რომ, უკრაინაში მოთამაშე ქართველ ლეგიონერთა რიცხვი კიდევ ერთით გაიზარდა.

არ არის გამორიცხული, უკრაინის ახალი ჩემპიონატის დაწყებამდე ანუ 12 ივლისამდე მათ მიხეილ ფოცხვერიაც შეუერთდესო, გვითხრა გუშინ თბილისის „მერანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ანზორ მამალაძემ.

როგორც იცით, დევაძე ბოლოს ისრაელში, იქაური უმაღლესი დივიზიონის კლუბ ირონის „აშდოდში“ თამაშობდა, თუმც მერე კონტრაქტი დაუსრულდა და საქართველოში დაბრუნდა. აქ ჩამოსულს „მერანი“ შეეხმიანა და შეთანხმების შემდეგ კონტრაქტიც გაუფორმა, თუმცა კაკოს ერთი მატჩიც არ ჩაუტარებია ავჭალელთა გუნდში. ისედაც იოლას გავდივართ, დევაძის დახმარება ამჟამად არ გვჭირდებაო, ასე ხსნიდნენ კლუბის ხელმძღვანელები თავიანთ გადაწყვეტილებას.

მომავალი სეზონისთვის მზადებას 1995 წლის საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი ახლახან თბილისის „მერანთან“ ერთად შეუდგა, გუნდს ლაგოდეხშიც უნდა გაჰყოლოდა შეკრებაზე, თუმც ცოტა ხნის წინ უკრაინიდან „მერანის“ მენეჯერი ვოვა ჩერქეზოვი შეხმიანებია, სასწრაფოდ ჩამოდიო. დევაძეს გუშინწინ „მეტალურგის“ შემადგენლობაში საკონტროლო მატჩიც უთამაშია.

კაკოს გამეტალურგება ფაქტობრივად გადაწყვეტილი ამბავიაო, შემოუთვლია ჩერქეზოვს ავჭალელთათვის.

რაც შეეხება მიხეილ ფოცხვერიას, მისი მომავალი კლუბის ვინაობა დღეს-ხვალ უნდა გაირკვეს.

აქვე ბარემ „მერანზეც“ გეტყვით. მოგეხსენებათ, „სინათლის“ ბინადარნი 10 ივლისიდან ლაგოდეხში აპირებდნენ შეკრების მოწყობას, თუმც წასლვის ვადამ რამდენიმე დღით გადაიწია.

„ამჟამად კლუბში ბევრი ფეხბურთელი ვარჯიშობს, ბუნებრივია, შეკრებაზე ყველას ვერ წავიყვანთ. ერთი-ორი დღე ავჭალაში ვივარჯიშებთ. გუნდის მთავარი მწვრთნელი სერგო გაბელაია თითოეულს გულდასმით დააკვირდება, წამსვლელ-მომსვლელთა ვინაობასაც დადგენს და ლაგოდეხშიც წავალთ. არ გვინდა სელექციაში შევცდეთ“ — განუცხადა „სარბიელს“ გუშინ ანზორ მამალაძემ.

დღეს ან ხვალ „მერანი“ ორშხრივ მატჩს ითამაშებს. საბოლოო შემადგენლობაც, წესით და რიგით, ამის შემდეგ უნდა დადგინდეს.

ვანო ოქროპირიძე

ლოკომოტივს კახეთი ურჩევნია

საქართველოს თასის მფლობელი თბილისის „ლოკომტივი“ ამ კვირადღეს ლაგოდეხში გაემგზავრება ორკვირიან შეკრებაზე. იქამდე კი რკინიგზელები დიმღის თავიანთ საწვრთნელ ბაზაზე ვარჯიშობენ და უეფას თასზე ბრატისლავის „სლოვანთან“ სამომავლო მატჩებისთვის გათკეცებულ ენერგიით ემზადებიან.

როგორც გუნდის მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა გვითხრა, შემადგენლობაში მაინცდამაინც ბევრი ცვლილება არ არის მოსალოდნელი, „სლოვანამდე“ სამი-ოთხი ფეხბურთელი დავიმატოთო. ძოძუაშვილს არც უცხოური შეკრებისკენ მიუწევს გული — ლაგოდეხში მრავლად იქნებიან ქართული გუნდები და მათთან გვიჯობს ამხანაგურად გაჯიბრება, თანაც ეს პრობლემა არ იქნება, უარს არავინ გვეტყვის უცხოეთში კი შესაძლოა ცოტა გაგვიჭირდეს სპარინგ-პარტნიორების მოძებნა — განგვიცხადა ძოძუაშვილმა.

„ლოკომოტივის“ ვიცე-პრეზიდენტ ტარიელ ღვაბერიძის თქმით კი, გუნდის ფინანსური საქმეები ნორმალურადაა, ყველაფერი გასტუმრებულია, ხელმძღვანელობას თეორიც არავისი მართებს. ბოლო ხანს რკინიგზის დეპარტამენტში მოსაქმე კონტროლის პალატასაც მათთდამი სასაყვედურო და საქმის გასარჩევი არაფერი ჰქონია.

გუნდიდან წამსვლელთა რიცხვი რამდენიმე დღის წინ ორი ფეხბურთელითაც გაიზარდა — დავით გოდერძიშვილმა და როინ ონიანმა სხვა კლუბებს მიაშურეს.

კოტა ინასარიძე

მეზობლებმა ჩივაძეს პონომარიოვი არჩიეს

„ნუ გაიკვირვებთ, თუ საქართველოს ეროვნული გუნდის ყოფილი მწვრთნელი, ამჟამად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე აზერბაიჯანის ნაკრების თავკაცად დაინიშნა.

ჩივაძის სამეზობლოში წასვლა საბოლოოდ უკვე გადაწყვეტილია. როგორც შევიტყვეთ, საქმის კურსში საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებიც არიან“ — ვიუწყებოდით 23 ივნისის „სარბიელში“.

აზერბაიჯანული ფეხბურთის მამებმა ჩვენებურ მწვრთნელს ეროვნული გუნდის მესაჭეობა ჯერ კიდევ ორი თვის წინ შესთავაზეს, არც, ერთ დროს თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანი იყო წინააღმდეგი.

თითქოს ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ ჩივაძე რევაზ ძოძუაშვილისა და ელგუჯა გუგუშვილის შემდეგ მესამე ქართველი სპეციალისტი გახდებოდა, ვინც უცხო ქვეყნის ნაკრებს ჩაიბარებდა, მაგრამ...

ბადრი კეთილაძის ფოტო

სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე

რამდენიმე დღის წინ აზერბაიჯანის ნაკრების თავკაცად წარსულში ცნობილი ფეხბურთელი იგორ პონომარიოვი დაინიშნა, რომელიც ბოლო წლებში შვედეთში მოღვაწეობდა, სადაც ჯერ „ნორჩეპინგის“ ბავშვთა გუნდს წვრთნიდა, მერე საფეხბურთო კლუბ „ბიერკვიკს“ ედგა სათავეში, ბოლო ხანს კი „რეიმეშჰოლდის“ მთავარი მწვრთნელი გახლდათ. 40 წლის პონომარიოვი აზერბაიჯანში დაბადებულ-გაზრდილია. საფეხბურთო კარიერაც აქ დაიწყო. 1977-1988 წლებში ბაქოს „ნეფთჩის“ ღირსებას იცავდა. 1989 წლიდან კი შვედეთის „ნორჩეპინგში“ თამაშობდა.

პონომარიოვი აზერბაიჯანული ფეხბურთის ისტორიას ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშის სახელით შემორჩა.

ალბათ, იმასაც იკითხავთ, სამთავრობო დონეზე მისული საქმე რატომ ჩაიშალა და ნაკრების მწვრთნელად ჩივაძე არ დაინიშნაო. გუშინ ბატონ ალექსანდრესთან დაკავშირება ვცადეთ, თუმცა ვერ მოვახერხეთ, ოჯახის წევრის თქმით კი აზერბაიჯანის ეროვნული გუნდის თავკაცობაზე უარი თავად ჩივაძეს უთქვამს.

შეგახსენებთ, ცოტა ხნის წინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის თბილისის „დინამოს“ სათავეში მისვლის შესახებაც საუბრობდნენ, თუმცა არც ეს მოლოდინი გამართლდა.

ვანო ოქროპირიძე

ეჰ, დინამო...

ფიფას 7 ივლისის გადაწყვეტილებამ უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო თბილისის „დინამო“. როგორც შაბათის „სარბიელში“ გაცნობეთ, ჩვენი ქვეყნის ათგზის ჩემპიონს ფეხბურთის მმართველმა ორგანომ ნებისმიერი ტრანსფერის განხორციელების უფლება შეუჩერა. ეს იმას ნიშნავს, რომ „დინამო“ ვერც ერთ ფეხბურთელს ვერ გაყიდის და ვერავის იყიდის (ისე, ფულიც არაა საყიდელი) უცხოური და ქართული კლუბებიდან. გარდა ამისა იმის უფლებაც არა აქვს, თავისი სკოლის გაზრდილი ახალგაზრდა ფეხბურთელი შეიმატოს. ფიფამ კატეგორიულად მოსთხოვა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, თავისი მიღებული დირექტივის კონტროლი.

„დინამომ“ 30 ივნისამდე — ფიფას მიერ დათქმულ ვადაში ვერ შეძლო „მრეტებისთვის“ 150 000 დოლარის გადახდა და ამიტომაც დაისაჯა. თუმცა ამით არაფერი დამთავრებულა. „დინამოს“ ბედი ფიფას სადისციპლინო ტექნიკურ სხდომაზეა დამოკიდებული. სფფ-ში ბევრი ფიქრობს, რომ ფიფას სტკ-ს გადაწყვეტილება 7 ივლისის ვერდიქტზე მკაცრი იქნება. ყველაზე კარგ ვარიანტში, ალბათ, პირველ ლიგაში დააქვეითებენ ათგზის ჩემპიონსო — არცთუ უსაფუძვლოდ ვარაუდობენ ფედერაციაში.

ფიფას სადისციპლინო ტექნიკური კომიტეტის მორიგი სხდომის ვადა ივლისის ბოლოს გაირკვევა.

პაატა კვანტალიანი

უეფამ გადაწყვიტა: პეტრიაშვილს რუსული ტურნე, მილჩენკოს — სიხარული

დღეს მოსკოვს გაემგზავრა სფფ-ს საერთაშორისო კომიტეტის თავკაცი დავით პეტრიაშვილი. იგი რუსეთის დედაქალაქში მოსკოვის „სპარტაკის“ ხელმძღვანელებს შეხვდება. ვიზიტის მიზანი კლუბის ხელმძღვანელებთან გასაუბრება და მათთვის გარკვეული ინსტრუქტაჟის ჩატარებაა. უეფას გადაწყვეტილებით, დავით პეტრიაშვილი ჩემპიონთა ლიგის მომავალ გათამაშებაში „სპარტაკის“ (ეს გუნდი უკვე ავტომატურად ქვეჯგუფშია მოხვედრილი) საშინაო მატჩებს უდირექტორებს. სპარტაკელებთან გასაუბრების შემდეგ პეტრიაშვილი სანკტ პეტერბურგში გადაინაცვლებს. უეფასვე გადაწყვეტილებით, სფფ-ს საერთაშორისო კომიტეტის თავკაცი „ზენიტი“ — „ტატაბანიას“ მატში (ინტერტოტოს თასის მესამე ეტაპის შეხვედრა) ინსპექტორადაა დანიშნული. ამავე ფუნქციას შეასრულებს ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის ერთ-ერთ შეხვედრაში სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავკაცი ანატოლი მილჩენკო. იგი 12 ივლისს ლენინაკანში ჩავა და სომხური „გიუმსისა“ და ბელარუსის „ბატე-ბორისოვის“ მატჩს მოემსახურება. მილჩენკომ ახლახან დაასრულა მუშაობა სპეციფიკურ საფეხბურთო წიგნზე და ჩინებულ ხასიათზე დაგვხვდა გუშინ ფედერაციაში — მოხარული ვარ, რომ უეფამ ესოდენ დიდი პატივი დამდო, პირველად მიწევს ჩემპიონთა ლიგის ეგიდით გასამართი მატჩის ინსპექტორობა, იმედია, თავს არ შევირცხვენო, გვითხრა მსაჯ-ინსპექტორთა კომიტეტის თავკაცმა.

პაატა კვანტალიანი

მოსკოვში ფიფას კურსებზე

ცოტა ხნის წინ სფფ-ს ორკაციანი დელეგაცია (პრეზიდენტ მერაბ ჟორდანია და გენერალური მდივანი, ვალერი ჩოლარია) ევროპული ტურნედან დაბრუნდა. ფედერაციის ხელმძღვანელები ჯერ ლუქსემბურგში უეფას კონგრესს დაესწრნენ, შემდეგ როტერდამში გადაინაცვლეს ევრო 2000-ის დასკვნითი მატჩის სანახავად, რამდენიმე დღის შემდეგ კი ციურიხში გამართული ფიფას კონგრესის მუშაობაში მიიღეს მონაწილეობა. ჟორდანია და ჩოლარია თბილისში გერმანიის გავლით ჩამოვიდნენ. ქართველი საფეხბურთო ჩინოსნები იქაურ პარტნიორებთან კონფიდენციალურ შეხვედრაზე იმყოფებოდნენ.

16 ივლისს კი სფფ მორიგ წარგზავნილებს ასტუმრებს უცხოეთს. 17-იდან 22 ივლისამდე მოსკოვი ფიფას სპეციფიკურ კურსებს უმასპინძლებს. ლექციასემინარი ჩატარდება ოთხ თემაზე, ესენია: ადმინისტარციული, სპორტული, მედიცინის, მსაჯობის და მწვრთნელობის საკითხები. ამჯერად სფფ-ს დელეგაცია უფრო წარმომადგენლობითი იქნება. მოსკოვში ფედერაციის ცენტრალური მდივანი ვალერი ჩოლარია, საშეჯიბრო კომიტეტის თავკაცი გია ფირცხალავა, საერთაშორისო კომიტეტის ხელმძღვანელი დავით პეტრიაშვილი და მსაჯ-ინსპექტორთა კომიტეტის შეფი ანტატოლი მილჩენკო გაემგზავრებიან. მათთან ერთად იქნებიან ეროვნული ნაკრების ექიმები — დიმიტრი ზაალიშვილი, ზურაბ ლომინაძე და დავით იოსელიანი, მსაჯები — კახაბერ მესხი ზურაბ ანაიშვილი და ლაშა სილაგავა. ქართველი მწვრთნელებიდან ფიფას ინსტრუქტორთა ლექცია-სემინარებს შოთა ჭეიშვილი, ზაურ სვანაძე, თენგიზ სულაქველიძე და კობა ჟორჟიკაშვილი მოისმენენ.

პაატა კვანტალიანი

შეხვედრა მესამე

ახალგაზრდული ნაკრები ინგლისს მიდლსბროში ესტუმრება

საქართველოს ახალგაზდრულ ნაკრებს 31 აგვისტოს დიდი გამოცდა ელის. ხუმრობა ხომ არაა, ჩვენი ქვეყნის რანგით მეორე ნაკრები ინგლისელ თანატოლებს ამხანაგურად გაეჯიბრებიან. სფფ-ში ორიოდე დღის წინ მოსული ფაქსის თანახმად, შეხვედრის ადგილიც გაცხადდა. მწვრთნელები საამატჩოდ ამთავითვე ემზადებიან. მურთაზ ხურცილავას უძლიერესი შემადგენლობით სურს ინგლისს ჩასვლა. იგი შეხვედრამდე ერთი კვირით ადრე გუნდის შეკრებასაც გეგმავს, მაგრამ ეს, ბუნებრივია, ფინანსებზეა დამოკიდებული. ახალგაზრდული ნაკრები მიდლსბროში 29 აგვისტოს გაემგზავრება. ხურცილავას ხელში გუნდი ჯერ არ დამარცხებულა, საკითხავი მხოლოდ ის არის, გაგრძელდება კი ეს სასიამოვნო ტრადიცია ინგლისთან მატჩის შემდეგაც?

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს ინგლისელ თანატოლებთან ორჯერ უთამაშია. ეს იყო მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის შეხვედრები მაშინ ვლადიმერ გუცაევის გაწვრთნილი ქართველი ახალგაზრდები ბათუმში მინიმალური სხვაობით (0:1) დამარცხდნენ, მოდმევნო მატჩი ჩარლტონში კი ფრედ 0:0 დასრულდა.

პაატა კვანტალიანი

დღეიდან: ორი ვიტ ჯორჯია

შეკრება გერმანიაში, რვა საკონტროლო მატჩი იქაურ კლუბებთან. ყოველგვარი კომფორტი და პირობა ნაყოფიერი მომზადებისთვის.

დაგვეთანხმებით, მსგავსი ტურნე ძალიან ძვირი სიამოვნებაა ქართული კლუბისთვის, მაგრამ ორგანი ზაციულად და ფინანსურად სრულყოფილ (ჩვენს პირობებში) „ვიტ ჯორჯიას“ ამგვარი პრობლემები არ აშინებს.

14 ივლისიდან ვეტერინარები წინასასე ზონო მზადების მეორე ეტაპს იწყებენ. მანამდე კი კლუბის რამდენიმე სიახლე ზე მოგითხრობთ.

„ვიტ ჯორჯია“ მოთელვას ამთავრებს, მალე ვარჯიში დაიწყება...

ბადრი კბილაძის ფოტო

ევროპისკენ ევროპული სამოსით

„ვიტ ჯორჯიას“ სპორტული სამოსით ცნობილი ესპანური ფირმა „კელმე“ ამარაგებს. დაახლოებით ერთი წლის წინ გაფორმებული კონტრაქტი წლეულს გამყარდა და გახანგრძლივდა. ორივე მხარე პირნათლად იცავს ნაკისრ ვალდებულებებს — „კელმე“ პუნქტუალურია, ხოლო „ვიტ ჯორჯია“ სხვა სპორტულ ატრიბუტიკასაც არ იკარებს.

ორიოდ დღის წინ ვეტერინარებმა „კელმესგან“ სპორტული სამოსის ხუთი სრული კომპლექტი მიიღეს. კლუბის ტრადიციული ფერები (მწვანე და თეთრი) ახლაც შენარჩუნებულია.

„ვიტ ჯორჯია“ „კელმეს“ ნაწარმთაგან მხოლოდ ბურთებს არ გამოიყენებს. ეს ესპანურ ფირმასთან შეთანხმებით მოხდა. ჩვენებურებმა ინგლისური ფირმის, „MITRE ULTIMAX“-ის ბურთები ირჩიეს.

მართალია, ბურთებს ესპანელებიც აწარმოებენ, მაგრამ მათი ნაწარმი უეფას შეჯიბრებებში აპრობირებული არ არის. „MITRE ULTIMAX“ კი ბურთების ექსკლუზიური მიმწოდებელია ინგლისურ პრემიერლიგაში და ინგლისის ნაკრებსაც ის ამარაგებს. „ვიტ ჯორჯიამ“ „MITRE ULTIMAX“-სგან უკვე მიიღო 50 ცალი ბურთი.

გარდა ამისა, ვეტერინარები ევროპას ახალი სამოქალაქო ამუნიციით ეწვევიან. სპეციალურად საზღვარგარეთული „გასტროლებისთვის“ კლუბმა შეუკვეთა და უკვე მიიღო შარვალკოსტუმები შესაბამისი პერანგით, ჰალსტუხითა და ფეხსაცმლით.

მოკლედ, „ვიტ ჯორჯია“ ახალ სამოსში კიდევ უფრო გაკოხტავდა.

ახალწვეულები და კიდევ ერთი „ვიტ ჯორჯია“

ვეტერინართა აქტიური სატრანსფერო პოლიტიკა ცნობილია — კლუბის თავკაცები დაუღალავად ეძებენ ახალ, ახალგაზრდა, პერსპექტიულ მოთამაშეებს. ამჟამად გუნდში ექვსი ახალწვეულია: ბესიკ ჭიღლაძე (ს.ა. „იბერია“), ედიშერ ალადაშვილი („არსენალი“), საბა სულთანიშვილი („დილა“), მირზა მერლანი, გიორგი დეკანოსიძე, გიორგი ადამია („თსუ“). დღეიდან გარკვეულ დრომდე სხვა კლუბები გურამ რუხაძისა და კომპანიის დაუკითხავად ვერ „შეეხებიან“.

მეთორმეტე ჩემპიონატიდან „ვიტ ჯორჯია“ რეგიონალურ ლიგაშიც იასპარეზებს. კლუბის თავკაცებმა გადაწყვიტეს, ფარმ-კლუბი ჩამოეყალიბებინათ და...

სელექციური სამუშაოების დასრულების მერე 16 ფეხბურთელი შეარჩიეს. 1982-83 წლებში დაბადებული ბიჭები „ვიტ ჯორჯია ფარმის“ ღირსებას დაიცავენ.

გურამ რუხაძის თქმით, სიტყვა „ფარმი“ ამ შემთხვევაში ორმხრივი დატვირთვით გამოიყენება. ერთი, საერთოდ „ვიტ ჯორჯია“ ფარმაკოლოგიური კომპანიაა, ხოლო საფეხბურთო ენაზე ფარმკლუბი საბაზო გუნდს ნიშნავს.

ოფიციალური საბუთები გამზადებულია და მონაწილეობისთვის აუცილებელი თანხა გამოყოფილი. წინაღმდეგი არც ფეხბურთის ფედერაცია წასულა და „ვიტ ჯორჯია ფარმი“ მეთორმეტე ეროვნული ჩემპიონატიდან რეგიონალურ ლიგაში თავის ისტორიას იწყებს.

ბაკურიანის შემდეგ გერმანიამდე

„ვიტ ჯორჯიამ“ ახალი სეზონისთვის მზადების პირველი ეტაპი ბაკურიანში გაიარა. მერე თბილისში დაბრუნდა და ვარჯიშთან ერთად საკონტროლო მატჩების ჩატარებას შეუდგა. პირველი მეტოქე თსუ იყო. ვეტერინარებმა თამაში დათმეს, 1:0 თსუ-მ მოიგო.

მეორე თამაში ჭაბუკიანში ჩატარდა. მატჩს მაყურებელიც საკმაოდ დაესწრო და სანახობაც ლამაზი გამოვიდა. ვეტერინარებმა მასპინძლებს 2:0 მოუგეს.

მწვრთნელებმა გარკვეული ტაქტიკური სქემის დამუშავება გადაწყვიტეს და როგორც აღმოჩნდა, უკმაყოფილონი არ უნდა იყვნენ.

„ვიტ ჯორჯიამ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *მამარდაშვილი, საჯაია, ჭანკოტაძე, კობიაშვილი, ჯ. მუჯირი, ზ. გვაზავა, დიღმელაშვილი, ყიფიანი, გიორგი ქორიძე, ლ. მელქაძე, სულთანიშვილი.* მეორე ნახევარში შეცვლებზე შევიდნენ: *დ. დოლიძე, ლ. ნოზაძე, დეკანოსიძე, ადამია, გოცირიძე, კოტორაშვილი.*

გერმანიაში გამგზავრებამდე „ვიტ ჯორჯია“ ერთ ამხანაგურ მატჩსაც ჩაატარებს. 12 ივლისს მისი მეტოქე თბილისური „ზოოვეტი“ იქნება. თამაში ეროვნულ სტადიონზე 19 საათზე დაიწყება.

სევასტი თოდუას „საქმე“

უკვე „ვიტ ჯორჯიას“ ყოფილი ფეხბურთელი, ეროვნული ნაკრების წევრობის კანდიდატი სევასტი თოდუა ვეტერინარებს რომ შემოსწყრა და კარიერის გაგრძელება თბილისურ „ლოკომოტივში“ ირჩია, ცნობილია.

„სარბიელის“ მკითხველებს ამ ფაქტთან დაკავშირებული სკანდალიც ეახსოვრებათ. თოდუამ კლუბი ბოროტულად მიატოვა, „ლოკომოტივმა“ კი ფეხბურთელი „ვიტ ჯორჯიასგან“ დაუკითხავად წაიყვანა.

დავა-კამათი გაგრძელდა და მანამ არ დამთავრდა, სანამ „ვიტ ჯორჯიამ“ გადამჭრელ ზომებს არ მიმართა. ფიფა-უეფას წესების თანახმად, თოდუას მინიმუმ 12-თვიანი დისკვალიფიკაცია დაემუქრა, „ლოკომოტივს“ კი — ფინანსური სასჯელი.

„ვიტ ჯორჯიაში“ თოდუას თითქმის ყველაფერი ჰქონდა. მუდმივი ადგილი ძირითად შემადგენლობაში, პირობები ბევრზე უკეთესი, მწვრთნელებიც თავს ევლებოდნენ, ბოლოს კი საქართველოს ვიცე-ჩემპიონის ტიტულსაც გამოჰკრა ხელი. მეტი რა უნდა ფეხბურთელს საქართველოში? კაცია და გუნებაო, ნათქვამია, თოდუამ „ლოკომოტივი“ ირჩია, მაგრამ საერთო წესი დაარღვია და...

„ვიტ ჯორჯიას“ მოთხოვნას ფეხბურთის ფედერაციამ მხარი დაუჭირა. სევასტი თოდუა ვერ ითამაშებს, თუ ვეტერინარებმა და რკინიგზელებმა არ მოილაპარაკესო. ფუსბურთელისა საბედნიეროდ, „ლოკომოტივი“ თანახმაა, „ვიტ ჯორჯიას“ მოთამაშის სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხა გადაუხადოს.

„ჩვენ არასდროს დაგვიყენებია ფული პირველ ადგილზე. უბრალოდ, ცივილიზებულ-ადამიანური ურთიერთობების მომხრე ვართ. ვმოქმედებთ წესების ფარგლებში და სხვისგანაც ამას მოვითხოვთ. მსგავსი პრინციპი არა მარტო ჩვენ, სამომავლოდ სხვა კლუბებსაც გამოადგებათ.

სერიოზულად ვისაუბრეთ „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობასთან. ისინი ბოლომდე გადაიხდიან იმ ფულს, რითაც განსაზღვრულია თოდუას კომპენსაცია. ჩავთვალოთ, შეთანხმება მიღწეულია. აღვნიშნავ, რომ სასიამოვნო და მისასალმებელი იყო „ლოკომოტივის“ თავკაცების ბოლო გადწყვეტილება. ჩვენ მზად ვართ, ყველასთან ვითანამშრომლოთ, ვეცდებით, ყველას გავუგოთ, ოღონდ ფიფასა და სფფ-ს წესების ფარგლებში. გავიმარჯვეთ როგორც ადამიანური, ასევე იურიდიული წესების ფარგლებში. წინააღმდეგ შემთხვევაში თოდუას დისკვალიფიკაცია არ ასცდებოდა“.

ეს სიტყვები „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტ გურამ რუხაძეს ეკუთვნის, რომლის მხარესაც იყო სიმართლე აღნიშნულ დავაში.

32 ვეტერინარი გერმანიაში

ქართული კლუბი, რომლის საშუალო ასაკი 21 წელია, 14 ივლისს გერმანიაში მიდის შეკრებაზე. ვეტერინართა 32-კაციანი დელეგაციიდან 23 ფეხბურთელია. „ვიტ ჯორჯია“ 8 საკონტროლო მატჩს ითამაშებს. ამის მერე უეფაში წარსადგენი განაცხადიც შეივსება და უეფას თასზე ვეტერინართა მეტოქე ისრაელის „ბეითარიც“ თბილისს ეწვევა.

მანამდე კი თავის გამოჩენის საშუალება შემდეგ მოთამაშეებს მიეცემათ:

მეკარეები: *სერგო ჭურაძე, დავით მამარდაშვილი, მირზა მერლანი;*

მცველები: *ედიკ საჯაია, გიორგი ჭანკოტაძე, თენგიზ კობიაშვილი, ჯაბა მუჯირი, ზვიად გვაზავა, ედიშერ ალადაშვილი;*

ნახევარმცველები: *ლაშა ნოზაძე, დავით დიღმელაშვილი, გიორგი ყიფიანი, ბესიკ ჭიღლაძე, ირაკლი ხაჭაპურიძე, დავით დოლიძე, ვალერი კოტორაშვილი, გიორგი დეკანოსიძე;*

თავდამსხმელები: *გიორგი ქორიძე, ვლადიმერ გოჩაშვილი, ლევან მელქაძე, გიორგი ადამია, რევაზ გოცირიძე, საბა სულთანიშვილი;*

„ვიტ ჯორჯია“ გერმანიიდან 1 აგვისტოს დაბრუნდება.

დათო დანელია

ტორპედოს ფიფასი არ ეშინია

თენგიზ სიჭინავა (ბურთით) ტორპედოელი გახდა

ბადრი კბილაძის ფოტო

როგორც იცით, საქართველოს ჩემპიონი „ტორპედო“ 8 ივლისს ბულგარეთში შავიზღვისპირა კურორტ ალბენაში გაემგზავრა და ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებისათვის (სავარაუდოდ იუგოსლავურ „ცრვენა ზვეზდასთან“) იქ მოემზადება.

წინა „სარბიელში“ ტორპედოელთა უცხოურ შეკრებაზე გამგზავრების შესახებ მკითხველს იმ დროისათვის ამომწურავი ინფორმაცია მივაწოდეთ. კერძოდ, ისიც ვთქვით, რომ ქუთაისელთა მთავარმა მწვრთნელმა დავით ყიფიანმა ალბენას 24 ფეხბურთელი წაიყვანა და ამათგან ხუთი ახალი.

ეს კი უფრო მოგვიანებით, შაბათ დილით გუნდის ბულგარეთში გამგზავრების წინ გახდა ცნობილი: „ტორპედოს“ დელეგაცია ერთი ახალი კაცითაც უნდა გაზრდილიყო და ასეც მოხდა. ნახევარმცველი თენგიზ სიჭინავა ქუთაისელებს უკვე გზაში შეუერთდა. სიჭინავა მეორე მოთამაშე შეიქნა, ვისაც „ტორპედოს“ ხელმძღვანელობამ „დინამოდან“ დასახმარებლად უხმო. პირველი, იცით, ვალტერ გუჩუა გახლდათ. „დინამო“ კი... ფიფას უმკაცრესმა დირექტივამ — საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოსთვის“ ყველანაირი ტრანსფერის აკრძალვის შესახებ, ცოტა არ იყოს, ეჭვი შეიტანა გუჩუას და სიჭინავას ქუთაისურ კლუბში მოყვანის მართებულობაში. ამ მიზეზით იყო, „ტორპედოს“ თავკაცს რომ მივმართეთ. დავით ყიფიანმაც მშვიდად მოგვიგო:

— გუჩუას სამი თვის წინ დაუმთავრდა „დინამოსთან“ კონტრაქტი და ის ახლა თავისუფალი აგენტია. რაც შეეხება სიჭინავას, იგი „ბათუმის“ კუთვნილებაა, „დინამოში“ იჯარით იყო. ასე რომ, ფიფას დირექტივა ამ ფეხბურთელებზე არ უნდა გავრცელდეს.

ამას რა სჯობია, თუ ასეა, ძალიანაც კარგი და სათქმელად ერთიღა დაგვრჩენია — ბულგარეთში გამგზავრების წინ, შაბათ დილით ტორპედოელებს სამშვიდობო პარაკლისი გადაუხადა ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის ხარების ეკლესიის მოძღვარმა მამა ავთანდილმა.

იუზა კაციტაძე ქუთაისიდან

იბერია არბატზეა, ჯერჯეროობით

სოსო ფრუიძე

ბია ახალაძის ფოტო

სამტრედიის „იბერია“ მეთორმეტე ეროვნულისთვის მზადებას 30 ივნისიდან შეუდგა. ისიც ცნობილია, რომ კლუბის პრეზიდენტმა ნუგზარ ნიკოლაიშვილმა რადიკალურ ზომებს მიმართა. მან გუნდის გაახალგაზრდავება გადაწყვიტა და ძველი ძირითადიდან, ფაქტობრივად ოთხი ფეხბურთელი დაიტოვა, თანაც ამ ოთხიდან ორი ტყუპი ძმები ვასო და სოსო გიგაძეები არიან, ესენი კი, მოგეხსენებათ, ახალ სეზონში „იბერიაში“ თამაშს სულაც არ აპირებენ. ერთი სიტყვით, სამტრედიელები წინა სეზონში რეგიონალური ლიგის დასავლეთის „ა“ ზონაში მე-3 ადგილზე გასული ფარმკლუბით წარსდგებიან მეთორმეტე ეროვნულში.

გაახლებული „იბერია“ ხუთი დღე ქვიშხეთში ვარჯიშობდა, იქედან კი მოსკოვს გაემგზავრა ერთთვიან შეკრებაზე.

გუშინ იყო, რუსეთში საქართველოს საელჩოს სასტუმროში „იბერიას“ მთავარ მწვრთნელს სოსო ფრუიძეს დავუკავშირდით და გუნდის ამბებს დავეკითხეთ:

— გზაში საკმარისად გავწამდით. ორი დღეღამე მოვანდომეთ მგზავრობას. ნუგზარ ნიკოლაიშვილი მოსკოვში დაგვხვდა. პრეზიდენტმა 18 კაცი საელჩოს სასტუმროში დაგვაბინავა, — გვითხრა სოსო ფრუიძემ — არბატზე ვცხოვრობთ, აქვე ერთ-ერთ სტადიონზე ვვარჯიშობთ. ჯერჯერობით მხოლოდ ფიზიკურ მომზადებას გავდივართ. მალე, ალბათ, თამაშებიც გვექნება, რუსეთის მეორე ლიგის და მოსკოვის პირველობაზე მონაწილე გუნდები აქ ბლომადაა. ოღონდ ესეცაა, შესაძლოა, ორ-სამ დღეში მოსკოვიდან სხვა ქალაქში გადავინაცვლოთ. ვნახოთ, რას გადაწყვეტს „იბერიას“ პრეზიდენტი.

— გიგიაძეების შესახებ რას გვეტყვით?

— დაკონკრეტებით ვერაფერს. ნიკოლაიშვილი ერთ-ერთ რუსულ კლუბთან აწარმოებს მოლაპარაკებას. დიდი შანსია, ტყუპების ტრანსფერი შედგეს.

იუზა კაციტაძე ქუთაისიდან

სქიტო ბრწყინვალეა

ფინკემ ახალ გზას მიაგნო

„იმისათვის, რომ გუნდმა კარგად ითამაშოს, ბევრ ფაქტორთან ერთად ურთიერთგაგებაც მნიშვნელოვანია. თუ ფეხბურთელებს მინდორზე ან მის გარეთ ერთმანეთის არ ესმით ყველანირ წარმატებაზე ფიქრი ზედმეტია, არაფერი გამოვა. ჩემი გადაწყვეტილებაც აქედან გამომდინარეობს. თანაც გუნდში ახალწვეულები გვყავს. დამხდურებს ისინიც უკეთ შეეწყობიან. „ფრაიბურგი“ მეგობრული გუნდი უნდა იყოს“ — ასე ახსნა ალექსანდრე იაშვილის, ლევან კობიაშვილისა და ლევან ცქიტიშვილის კლუბ „ფრაიბურგის“ მთავარმა მწვრთნელმა ფოლკერ ფინკემ თავისი მოქმედება.

ახლა კი იმაზე ვთქვათ, რაზეა საუბარი.

აგერ უკვე 10 დღეა, „ფრაიბურგი“ პორტუგალიაში, დაბა ლანჟეოგში იმყოფება შეკრებაზე. და იცით, რა მოიფიქრა ფინკემ?

ბუნებრივია, ყოველი დილა საუზმით იწყება (ცხადია, ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და ხელპირის დაბანის შემდეგ), ჰოდა, თითოეული ფეხბურთელი საჭმელს ახალ პარტნიორთან ერთად შეექცევა. მაგალითად, „სარბიელის“ გამოკითხვით საქართველოს 2000 წლის საუკეთესო ფეხბურთელი ლევან კობიაშვილი თუ დღეს ლევან ცქიტიშვილთან ერთად ისაუზმებს, ხვალ ფინკე მას მალელ ახალწვეულ სუმალია კულიბალის მიუსვამს გვერდით, ზეგ გუნდის დებიუტანტ, ვერიდონონ ზანდის და ასე შემდეგ. ეს, მწვრთნელის აზრით, გუნდის ინტეგრაციას უწყობს ხელს.

გაამართლებს თუ არა ფინკეს მეთოდი, ამას ბუნდესლიგის მომავალი ჩემპიონატი დაგვანახებს, რომელიც 11 აგვისტოს დაიწყება. მანამდე კი „ფრაიბურგი“ სრულყოფილად მომზადებას აპირებს და საამისოდ ფინკესა და მის თანაშემწეებს წინასწარი პროგრამაც შეუდგენიათ.

„ფრაიბურგი“ 30 ივნისს შეიკრიბა, მეორე დღეს კი პორტუგალიური ალბუფეირისკენ გასწია. წინასასეზონო მზადების ლანჟეოგში გავლა ფრაიბურგელთათვის უკვე ტრადიციად იქცა. 1-დან 11 ივლისამდე გუნდმა სწორედ იქ, ზღვის სანაპიროზე ივარჯიშა. ძირითადი ყურადღება ფიზიკური კონდიციების ამაღლებას დაეთმო. 14 ივლისიდან კი „ფრაიბურგი“ ამხანაგურ მატჩებსაც გამართავს, პირველად საფეხბურთო კლუბ „კონსტანც 1900“-ს დაუპირისპირდება.

მანამდე კი ფოლკერ ფინკე გაზეთ „ფრაიბურგერ ცაიტუნგს“ გუნდის შესახებ გაესაუბრა.

„ექვსი ახალი მოთამაშე გვყავს, თუმცა რამდენიმე ძველიც „ახალია“. სქიტო ბრწყინვალე ფეხბურთელია. იგი მომავალ სეზონში ძალიან დაგვეხმარება“ — განაცხადა ფინკემ. ვფიქრობთ, ძნელი მისახვედრი არ არის, ვინ იგულისხმა მწვრთნელმა. ამ სიტყვების ადრესატი ცქიტიშვილია, რომელსაც მძიმე ტრავმის შემდეგ თითქმის მთელი შარშანდელი სეზონი გაუცდა. ლევანმა საწყის ტურებში ითამაშა, მერე მძიმედ დაშავდა და მინდორს ბოლო ტურშიღა დაუბრუნდა, ისიც თხუთმეტიოდე წუთით. ახლა ცქიტიშვილი გუნდთან ერთადაა და შეუძლია, ნაყოფიერად მოემზადოს, ისევე როგორც მეორე ქართველ ლეგიონერს, ალექსანდრე იაშვილს. შეგახსენებთ, მასაც მძიმე ტრავმა აწუხებდა, რის გამოც ფეხბურთს თითქმის რვა თვე იყო ჩამოშორებული, „ფრაიბურგს“ კი შარშან შუა სეზონშიღა შეუერთდა.

„კარგია, რომ იაშვილიც ჩვენთანაა და სრულყოფილად მომზადების საშუალება ეძლევა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. იაშვილს კარგი პერსპექტივა აქვს“ — აღიარა ფინკემ.

და კობიაშვილი. იგი კვლავაც ჯანზეა და გუნდთან ერთადაა. მასზე ფინკეს არაფერი უთქვამს, თუმცა თავადაც კარგად მოეხსენება, კობი რომ არა, იქნებ იგი „ფრაიბურგის“ მწვრთნელი აღარც ყოფილიყო, თავად „ფრაიბურგს“ კი აგვისტოდან მეორე ბუნდესლიგაში ეთამაშა.

ვანო ოქროპირიძე

ფრაიბურგელი ქართველები:
ლევან კობიაშვილი, ალექსანდრე იაშვილი და ლევან ცქიტიშვილი

ბაღრი ჯითლაძის ფოტო

გორდაში ერთი ალადაშვილი დარჩა

სწორედ რომ ასეა საქმე.

XI ეროვნულ ჩემპიონატში რუსთავის „გორდაში“ სამი ალადაშვილი მოღვაწეობდა. მამა-იასონი დღესაც გუნდის მთავარი მწვრთნელია. შვილები-კახა და ლაშა კი სხვებთან ერთად იზიარებდნენ რუსთავში მოთამაშე ფეხბურთელის მწარე ხვედრს. გასული პირველობის მეორე ეტაპიდან „გორდას“ ლაშა ალადაშვილი გამოაკლდა. მან საბერძნეთს მიაშურა და იქაური III დივიზიონის პირველობაში ჩაება. იგი დღესაც საბერძნეთშია და, როგორც შევიტყვეთ, მენეჯერის საშუალებით საბერძნეთის II ჯგუფის ერთერთ გუნდთან აწარმოებს მოლაპარაკებას. რამოდენიმე დღის წინ კი „გორდას“ მხოლოდ მწვრთნელი ალადაშვილი შერჩა, კახაც ძმის გზას დაადგა და უცხოეთში თამაში ირჩია. იგი დღეს ლატვიურ „ვენტსფილსში“ ვარჯიშობს და იქაურთა საბოლოო პასუხს ელოდება. სავარაუდოდ, კახა ალადაშვილი ლატვიური კლუბის მაისურასაც მოირგებს, რადგან გუნდის მწვრთნელებს ქართველი ნახევარმცველი თვალში მოსვლიათ. ალადაშვილმა გუშინდელი ვარჯიშისას გამოიჩინა თავი და ორმხრივ მატჩში ორი ბურთის გატანა შეძლო. ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ „ვენტსფილსს“ ქართველებთან თანამშრომლობის დიდი გამოცდილება აქვს. თავის დროზე ამ კლუბის ღირსებას ხუთი ჩვენებური — მამუკა წერეთელი, არმაზ ჯელაძე, თამაზ პერტია, სოსო გრიშიკაშვილი და დავით გოგოლაძე იცავდა.

მოკლედ, კახა ალადაშვილი ლატვიელთა პასუხის მოლოდინშია. ჩვენ კი მის მშობლიურ გუნდზე „გორდაზეც“ ვთქვათ. რუსთაველები კვლავაც გაურკვევლობაში არიან, მაგრამ ეს მდგომარეობა იასონ ალადაშვილს ხელს არ უშლის საწვრთნელ პროცესში. ხუთშაბათს „გორდამ“ საკონტროლო მატჩში „ფოლადზე“ „ლოკომოტივს“ უმასპინძლა. ალადაშვილმა ექსპერიმენტული, გადახალისებული შემადგენლობა დაუპირისპირა რევაზ ძოძუაშვილის გუნდს და მელაძის ერთადერთი გოლით მინიმალური სხვაობით დაამარცხა მეტოქე. თუმც მასპინძელთა გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო მეკარე ბედიაშვილმა, რომელმაც ექვსჯერ აშკარა გოლისგან იხსნა თავისი გუნდი. „გორდა“ და „ლოკომოტივი“ ამხანაგურად გუშინაც გაეჯიბრნენ. მატჩი, რომელიც გუშინ „ფოლადზე“ ჩატარდა და 1:1 დასრულდა.

პაატა კვანტალიანი

მამა-შვილი: იასონ და კახა ალადაშვილები

ალბერტ ფოფალაძის ფოტო

საფეხბურთო კლუბი „ხალიბი 97“ ღრმა მწუხარებით იუწყება კლუბის პრეზიდენტის ავთანდილ ლოგუანიძის გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საზაფხულო მიდი-მოდი

	გასხვისებულები	ახალწვეულები	სეზონთშორისი
ტორპედო *დავით ყიფიანი*	სომხიშვილი (ალაზანი), გოგიაშვილი (თავისუფალი აგენტი)	გუჩუა, სიჭინავა (დინამო), ზ. არჩვაძე (ბათუმი), შალამბერიძე (კოლხეთი), მამალაძე (თბილისი), თაგბერიძე (ინტერი), გ. გოგოლაძე (სამგურალი)	09.07-დან ბულგარეთში მოემზადება. 26.07 კლაკსვიკარის (ფარერები) და ცრვენას (იუგოსლავია) მოგებულს სტუმრობს. *დილა 4:0*
ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე*	მორჩილაძე (თსუ)	სულთანიშვილი (დილა), მერლანი, დეკანოსიძე, ადამია (ყველა თსუ), ე. ალადაშვილი (არსენალი), ჭილლაძე (ს.ა. იბერია)	22.06-03.07 ბაკურიანში შეიკრიბა. 04.07-12.07 თბილისში მოემზადება. 13.07-01.08 გერმანიაში შეიკრიბება *თსუ 0:1, ჭაბუკიანი 2:0*
დინამო *ჯუმალ ჩიმაკაძე*	*ბიზანეიშვილი (სპარტაკი, რუსეთი), დიდავა, წიტაიშვილი (მაკაბი, თ-ა, ისრაელი), პ. ჯინჭარაძე (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა), გუჩუა, სიჭინავა (ტორპედო), ო. გველესიანი (ბათუმი), ხუციშვილი, მინაშვილი (ტრანსფერზე არიან)*	კ. გოგოლაძე (სიონი), ბურდული (თბილისი)	*შამქირი (აზერბაიჯანი) 1:1, სტანდარდი (ბელგია) 2:2, 1:1* 12.07 თბილისში შეიკრიბება
ბათუმი *ჯანი კარნევალი*	*მ. მბარაძე (კარიერა დაასრულა), ბომერიკი, ა. მუჯირი (არაუ, შვეიცარია), ზ. არჩვაძე (ტორპედო), ტოგონიძე, ჩლაიძე, თარგამაძე, ხუჯაძე, მაჭუტაძე, გელაქორიძე (?)*	კ. მეტრეველი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), ო. გველესიანი (დინამო), ბ. შენგელია (სიონი), მაჭავარიანი (თბილისი), ნივნივაძე (არსენალი), კ. მეავანაძე (ზუქერა)	07.06-დან შვებულებაშია. 08.07 ბათუმში შეიკრიბება. 18.07-დან ჩაქვში მოემზადება
კოლხეთი *გია ტყემუჩავა*	ტრაპაიძე (ტავრია, უკრაინა), შალამბერიძე (ტორპედო)	რ. ხაჭაპურიძე (დილა), ბ. ჩიტაია (ცხინვალი), კრასოვსკი, თედეევი, დ. კვირკველია, ჭანტურია (კოლხეთი 2)	25.06-დან ფოთში ვარჯიშობდა. 05.07-14.07 ბაკურიანში მოემზადება
სიონი *სპარტაკ არჩვაძე*	კ. გოგოლაძე (დინამო), ბ. შენგელია (ბათუმი), ა. ბოკერია (თსუ), ვ. მაისურაძე (?)	ასპინძელაშვილი, ირემაშვილი (არსენალი), ბარნოვი (თბილისი), ტარიელაშვილი (ალაზანი)	27.06-დან თბილისში ვარჯიშობს
იბერია *სოსო ფრუიძე*	ადეიშვილი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა) ვ. გიგიაძე, ი. გიგიაძე, ოდიკაძე (?, რუსეთი), ფვანია, ნაროუშვილი (ლოკომოტივი)		30.06-03.07 ქვიშხეთში ვარჯიშობდა. 05.07-დან თვის ბოლომდე მოსკოვში მოემზადება
დილა *მერაბ ხუციშვილი*	სულთანიშვილი (ვიტ ჯორჯია), რ. ხაჭაპურიძე (კოლხეთი), მარეხაშვილი (კარიერა დაასრულა); მერაბ კოჭლაშვილი (მწვრთნელი)	მერაბ ხუციშვილი (მწვრთნელი)	21.06-დან გორში ვარჯიშობს *ლოკომოტივი 1:3, ტორპედო 0:4*
მერანი *სერგო გაბელაია*	დევაძე (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა)	ოდიშარია (ხობი)	01.06-დან შვებულებაშია. 10.07-იდან ლაგოდეხში მოემზადება
ლოკომოტივი *რევაზ ძოძუაშვილი*	*ჯიშკარიანი (ტორპედო ბილი, რუსეთი), ჩიხრაძე, ლ. მიქაძე (ჰაპოელი, ბეერშევა, ისრაელი), კაციაშვილი (მარგვეთი), ჯულელი (?, რუსეთი), ნიკურაძე (?, ფინეთი), ბაქრაძე, გოგიჩაიშვილი, გ. გვაზავა, (?), დ. გოდერძიშვილი (?), ონნანი*	გონჩაროვი (თბილისი), ფვანია, ნაროუშვილი (იბერია), კაკაშვილი (არსენალი), ზურაბ აიანადი (ხობი), დ. არჩვაძე (თსუ)	25.06-დან თბილისში ვარჯიშობს. 16.07-დან ლაგოდეხში მოემზადება *დილა 3:1, გორდა 0:1, 1:1*
თსუ *თენგიზ კაციია*	ხართიშვილი (ტრანსფერზეა), მაზიაშვილი, ბარქაია (კონტრაქტები დაუმთავრდათ), მერლანი, დეკანოსიძე, ადამია (ყველა ვიტ ჯორჯია)	მორჩილაძე (ვიტ ჯორჯია), ა. ბოკერია (სიონია), ხარებავა (არსენალი), შედანია (ზოოვეტი), არმეიძე (ცხუმი)	01.07-დან მცხეთაში ვარჯიშობს. 16.07-26.07 ლაგოდეხში, 04.08-14.08 კიმალთაყვაში მოემზადება *ვიტ ჯორჯია 1:0*
გორდა *იასონ ალადაშვილი*	გ. კილასონია, ვ. კილასონია (კონტრაქტები დაუმთავრდათ), ლ. ალადაშვილი (ვენტსპილსი, ლატვია), კიტეიშვილი (ხარაზი უნივერსიტეტი, აზერბაიჯანი)	ჭიაბრიშვილი (ზოოვეტი)	28.06-დან რუსთავში ვარჯიშობს *ლოკომოტივი 1:0, 1:1*

შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS ჰარარედან

ეს პატარა ჰარარეს სტადიონზე სიკვდილს გადაურჩა

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი
აფრიკა. II ტური

A ჯგუფი

კამერუნი 3:0 ანგოლა

1:0 აბანდა (20), 2:0, 3:0 ჩუტანგი (68, 74)

ზამბია 2:0 ტოგო

კამერუნი	2	2	0	0	6:0	6
ზამბია	2	1	0	1	3:2	3
ანგოლა	2	1	0	1	2:4	3
ტოგო	1	0	0	1	0:2	0
ლიბია	1	0	0	1	0:3	0

B ჯგუფი

სიერა ლეონე 0:5 განა

0:1, 0:2 ასამოა (13, 60), 0:3 აკონორი (67), 0:4 პრეკო (75), 0:5 ადო (89)

ლიბერია 2:1 ნიგერია

1:0 ვრე (4), 1:1 კანუ (35), 2:1 ვრე (47)

განა	1	1	0	0	5:0	3
სუდანი	1	1	0	0	2:0	3
ნიგერია	2	1	0	1	3:2	3
ლიბერია	2	1	0	1	2:3	3
სიერა ლეონე	2	0	0	2	0:7	0

C ჯგუფი

სენეგალი 0:0 ეგვიპტე

მაროკო 2:1 ალჟირი

მაროკო	2	1	1	0	2:1	4
სენეგალი	2	0	2	0	1:1	2
ნამიბია	1	0	1	0	0:0	1
ეგვიპტე	1	0	1	0	0:0	1
ალჟირი	2	0	1	1	2:3	1

D ჯგუფი

კონგოს დრ 2:0 კონგო

1:0 მაიელე (44), 2:0 იემვენი (74)

ტუნისი 1:0 მადაგასკარი

1:0 ბაია (45)

ტუნისი	2	1	1	0	3:2	4
მადაგასკარი	2	1	0	1	3:1	3
კონგოს დრ	2	1	0	1	2:3	3
კოტ დივუარი	1	0	1	0	2:2	1
კონგო	1	0	0	1	0:2	0

E ჯგუფი

ბურკინა ფასო 2:3 გვინეა

0:1 იულა (12), 1:1 კამბუ (20), 1:2 სილა (23), 2:2 ტურე (72ბ), 2:3 ფეინდუონო (81)

ზიმბაბვე — სამხრეთ აფრიკა

82-ე წუთზე მატჩი ჩაშალა. შედეგი 0:2 გაუქმდა

გვინეა	2	2	0	0	6:2	6
მალავი	1	0	1	0	1:1	1
ბურკინა ფასო	2	0	1	1	3:4	1
სამხ. აფრიკა	0	0	0	0	0:0	0
ზიმბაბვე	1	0	0	1	0:3	0

ჰარარეს ეროვნულ სტადიონზე ტრაგედია დატრიალდა. მსოფლიოს 2002 წლის შესარჩევი ციკლის მატჩში ზიმბაბვეს ეროვნული ნაკრები სამხრეთ აფრიკას მასპინძლობდა. სტუმრები 1:0 იგებდნენ, შეხვედრაც ყოველგვარი ექსცესის გარეშე, მშვიდობიანად უნდა დასრულებულიყო, მაგრამ...

82-ე წუთზე სტუმართა თავდამსხმელმა დელრონ ბაკლიმ ზიმბაბველებს მეორე ბურთი გაუტანა და მონასტერიც აქ აირია. მოედანზე სხვადასხვა საგნის, უმეტესად ქვების, შუშისა და პლასტმასის ბოთლების წვიმა წამოვიდა. სტუმართა მოსალოდნელმა გამარჯვებამ ზიმბაბველი ქომაგი გააგულისა. არბიტრი იძულებული გახდა, თამაში შეეწყვიტა, მაგრამ ვაგლახ, რომ ეს საკმარისი არ გამოდგა.

ზიმბაბველმა პოლიციელებმა სიტუაციის განმუხტვა ცრემლსადენი გაზის ხალხისთვის პირდაპირი დამიზნებით სცადეს. ამის შემყურე გულშემატკივრები, გადარჩენის მიზნით მინდორზე შეცვივდნენ და წესრიგის მცველებთან საქმის გარჩევაც დაიწყეს. ყველაფერი ტრაგიკულად დასრულდა — პოლიციელებთან შეტაკებისას 13 (!) ადამიანი დაიღუპა — ხუთი ქალი, ოთხი კაცი, სამი ვაჟი და ერთიც ჯერჯერობით უცნობი, რომელიც მოგვიანებით გარდაიცვალა. დაზარალებულნი სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა მათი გადარჩენა ვერ-ღარ შეძლეს. საავადმყოფოში ახლა შვიდი პაციენტია, ოთხი მათგანი სახიფათო მდგომარეობაში.

— დაშავდა თავად გოლის ავტორიც. ბაკლის გასროლილი ქვა მოხვდა და თავი გაუტყდა. სამმა გულშემატკივარმა მცირედი ტრავმა მიიღო. ამის მერე არეულობამ ქალაქში გადაინაცვლა. პოლიციისა და გულშემატკივრების, უმეტესად ახალგაზრდების ხელჩართულმა ბრძოლამ ათეულობით მანქანა და მაღაზიის ვიტრინა დაამსხვრია.

რაც მოხდა, თავისთავად ამაზრზენია, მსოფლიოს მრავალმა საინფორმაციო სააგენტომ კი ამას პოლიტიკური სარჩულიც დაუდო. თვითმხილველთა თქმით, აღშფოთებული ფანები ოპოზიციური პარტიის — „მოძრაობა განახლებული დემოკრატიისთვის“ მხარდამჭერ ლოზუნგებს გაჰყვიროდნენ. დაახლოებით ორი კვირის წინ ზიმბაბვეში საპარლამენტო არჩევნები გაიმართა, სადაც პრეზიდენტ მოგაბეს მომხრეებმა არცთუ დამაჯერებლად გაიმარჯვეს. პოლიცია პრეზიდენტის მხარეზე ყოფილა, გულშემატკივართა სიმპათიები კი ოპოზიციონერებს დაუმსახურებიათ. იყო თუ არა პოლიციელთა ქმედება ზემდგომი ორგანოების ნაკარნახევი, ამას გამოძიება გაარკვევს, ფაქტი კი ის გახლავთ, რომ 13 უდანაშაულო ადამიანი შეტაკების მსხვერპლი გახდა.

ბუნებრივია, ამ დროს ფეხბურთისთვის არავის ეცალა, ჰოდა, მატჩიც ჩაიშალა. მსაჯს შედეგი ოფიციალურად არ დაუფიქსირებია, ფიფამაც ანგარიში (0:2 სამხრეთაფრიკელთა სასარგებლოდ) გააუქმა, შეხვედრის ხელმეორედ ჩატარების თარიღსაც მოგვიანებით დაადგენს, თუმცა ჯერ საკითხავია, თავად თამაში სად გაიმართება.

... ამ უქმეებზე აფრიკის შესარჩევში სულ 10 მატჩი შედგა, რომლებიც ლოგიკურად დასრულდა, გარდა ერთისა. სენსაციურად წააგო ნიგერიის ნაკრებმა. ვარსკვლავებით გადაჭედილმა ნიგერიელებმა მასპინძელ ლიბერიელებს ვერაფერი მოუხერხეს. ლონდონის „არსენალის“ სათადარიგო ფეხბურთელმა და ჟორჟ ვეას ბიძაშვილმა კრისტოფერ ერემ მომხდურთ სულ თავბედი აწყვეტინა. მართალია, ასევე არსენალელმა ნვანკვო კანუმ 35-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ ვრე შეუჩერებელი იყო. ქულათა მაქსიმუმით ორი ტურის შემდეგ თავიანთ ჯგუფებს კამერუნისა და გვინეის ნაკრებები ლიდერობენ. შეგახსენებთ, მსოფლიოს ჩემპიონატის ხუთ საგზურს ჯგუფებში გამარჯვებულები მოიპოვებენ. აფრიკელები ახლა შვებულებაში წავლენ, შესარჩევი მატჩები 2001 წლის იანვარში განახლდება.

გიორგი ვაშაკიძე

სამხრეთ აფრიკა სასამართლოთი იმუქრება

გრანდიოზული სკანდალი, რომელიც სამიოდე დღის წინ ფიფას გარშემო დაიწყო, გრძელდება. შეგახსენებთ, ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე, რომელზეც 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელი უნდა დასახელებულიყო, ფავორიტად სამხრეთ აფრიკა ითვლებოდა. კენჭისყრაზე კი გერმანიამ მეტოქეს ერთი ხმით აჯობა. ევროპელებმა 12 ხმა მიიღეს, აფრიკელებმა — 11. აღმასკომის ერთმა წევრმა თავი შეიკავა და გამარჯვებულის ბედიც სწორედ მან განსაზღვრა. კენჭისყრა ფარული იყო, მაგრამ თავშეკავებულის ვინაობა მალევე გაირკვა — ოკეანეთის წარმომადგენელი, ახალზელანდიელი ჩარლზ დემპსი.

ცხადია, დემპსის უფლება ჰქონდა, ასეთი არჩევანი გაეკეთებინა და ეს საკითხი კამათსაც არ გამოიწვევდა, რომ არა ახალი ზელანდიის სპორტის მინისტრის განცხადება, ჩარლზ დემპსის ჩვენი ინსტრუქციის თანახმად უნდა ემოქმედა, ინგლისის კანდიდატურის ჩავარდნის შემთხვევაში ხმა სამხრეთ აფრიკისთვის მიეცაო. ჩარლზ დემპსიმ თავი იმართლა, მავანნი მემუქრებოდნენ და ქრთამსაც მთავაზობდნენ, ამიტომ კენჭისყრაში მონაწილეობა არ ვინდომეო. აღმოჩნდა, რომ თუ გერმანია გაიმარჯვებდა, „პრემიებს“ აღმასკომის კიდევ ორ წევრს დაჰპირდნენ (შესაძლოა მათი რიცხვი მეტიც იყოს). მოკლედ, სკანდალი...

ამ ამბის გაგრძელება კი ასეთია: სამხრეთ აფრიკის ფეხბურთის ფედერაცია სასამართლოში ჩივილს აპირებს და ფიფას გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმებას ესწრაფვის. სამხრეთაფრიკელი იურისტები პროცესისთვის მზადებას უკვე შეუდგნენ.

ქრთამისა და დაშინების საკითხებს შეისწავლიან, იქამდე კი სამხრეთაფრიკელებმა ძველი საბუთები გადაქექეს და ერთი ფაქტი აღმოაჩინეს:

1961 წელს ფიფამ სამხრეთ აფრიკა გარიცხა. მიზეზი ამ ქვეყანაში გამეფებული აპარტეიდი გახლდათ. ჩარლზ დემპსი მაშინაც ფიფაში მუშაობდა და კენჭისყრაზე აფრიკელთა იზოლაციის წინააღმდეგ გაილაშქრა — ფაქტობრივად, აპარტეიდს დაუჭირა მხარი. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ აფრიკელებმა დემპსი რასიზმში დაადანაშაულეს და მომავალ სასამართლო პროცესზე ამაზეც ისაუბრებენ.

ამასობაში კი ჩარლზ დემპსი ფიფას აღმასკომის წევრობიდან გადადგომას აპირებს. ახალზელანდიელის თქმით, ის პოსტს სექტემბერში დატოვებს. უცნაურია, მაგრამ ამბობენ, რომ დემპსი კენჭისყრის საბოლოო შედეგებსაც არ დალოდებია, სხდომა დაუტოვებია და სინგაპურის გავლით შინ გამგზავრებულა. გერმანიის გამარჯვების თაობაზე კი მას სინგაპურის სასტუმროს შვეიცარისგან შეუტყვია.

ინტერ-მანჩესტერული გარიგება

პოლ სქოულზში „ინტერი“ 31 მილიონ გირვანქას იხდის

პოლ სქოულზი

მილანის „ინტერმა“ კრისტიან ვიერი შარშან რომის „ლაციოსგან“ 50 მილიონ დოლარად იყიდა. ეს სატრანსფერო რეკორდი ვერავინ გაიმეორაო, გაიგონებდით ხშირად, მაგრამ, აი, წლეულს ამხელა თანხას კვლავ მილანური კლუბი იხდის — „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველის, პოლ სქოულზის გადაბირება სურს.

„პოლ სქოულზის სანაცვლოდ „ინტერმა“ „იუნაიტედს“ 31 მილიონი გირვანქა შეაძლია“ — იუწყება პოპულარული ინგლისური გაზეთი „მირორი“.

არადა, ინგლისის ჩემპიონთა თავკაცმა ალექს ფერგიუსონმა ადრე განაცხადა, რომ გუნდის ძირითადი ბირთვის შენარჩუნება სურს და არავის გაყიდის, მითუფრო სქოულზს, რომელიც „წითელ ეშმაკთა“ წამყვანი მოთამაშეა. „ინტერის“ ახალ შეთავაზებაზე სერ ალექსს არაფერი უთქვამს.

„მირორს“ ისიც შეუტყვია, რომ მილანელები სქოულზს ხუთწლიანი კონტაქტზე ურიგდებიან.

ერთ-ერთმა ბრიტანულმა სააგენტომ „ინტერისა“ და „მანჩესტერის“ შეთანხმებაზე კიდევ ერთი საინტერესო ცნობა გაავრცელა. ალექს ფერგიუსონს თავის გუნდში მილანელთა არგენტინელი ლეგიონერის, ხავიერ ძანეტის ხილვა მოუწადინებია და მზადაა, 11 მილიონი გირვანქა გაიღოს.

თუმცა არც ძანეტის ხელში ჩაგდებაა იოლი, 26 წლის ფეხბურთელს სხვა ევროპული გრანდებიც ეპატიჟებიან. „მანჩესტერ იუნაიტედს“ „ბარსელონასთან“ და მადრიდის „რეალთან“ მოუწევს პაექრობა.

ძანეტის, რომელმაც იტალიაში ხუთი წელიწადი გაატარა, უთქვამს, რომ სიამოვნებით გადავიდოდა „ბარსელონაში“. კატალონიურ და მადრიდულ კლუბებში მალე პრეზიდენტის არჩევნებია და ახალი ხელმძღვანელების დანიშვნამდე გუნდში რადიკალური ცვლილებები, ალბათ, არ განხორციელდება, მით უმეტეს, რომ „ბარსელონა“ ჯერჯერობით მთავარი მწვრთნელის გარეშეა. არ არის გამორიცხული, ფერგიუსონმა მომენტით ისარგებლოს და ვიდრე ესპანელებს ძანეტისთვის არ სცალიათ, არგენტინელი ნახევარმცველი „ოლდ ტრეფორდზე“ გადაიყვანოს.

„იუნაიტედი“ „ინტერიდან“ კიდევ ერთი ფეხბურთელის, საფრანგეთის ნაკრების 35 წლის მცველის, ლორან ბლანის გადაყვანას აპირებს. გახსოვთ, ალბათ, ფერგიუსონმა ცოტა ხნის წინ ბლანის თვისტომი ფაბიენ ბარტეზი იყიდა. ახალი სეზონიდან სწორედ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი მეკარე დაიცავს ინგლისის უძლიერესი გუნდის კარს, ახლა კი, თუ გარიგება შედგა, ფერგიუსონს კიდევ ერთი ფრანგი შეემატება.

შესაძლო ტრანსფერზე თავად ბლანს დაეკითხნენ, მან კი უპასუხა: „მანჩესტერი“ მართლაც ბრწყინვალე გუნდია, ცოტა ხნის წინ მათ ჩემი თანამემამულე და მეგობარი ფაბიენ ბარტეზიც შეუერთდა, თუმცა მე მილანში ბედნიერი ვარ და „ინტერიდან“, ალბათ, არსად წავალ“.

ინგლისური პრესა ცოტა ხნის წინ გახმაურებულ, მაგრამ განუხორციელებელ ტრანსფერებსაც იხსენებს. გემახსოვრებათ, ჰოლანდიელი ფორვარდის, რუუდ ვან ნისტელროის პსვ-დან „მანჩესტერში“ გადასვლას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. როგორც გაირკვა, ფეხბურთელს ტრავმა ჰქონია, რის გამოც თითქმის ხელმოწერილი კონტრაქტი ჩაიშალა, ხოლო 23 წლის ნისტელროიმ ევროპის ჩემპიონატი გამოტოვა. თუმცა ის ახლა კვლავ „მანჩესტერში“ გადასვლაზე ოცნებობს.

„მიხარია, რომ ტრავმა მოვირჩინე. სულ მალე პსვ-ში ვარჯიშს დავიწყებ, თუმცა „იუნაიტედზე“ ისევ ვფიქრობ. სერ ალექსს ბრწყინვალე გუნდი ჰყავს, მასთან სიამოვნებით ვითამაშებდი“.

„მანჩესტერთან“ მოლაპარაკება შესაძლოა კვლავ განვაახლოთ, ნისტელროი ახლა ჯანმრთელია და ნებისმიერ გუნდში ძალუძს თამაში“ — განაცხადა ჰოლანდიელი ფორვარდის აგენტმა იონ ლაინსმა.

მოკლედ, სეზონის დაწყებამდე გუნდებს მოსაწყენად ნამდვილად არა აქვთ საქმე, ზოგი ყიდულობს, ზოგიც ყიდის და სანამ ფეხბურთელთა უმეტესობა სხვადასხვა კურორტზე ისვენებს, მათი აგენტები ახალ კლუბებსა და ხელსაყრელ შემოთავაზებებს ეძებენ.

ნიკა ფუბლაძე

ხავიერ ძანეტი

ბატიფრანს

იუვენტუსის ქომაგი იუვენტუსში

ევრო 2000-ის ჩრდილში ერთი საგულისხმო ტრანსფერი შედგა: ფრანგი დავიდ ტრეზეგე „მონაკოდან“ ტურინის „იუვენტუსში“ გადავიდა. საგულისხმოაო, ამ ტრანსფერზე იმიტომ მოგახსენეთ, რომ ჯერ ერთი „ბებერი ქალბატონის“ ახალ შენაძენზეა ლაპარაკი და მეორეც, ეს შენაძენი ტრეზეგე გახლავთ, ფორვარდი, რომელიც ერთი კვირის წინ ევროპის ჩემპიონი გახდა, ფინალში ოქროს გოლი გაიტანა, მანამდე სილვენ ვილტორდს საგოლე პასი მიაწოდა, ხოლო ნახევარფინალში, პორტუგალიასთან „ოქროს“ პენალტი მოიპოვა.

რა გასაკვირია, რომ ყოველივე ამის მერე თავდამსხმელი მთელ მსოფლიოში ცნობილი გამხდარიყო, სამშობლოში კი გმირად გამოეცხადებინათ. სხვადასხვა შერქმეული სახელებიდან თავად დავიდს ყველაზე მეტად „ბატიფრანსი“ მოსწონს, იმიტომ, რომ ასე მას თვით გაბრიელ ბატისტუტას ადარებენ — ფრანგი ბატისტუტაოო.

დღეს ტრეზეგე ახალ გარემოს ეგუება, ტურინში ბინას ირჩევს და „სტადიო კომუნალეს“ (ძველი სტადიონი სადაც „იუვენტუსი“ ვარჯიშობს) მოედანს აჩვევს ფეხს.

„ჯერ ერთი „ბებერ ქალბატონში“ თამაშზე ნებისმიერი ფეხბურთელი ოცნებობს, ისედაც საყოველთაოდაა ცნობილი ამ კლუბის სიდიადის და პრესტიჟულობის ამბავი. მეორეც, ზინედინ ზიდანმა და დიდიე დეშამპმა დაწვრილებით ამიხსნეს რა და როგორ. მირჩიეს შანსი ხელიდან არ გამეშვა“ — განაცხადა თავდამსხმელმა და განაგრძო — „დღეს ჩემი კერპი ზიდანია. მის, ალესანდრო დელ პიეროსა და სხვა ვარსკვლავების მხარდამხარ თამაში ძალიან საამაყოა. ჯერ-ჯერობით მეუღლესთან ერთად ტურინში რამდენიმე დღეს დავყოფ, ბინას შევარჩევთ. შემდეგ კი მონაკოში დავბრუნდებით და ჩვენს ბიჭუნას სადმე დასასვენებლად წავიყვანთ“.

ასეთია ტრეზეგეს უახლოესი გეგმები, რასაც გასაგებია რაც მოყვება — დაუსრულებელი ვარჯიში და სერია A-სა და ჩემპიონთა ლიგის მომქანცველი სეზონი დიდი ანაზღაურებით.

ზემოთ კი ბატიფრანსი ვახსენეთ და უნდა მოგახსენოთ, რომ ტრეზეგე ბატისტუტას მხოლოდ ამპლუის და ყოჩაღობის გამო არ შეადარეს. ამ შედარებას კიდევ ერთი მიზეზი აქვს, დავიდი გაბრიელის მსგავსად წარმოშობით არგენტინელია. იგი 1977 წლის 15 ოქტომბერს მართალია საფრანგეთის ქალაქ რუანში დაიბადა, მაგრამ არგენტინელმა მამამ, რომელიც იმხანად ფრანგულ ლიგაში პროფესიულ ფეხბურთს მისდევდა, მალე სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა. ამის გამო ტრეზეგეს ბავშვობამ ოკეანის გაღმა, ქუჩაში ბურთის დევნაში გაიარა, ხოლო 15 წლისამ უკვე პროფესიონალი ფეხბურთელის კონტრაქტი გააფორმა. 1993-94 წლების სეზონში, 16 წლის თავდამსხმელმა ბუენოს აირესის ნაკლებად ცნობილ კლუბში, „პლატენსეში“ სადებიუტო მატჩიც ჩაატარა, მაგრამ იმ ჩემპიონატში მხოლოდ სამჯერ, მომდევნოში კი სულ ორჯერ ათამაშეს. და მაინც, ტრეზეგემ ჯებირი გაანგრია — 1995 წელს წარსულში დიდმა ფრანგმა ფეხბურთელმა, იმხანად „მონაკოს“, დღეს კი ინგლისური „ფულემის“ მწვრთნელმა ჟან ტიგანამ ყმაწვილი საგრაფოში წაიყვანა.

დავიდ ტრეზეგე

ტრეზეგეს სახელი და დიდება არც მონაკოში დაატყდა ხელადვე. ორ წელიწადს მან სულ ცხრა შეხვედრაში მონაწილეობა იკმარა, მაგრამ 1997-98 წლების სეზონში, როდესაც გუნდიდან ბრაზილიელი სონი ანდერსონი წავიდა, დავიდმა ჩემპიონატის 27 მატჩში 18 და ჩემპიონთა ლიგის 9 თამაშში 4 გოლით გამოიჩინა თავი. შემდეგ აეწყო და აეწყო — საფრანგეთის პირველ დივიზიონში ამიერიდან „იუვენტუსის“ თავდამსხმელს 93 შეხვედრაში 52 გოლი აქვს გატანილი.

ორიოდ სიტყვით ტრეზეგეს სანაკრებო კარიერაზეც: 18 წლამდელთა შორის იგი ევროპის ჩემპიონი გახდა, 20 წლამდელთა მსოფლიოს პირველობაზე ბომბარდირთა სიაში მეორე ადგილზე გავიდა, ხოლო 1998 წლის 28 იანვარს საფრანგეთის მთავარი ნაკრების ფორმა მოირგო პირველად და იმავე წელსვე მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. დღეს, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონის გვარის გასწვრივ ეროვნულ გუნდში 18 თამაში და 7 გოლი წერია, რომელთაგან ერთი ოქროს გოლი გახლავთ.

თუმცა, ამ შემთხვევაში იცით, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი? ის, რომ დავიდ ტრეზეგე ბავშვობიდან „იუვენტუსს“ ქომაგობს.

მიხეილ სურგულაძე

ძაკერონის პრობლემები და ერთი ლაურეატი

ITALIAში გუნდები ახალი სეზონისთვის როგორც უხერხდებათ ისე ემზადებიან. „მილანს“, მაგალითად, სამი ფეხბურთელი, რობერტო აიალა, დიდა და როკე ჟუნიორი სამხრეთ ამერიკაში გაურბის, რათა იქ, შშობლიური არგენტინის და ბრაზილიის ნაკრებთა შემადგენლობაში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრებში ითამაშონ. გამოდის, რომ ამ ეტაპზე მწვრთნელს, ალბერტო ძაკერონის, მთავარ განაცხადში შეყვანილი 34 ფეხბურთელიდან სხვადასხვა მიზეზის გამო 25 რჩება.

და აქამდე, რა, აწყობილი ჰქონდა მომზადების საქმე? არა, ცხადია. მილანელებს ხომ ევრო 2000-ზე წასული კრისტიან აბიატი, დემეტრიო ალბერტინი, მასიმო ამბროზინი, პაოლო მალდინი, ოლივერ ბირჰოფი და თომას ჰელვეგი აკლდათ.

აიალა, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, პარასკევს არგენტინის ნაკრების თავკაცთან მარსელო ბიელასთან უნდა გამოცხადდეს, რათა იქითა ოთხშაბათს, 19 ივლისს, ბუენოს აირესში ეკვადორთან, ხოლო ერთი კვირის შემდეგ სან პაულუში ბრაზილიასთან ითამაშოს.

იმავდროულად, დიდა და როკე ჟუნიორი ბრაზილიის ეროვნული გუნდის თავკაცს, ვანდერლეი ლუქსემბურგოს უნდა ეახლონ 18-ში, ასუნსიონში, პარაგვაისთან, და შემდეგ არგენტინასთან სათამაშოდ.

მდგომარეობა იბრაჰიმ ბას და ზვონიმირ ბობანის ნელმა გამოჯანმრთელებამაც გაართულა. გასულ სეზონში ორივემ მუხლის ოპერაცია გაიკეთა და ჯერ ვერ ვარჯიშობენ.

საეჭვოა ბირჰოფის ამბავიც. მას ხომ მყესი აქვს დაზიანებული. გერმანელი და დანიელი ჰელვეგი „მილანს“ მხოლოდ შაბათს შეუერთდებიან.

რაც შეეხება გუნდის ვეტერან მცველს, ალესანდრო კოსტაკურტას, იგი „გაეტანო შირეას სახელობის“ ჯილდოს ლაურეატი გახდა. გაეტანო შირეა, მოგეხსენებათ, იტალიის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ფეხბურთელი იყო, რომელიც კარიერის დამთავრების შემდეგ, პოლონეთში, ავტოკატასტროფაში დაიღუპა. მისი სახელობის პრიზით კი აჯილდოვებენ ღვაწლმოსილ, სანიმუშო კარიერა გამოვლილ მოთამაშეებს.

წლეულს ეს პატივი „ფიორენტინას“ ნახევარმცველს, ანჯელო დი ლივიოს, „ბოლონიას“ მეკარეს, ჯანლუკა პალიუკასა და კოსტაკურტას ერგოთ.

კოსტაკურტამდე მილანელთაგან შირეას პრიზის ლაურეატები იყვნენ ფრანკო ბარეზი (1994), მაურო ტასოტი (1996) და რობერტო დონადონი (1998)

ალესანდრო კოსტაკურტა

ფეხბურთის რუკიდან

ISრაელის ნაკრების ფორვარდი ჰაიმ რევივო „სელტადან“ „ფენერბაჰჩეში“ გადავიდა. თურქებმა ვიგოურ კლუბს ფეხბურთელის სანაცვლოდ 4,5 მილიონი გირვანქა გადაუხადეს. „ისრაელი და თურქეთი გეოგრაფიულად ახლოს არიან, სტამბოლში ჩამოსვლა ნამდვილად სასიამოვნოა. მჯერა, „ფენერბაჰჩეში“ დიდ წარმატებებს მივაღწევ“ — განაცხადა რევივომ პრესკონფერენციაზე. „ფენერბაჰჩემ“ სულ ახლახან „ბოლონიას“ შვედი ფორვარდი კენეტ ანდერსონიც შეიძინა. 32 წლის ფეხბურთელს „ოლიმპიკი“, „ფიორენტინა“ და „გალათასარაი“ ეპატიჟებოდნენ, მაგრამ მან „ფენერბაჰჩე“ არჩია. მიღებული სატრანსფერო თანხით „ბოლონია“ „ბარის“ ნახევარმცველის, დანიელ ანდერსონის ყიდვას აპირებს.

ARგენტინელი ფორვარდი ერნან კრესპო თითქმის ლაციოელია. რომაული კლუბის პრეზიდენტი სერჯიო კრანიოტი აცხადებს: „99 პროცენტით გარკვეულია, რომ კრესპო ჩვენთან ითამაშებს. ივლისის ბოლომდე კონტრაქტს, ალბათ, გავაფორმებთ“. კრანიოტის ფინანსური დეტალები არ გაუმხელია, იტალიური პრესა კი იუწყება, რომ კრესპოს სანაცვლოდ „ლაციო“ „პარმაში“ არგენტინელ ნახევარმცველ მატიას ალმეიდას გაუშვებს და ფულსაც დაუმატებს. რომაულ გრანდს „ბარსელონას“ ჰოლანდიელი ნახევარმცველის, ბუდვინ ზენდენის შეძენაც სურს და კატალონიელებს უთვლის, ეგ ფეხბურთელი 12 მილიონ დოლარად მომყიდეო. ჰოლანდიელის გადაბირება თურმე „ჩელსის“ იტალიელ თავკაც ჯანლუკა ვიალისაც განუზრახავს.

RუმინელI თავდამსხმელი ადრიან მუტუ მილანის „ინტერიდან“ „ვერონაში“ გადავიდა. 21 წლის ფეხბურთელმა, რომელიც მის ახალ კლუბს 7 მილიონ გირვანქად დაუჯდა, ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „ვერონას“ პრეზიდენტის თქმით, ისინი „მილანის“ 36 წლის მეკარის, სებასტიანო როსის შეძენასაც გეგმავენ. კლუბის თავკაცად, ალბათ, ატილიო პეროტი დაინიშნება, ამჟამინდელი მწვრთნელი ჩეზარე პრანდელი კი „ვიჩენცას“ მიაშურებს.

ფრანგულმა „მარსელმა“ ბრაზილიის 21-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელი ადრიანო იყიდა. კლუბმა ნახევარმცველთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 22 წლის ადრიანო „ატლეტიკო პარანენსეში“ თამაშობდა. იგი, ალბათ, სიდნეის ოლიმპიადაზეც იასპარეზებს. „ოლიმპიკის“ ბრაზილიელი მწვრთნელი აბელ ბრაგა გუნდში კიდევ ერთი თანამემამულის, ოსეასის ჩაყვანას აპირებს, რომელიც „კრუზეიროში“ თამაშობს. თუმცა, ფრანგები ბრაზილიელებთან ჯერჯერობით სატრანსფერო თანხაზე ვერ შეთანხმდნენ.

ESპანეთის ნაკრების მეკარე ხოსე ფრანსისკო მოლინა, ალბათ, ქვეყნის ჩემპიონ „დეპორტივოში“ გადავა, ლაკორუნიულმა კლუბმა მადრიდის „ატლეტიკოსთან“ შეთანხმება თითქმის მიაღწია. სააგენტოების ცნობით, მხარეები ექვსწლიან კონტრაქტს კვირის ბოლომდე მოაწერენ ხელს. სატრანსფერო თანხა 3,7 მილიონი დოლარია. შეგახსენებთ, რომ მოლინა ესპანეთის ნაკრების კარს ევროპის ჩემპიონატზე იცავდა, თუმცა ნორვეგიასთან უხეში შეცდომის გამო იგი სანტიაგო კანონარესმა შეცვალა.

NორვეგიIს ნაკრების მეკარეს ტომას მირეს შეუძლია აირჩიოს — „ლევერკუზენი“ ან „ჰამბურგი“. „ევერტონის“ ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ, მერე შესაძლოა, მირე ჩვენთან გადმოვიბიროთ“ — განაცხადა „ჰამბურგის“ ოფიციალურმა წარმომადგენელმა. გოლკიპერს გულგრილად არც გერმანიის ვიცე-ჩემპიონი „ლევერკუზენი“ უყურებს. გუნდის ხელმძღვანელები ოფიციალურად ადასტურებენ, რომ ნორვეგიელის თავიანთ რიგებში ხილვა მათაც სურთ.

ITალიIს ვიცე-ჩემპიონ „იუვენტუსის“ კაპიტნის, ანტონიო კონტეს შეძენა „ასტონ ვილასა“ და „ჩელსის“ განუზრახავთ. 30 წლის ფეხბურთელმა, რომელიც ამჟამად დაშავებულია, დაადასტურა, რომ პრემიერლიგიდან მიწვევა მიიღო, თუმცა დასძინა, რომ კარიერას, ალბათ, ტურინულ კლუბში დაასრულებს. „ადრეც მითქვამს, რომ კარიერის დასრულება „იუვენტუსში“ მინდოდა, ისე კი პრემიერლიგაში მართლაც მეპატიჟებიან“ — თქვა ნახევარმცველმა. შეგახსენებთ, რომ ევრო 2000-ზე იტალიარუმინეთის შეხვედრის დროს კონტე მძიმედ დაშავდა. იგი გეორგე ჰაჯიმ დაამტვრია.

SაფრანგეთIს ნაკრების მეორე მეკარე ბერნარ ლამა მალე ალბათ პსჟ-დან „რენში“ გადავა. იგი ახალ გუნდში კრისტოფ რევოს შეცვლის, რომელიც ესპანეთში აპირებს კარიერის გაგრძელებას. ერთ-ერთი ფრანგული სააგენტოს ცნობით, ლამას შეძენა ბრაზილიურ „კორინთიანსს“ სურდა, თუმცა ეს შეთანხმება სავარაუდოდ არ განხორციელდება. 37 წლის მეკარე ახალ კლუბს თებერვლის შემდეგ ეძებს, მას მერე, რაც პსჟ-მ მასთან კონტრაქტის გაგრძელება ურ ისურვა.

ARგენტინელმა ნახევარმცველმა არიელ ორტეგამ მომავალი სეზონი შესაძლოა „მილანში“ დაიწყოს. ერთ-ერთი სააგენტოს ცნობით, „მილანის“ დირექტორი არიელო ბრაიდა მის პარმელ კოლეგასთან უკვე აწარმოებს მოლაპარაკებებს. „პარმა“ არგენტინელს ალბათ გაყიდის, თუმც სატრანსფერო თანხა მათ ჯერ არ განუცხადებიათ. „პარმადან“ „მილანში“ შესაძლოა ფრანგი მცველი ლილიან ტურამიც გადავიდეს — ალბერტო ძაკერონის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის გადაბირებაც განიზრახა. რამდენიმე თვის წინ ტურამი „მანჩესტერ იუნაიტედსაც“ სურდა, მაგრამ კლუბები ვერ შეთანხმდნენ.

BრაზილიIელI დენილსონი შესაძლოა სამშობლოში დაბრუნდეს და კარიერა „ფლამენგოში“ გაგრძელოს. ფეხბურთელის აგენტის ცნობით, მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს. დენილსონის გაყიდვაზე უარს ალბათ არც „ბეტისი“ იტყვის. სევილიურმა კლუბმა ბრაზილიელი ფორვარდი დიდძალ თანხად შეიძინა, მაგრამ დენილსონმა აშკარად ვერ გაამართლა. რამდენს იხდის „ფლამენგო“, ჯერჯერობით არავინ იცის, თუმცა იმ თანხას, რომელიც დენილსონის სანაცვლოდ გაიღო, „ბეტისი“ ალბათ ვერასდროს აინაზღაურებს.

INგლისურმა „არსენალმა“ შესაძლოა ესპანელი მეკარე ტონი პრატსი შეიძინოს. ერთ-ერთი სააგენტოს ცნობით, არსენ ვენგერი გოლკიპერის სანაცვლოდ 6 მილიონ დოლარს იხდის. იმავე სააგენტოს შეუტყვია, რომ ლონდონელთა ახლანდელი კარის დარაჯი დევიდ სიმენი „ნიუკასლ იუნაიტედში“ აპირებს გადასვლას, სატრანსფერო თანხა 2,4 მილიონი დოლარია. ესპანეთის პირველი დივიზიონიდან გავარდნილი „ბეტისი“ პრატსს ალბათ გაჰყიდის. ფეხბურთელის აგენტი ირწმუნება, რომ ტონის „ასტონ ვილაშიც“ იწვევენ.

RუსI ნახევარმცველი დმიტრი ალენიჩევი იქნებ „პორტუში“ ვიხილოთ. ფეხბურთელი მალე პორტუგალიაში ჩასვლას და კლუბის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებას აპირებს. აღრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ „სპარტაკის“ ყოფილი ფეხბურთელი „გალათასარაიში“ მიდიოდა, მაგრამ შეთანხმება რატომღაც ჩაიშალა. ალენიჩევი ამჟამად „პერუჯაში“ ირიცხება. იგი იქ „რომადან“ გადავიდა. როგორც რუსმა აღნიშნა, „პორტუსა“ და „გალათასარაის“ შორის იგი „პორტუს“ აირჩევს.

აბელ შავიერის, ნუნუ გომეშისა და პაულუ ბენტუს ბედი აგვისტოში გადაწყდება

უეფას სადისციპლინო კომისიამ პორტუგალიელი ფეხბურთელები: აბელ შავიერი, ნუნუ გომეში და პაულუ ბენტუ რომ დასაჯა, იცით. თუ რატომ, ესეც კარგად მოგეხენებათ, ევრო 2000-ის ნახევარფინალში საფრანგეთთან მატჩის 115-ე წუთზე მათ ავსტრიელ მსაჯ გიუნტერ ბენკოზე თავდასხმა დაედოთ ბრალად.

ზემოთ ჩამოთვლილი მოთამაშეები ამ ხნის მანძილზე, ცხადია, ვერც ერთ საერთაშორისო შეჯიბრში მიიღებდნენ მონაწილეობას. მაშინ უეფას ეს გადაწყვეტილება უმკაცრესად მიიჩნიეს. პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციამ უეფას აპელაციით მიმართა, სამართალს აუცილებლად ვნახავთო.

უეფას სააპელაციო კომისიამაც საჩივარი მიიღო და გადაწყვიტა, აბელ შავიერისთვის, ნუნუ გომეშისა და პაულუ ბენტუსთვის დისკვალიფიკაციის შესაძლო მოხსნის საკითხი აგვისტოს დასაწყისში განიხილოს.

ერთი სიტყვით, დავიცადოთ აგვისტომდე.

ათამაშებს უეფა აბელ შავიერს (მარცხნივ) და მის მეგობრებს?

არგენტინა

მე-18 ტური. სან ლორენსო — ხიმნასია ხუხუი 3:1; ესტუდიანტესი — ინდეპენდიენტე 1:1; ბოკა ხუნიორსი — ბელგრანო 5:1; ტალერესი — ხიმნასია ლა პლატა 2:0; კოლონი — ლანუსი 3:0; როსარიო სენტრალი — არგენტინოს ხუნიორსი 3:1; რასინგი — უნიონი 6:0; ინსტიტუტო — ველეს სარსფილდი 1:2; ფერო კარილი — რივერ პლეიტი 0:3; ჩაკარიტა — ნიუელს ოლდ ბოიზი გადაიდო

კვირას „რივერ პლეიტმა“ სტუმრად „ფერო კარილს“ 3:0 მოუგო და მდევართაგან დაუწეველი შეიქნა. ამრიგად, „რივერმა“ კლაუსურა მოიგო და რაკი აპერტურას (ჩემპიონატის პირველი ეტაპი) გამარჯვებულიც ის იყო, არგენტინის ჩემპიონად გამოცხადდა.

ყველაზე სასეირო ამბები კი მატჩის მერე მოხდა. რივერელებმა მოედანს საპატიო წრე შემოუარეს და ის იყო, გასახდელში უნდა გასულიყვნენ, რომ ქომაგთა მძევლებად იქცნენ, ქომაგები კი მათ მრავლად ახლდათ.

გულშემატკივრებს, ცხადია, მოთამაშეთა აღკაზმულობის ხელში ჩაგდება სურდათ. მაისურებს და ბუცებს იოლად დაეუფლნენ, აი, ტრუსებზე რომ მიდგა ჯერი, ფეხბურთელები გაძალიანდნენ, ადვილად არ ეომბოდათ, მაგრამ შემოტევას როგორ გაუძლებდნენ?

მეკარე რობერტო ბონანომ საკუთარი ტრუსისთვის ბრძოლაში ცხვირი გაიტეხა, მაგრამ საქმეს ამან ვერ უშველა — მაინც შიშველი დარჩა, „რივერ პლეიტის“ კოლუმბიელი ლეგიონერის, მარიო იეპესის ფორმის გამო კი მეტი სისხლი დაიღვარა, ქომაგებმა მაისურა ვერ გაიყვეს, ნაფლეთებად აქციეს და ერთმანეთსაც თავპირი დაამტვრიეს.

სტრიპტიზი ისევ პოლიციამ აღკვეთა, ხოლო ასამდე გულშემატკივარი განყოფილებაში მიაბრძანა.

არა უშავს, რივერელები შიშვლები კი დარჩნენ, მაგრამ ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს და ამის კვალობაზე მცირე უსიამოვნება რა სახსენებელია.

რივერ პლეიტი	18	12	5	1	42:15	41
ბოკა ხუნიორსი	18	10	5	3	36:15	35
სან ლორენსო	18	11	2	5	25:13	35
კოლონი	18	10	3	5	37:26	33
ინდეპენდიენტე	18	10	3	5	40:24	33
ველესი	18	8	7	3	26:17	31
უნიონი	18	9	2	7	27:36	29
ოლდ ბოიზი	17	8	4	5	29:21	28
ტალერესი	18	7	5	6	19:21	26
ლანუსი	18	7	4	7	31:22	25
ლა პლატა	18	7	4	7	28:33	25
ინსტიტუტო	18	6	6	6	26:27	24
როსარიო	18	6	5	7	24:24	23
ბელგრანო	18	6	4	8	27:29	22
არგ. ხუნიორსი	18	4	6	8	21:35	18
ჩაკარიტა	17	4	5	8	16:28	17
ესტუდიანტესი	18	3	7	8	21:29	16
რასინგი	18	3	6	9	22:28	15
ხუხუი	18	2	3	13	13:32	9
ფერო კარილი	18	2	2	14	9:44	8

„რივერ პლეიტი“ არგენტინის აბსოლუტური ჩემპიონია

REUTERS მუნნის აირსიდან

რუსეთი

XVI ტური

კრილია 0:2 ლოკომოტივი

0:1 ხარლაჩევი (19), 0:2 ლოსკოვი (52)

ფოფხაძემ ვერ გაიტანა პენალტი (42, ააცილა, კრილია)

დინამო 2:2 ჩერნომორეცი

1:0 მედვედევი (5), 1:1 პოპოვი (33), 1:2 პრიზეტკო (75), 2:2 მედვედევი (86)

ნ. ნოვგოროდი 0:1 ტორპედო

0:1 ვიაზმიკინი (54)

როტორი 3:0 როსტსელმაში

1:0 პავლიუჩენკო (12), 2:0 ესიპოვი (73), 3:0 კრივოვი (79)

ფაკელი 0:0 ალანია

სპარტაკი 2:0 ურალანი

1:0 რობსონი (3), 2:0 ბუზნიკინი (87)

სატურნი 2:1 ცსკა

1:0 მოვსესიანი (36პ), 1:1 ხომუხა (68პ), 2:1 როგაჩევი (88)

СПОРТ-ЭКСПРЕСС

დინამო — ჩერნომორეცი 2:2. მოსკოველები დებიუტანტ ალექსეი მედვედევის დუბლმა იხსნა

შაბათს ჩემპიონატის მე-16 ტურის შვიდი მატჩი გაიმართა. ამ ტურის ერთი შეხვედრა სანქტ პეტერბურგის „ზენიტსა“ და მახაჩყალის „ანჟის“ შორის ადრე ჩატარდა. პეტერბურგელები კვირას სლოვენიურ ქალაქ აიდოვშინას სტუმრობდნენ ინტერტოტოს თასის მეორე ეტაპზე „პრიმორიესთან“ საპასუხო თამაშის ჩასატარებლად და აქვე გეტყვით, „ზენიტმა“ პირველის დარად მეორეჯერაც იოლად მოიგო 3:1.

ტურის ცენტრალური შეხვედრა „პეტროვსკი პარკში“ გამართული „დინამო“ — „ჩერნომორეცი“ იყო. მოსკოვური გუნდების რისხვა ნოვოროსიისკელმა გუნდმა პრესტიჟი ამჯერადაც დაიცვა და მოსკოვიდან ქულით ხელდამშვენებული გაბრუნდა შინ. რომ არა ვალერი გაზაევის მიერ ახალნაყიდი ალექსეი მედვედევი, რომელმაც ოთხი წუთით ადრე გაათანაბრა ანგარიში, სტუმრები, ალბათ, სამ ქულასაც გამოჰკრავდნენ ხელს.

სამარაში ქართველები შეებრძოლნენ (რა თქმა უნდა, მინდორზე) ერთმანეთს. რკინიგზელი ზაზა ჯანაშია იური სიომინმა მეორე ტაიმში შეცვალა, ვერც ზურაბ ფოფხაძემ გაშალა ფრთები. 42-ე წუთზე „კრილიას“ კაპიტანს პენალტი რომ გაეტანა, 1:1-ზე სულ სხვა თამაში წავიდოდა, ასე კი „ლოკომოტივმა“ 2:0, შეიძლება ითქვას, იოლად მოიგო.

არ შედგა ოთარ ხიზანეიშვილის დებიუტი „სპარტაკის“ რიგებში. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ხიზანეიშვილის სატრანსფერო ფურცელი, როგორც ჩანს, ჯერ არ გაუგზავნია მოსკოვში, „სპარტაკმა“ ჯერ თბილისის „დინამოს“ გადაუხადოს საკომპენსაციო თანხა და მერეო. ქართველების „ალანიამ“ ვორონეჟში ფრედ ითამაშა, თუმცა მოგებაც შეეძლო. საკმაოდ ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენეს ჯერ ბრაზილიელმა პაულუ ემილიუმ და მერე ქართველმა მიხეილ აშვეთიამ.

					გიორგი ვაშაკიძე	
სპარტაკი	17	14	1	2	39:14	43
ლოკომოტივი	16	10	5	1	18:6	35
ტორპედო	17	9	4	4	23:17	31
ჩერნომორეცი	16	8	5	3	28:11	29
ანჟი	16	9	2	5	25:14	29
დინამო	17	8	5	4	24:19	29
ზენიტი	17	8	4	5	23:14	28
სატურნი	16	8	3	5	16:14	27
ალანია	16	5	4	7	15:20	19
როტორი	16	5	4	7	18:28	19
როსტსელმაში	17	3	8	6	12:14	17
კრილია	16	5	0	11	17:31	15
ფაკელი	16	2	7	7	16:30	13
ცსკა	16	3	3	10	13:25	12
ურალანი	16	2	4	10	11:22	10
ნ. ნოვგოროდი	17	0	5	12	6:25	5

მოსკოვური დერბი ერთი დღით გადაიდო

რუსეთის ჩემპიონატის ორი ლიდერის, მოსკოვის წამყვანი კლუბების — „სპარტაკისა“ და „ლოკომოტივის“ მატჩი 15 ივლისს უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ერთი დღით გადიდო.

„15 ივლისს უმაღლესი დივიზიონის სხვა კალენდარული მატჩებიც უნდა ჩატარდეს. უსაფრთხოების მიზნით მოსკოვის პოლიციამ თხოვნით მოგვმართა, „სპარტაკი“ — „ლოკომოტივის“ მატჩი ერთი დღით გადაგვედო. ეს სტადიონზე და მის შემოგარენში წესრიგის დაცვას შეუწყობს ხელს“ — განაცხადა ფედერაციის პრესატაშემ.

ზედმეტი გართულების თავიდან ასაცილებლად ორგანიზატორებმა არ გარისკეს და ჩემპიონისა და ვიცე-ჩემპიონის შეხვედრა სხვა სტადიონზე გადაიტანეს. „ლოკომოტივის“ ნაცვლად მატჩს „დინამოს“ უმასპინძლებს.

ბოლო ხანს რუსეთში გულშემატკივრები სულ უფრო ხშირად არღვევენ წესრიგს. რამდენიმე თვის წინ იმავე „ლოკომოტივის“ სტადიონზე ორი მოსკოვური კლუბის „ლოკომოტივისა“ და ცსკა-სქომაგებმა ერთმანეთში ხელჩართული შეტაკება მოაწყვეს, შედეგად რამდენიმე ადამიანი დაშავდა. დაჭრილი ფანები საავადმყოფოში მოათავსეს.

ინტერტოტოს თასი. II ეტაპი

საპასუხო მატჩები. 8-9 ივლისი

INTERTOTO CUP

შტუტგარტი (გერმანია) 4:1 ქსამაქსი (შვეიცარია) (6:1)
პრიმორიე (სლოვენია) 1:3 *ზენიტი (რუსეთი)* (0:3)
დუკლა (ჩეხეთი) 3:2 ლინცერი (ავსტრია) (1:1)
ბრედფორდი (ინგლისი) 4:1 ატლანტასი (ლიტვა) (3:1)
ოლბორგი (დანია) 1:0 დინაბურგი (ლატვია) (0:0)
სტანდარდი (ბელგია) 1:1 პერუჯა (იტალია) (2:1)
ლეიფტური (ისლანდია) 2:3 *სედანი (საფრანგეთი)* (0:3)
ზალცბურგი (ავსტრია) 1:1 უნისპორტი (მოლდოვა) (6:2)
სიგმა (ჩეხეთი) 8:0 ველბაჟდი (ბულგარეთი) (0:2)
მოგილიოვი (ბელარუსი) 0:2 *ბლშანი (ჩეხეთი)* (2:6)
ფრიოლუნდა (შვედეთი) 0:0 *პელისტერი (მაკედონია)* (1:3)
ციბალია (ხორვატია) 0:0 *ტატაბანია (უნგრეთი)* (2:3)
აუსტრია (ავსტრია) 3:0 ნეა სალამინა (კვიპროსი) (0:1)
ჩაჰლაული (რუმინეთი) 3:1 მალიორკა (ესპანეთი) (1:2)
ოსერი (საფრანგეთი) 4:2 სტაბეკი (ნორვეგია) (2:0)
სლავენი (ხორვატია) 0:0 ზაგლებე (პოლონეთი) (1:1)

III ეტაპი. პირველი მატჩები — 15-16 ივლისს, საპასუხო — 22 ივლისს

სელტა (ესპანეთი) — პელისტერი (მაკედონია)
ოლბორგი (დანია) — უდინეზე (იტალია)
სედანი (საფრანგეთი) — ვოლფსბურგი (გერმანია)
დუკლა (ჩეხეთი) — ასტონ ვილა (ინგლისი)
ბლშანი (ჩეხეთი) — კალამატა (საბერძნეთი)
ლანსი (საფრანგეთი) — შტუტგარტი (გერმანია)
ბრედფორდი (ინგლისი) — ვალვაიკი (ჰოლანდია)
როსტსელმაში (რუსეთი) — ოსერი (საფრანგეთი)
სლავენი (ხორვატია) — სიგმა (ჩეხეთი)
სტანდარდი (ბელგია) — ზალცბურგი (ავსტრია)
ჩაჰლაული (რუმინეთი) — აუსტრია (ავსტრია)
ზენიტი (რუსეთი) — ტატაბანია (უნგრეთი)

ბრაზილია

თასის ფინალი. საპასუხო მატჩი

***კრუზეირო* 2:1 სან პაულუ (0:0)**

ამხანაგური მატჩი

გვატემალა 1:0 სალვადორი

1:0 როდასი (85პ)

18 152 მაყურებელი

ნორვეგია

მე-13 ტური. ლილესტრიომი — ჰაუგესუნდი 4:1; ოდ გრენლანდი — ბრანი 4:2; რუსენბორგი — მოსი 5:1; სტარტი — ვოლერენგა 2:3; ტრომსიო — ბოდიო გლიმტი 4:1; მოლდე — ბრანი 0:1; *ვიკინგი — სტაბეკი გადაიდო*

რუსენბორგი	13	9	3	1	32:13	30
ბრანი	13	8	2	3	28:20	26
ვიკინგი	12	7	2	3	28:15	23
სტაბეკი	11	6	2	3	28:10	20
მოლდე	13	5	5	3	20:23	20
ოდ გრენლანდი	13	5	4	4	21:17	19
ტრომსიო	13	5	4	4	22:23	19
ლილესტრიომი	11	4	5	2	16:9	17
მოსი	13	4	4	5	16:21	16
ვოლერენგა	13	3	4	6	18:20	13
ბოდიო გლიმტი	12	3	4	5	20:29	13
ჰაუგესუნდი	13	3	1	9	19:36	10
ბრინი	13	2	3	8	17:31	9
სტარტი	13	1	3	9	14:32	6

შვედეთი

მე-10 ტური. ტრელებორგი — გაის 0:2; აიკ — სუნდსვალი 2:1; ელფსბორგი — იორებრო 2:1; ჰაკენი — ჰამარბი 2:2

ჰალმსტადი	9	6	1	2	16:6	19
აიკ	10	6	1	3	11:12	19
ჰელსინგბორგი	9	5	2	2	14:7	17
გოთენბორგი	9	4	4	1	16:9	16
ელფსბორგი	10	5	0	5	16:14	15
ნორჩიოპინგი	9	4	2	3	14:9	14
ჰამარბი	10	4	2	4	12:13	14
იორებრო	10	3	4	3	17:15	13
სუნდსვალი	10	3	3	4	13:15	12
იორგრიტე	9	4	0	5	8:12	12
ტრელებორგი	10	3	2	5	9:11	11
ჰაკენი	10	2	4	4	14:18	10
გაის	10	1	5	4	8:13	8
ფრიოლუნდა	9	1	2	6	4:18	5

კაცი, რომელსაც სხვა გზა არ ჰქონდა

„ჰო, მართლა, რა ბედი ეწია იმ ბიჭს, ერთხელ გასასინჯად რომ მომიყვანე?“ — ჰკითხა ლეგენდარულმა ჯუზეპე მეაცამ უმბერტო დონდას.

უმბერტო დონდა სელექციონერი გახლდათ. იგი ქალაქ-ქალაქ აგროვებდა ნიჭიერ ყმაწვილებს და დიდ კლუბებში მიჰყავდა. დონდას ალღოს იშვიათად გამოეპარებოდა მომავალი ვარსკვლავი.

„ისეთი არაფერი“ — უპასუხა დონდამ — „მისგან ის დინო ძოფი გამოვიდა გასულ კვირაში ნაკრების კარში რომ იდგა. დღეს კი მეორედაც ითამაშებს“.

თან არ იკითხავთ სად გაიმართა სელექციონერისა და მეაცას საუბარი? „სან სიროზე“, მილანის იმ სტადიონზე, დღეს ისტორიულთან ერთად ჯუზეპე მეაცას სახელს რომ ატარებს, უფრო სწორედ ოფიციალურად სწორედ „ჯუზეპე მეაცა“ ჰქვია.

1934 და 1938 წლების მსოფლიო ჩემპიონი, მეაცა, „ინტერის“ მწვრთნელი იყო უმბერტო დონდამ ჭაბუკი მეკარე რომ მიუყვანა და უქო. დიდ საფეხბურთო მოღვაწეს სწამდა დონდას ნიჭისა და ალღოსი, მაგრამ ორგზის შემოწმების მერე უარი უთხრა სკაუტსა და პროტეჟეს, რომელთათვისაც უარი უკვე ჩვეული პასუხი იყო.

არადა 1942 წლის 28 თებერვალს, ვენეციის ახლოს, მარიანო დელ ფრუილეში დაბადებულ დინო ძოფს კარში დგომა კი არ სურდა, სჭირდებოდა. ის აუცილებლად მეკარე უნდა გამხდარიყო, რათა ცხოვრებაში თავი გამოევლინა, მისთვის განკუთვნილი ადგილი ეპოვნა.

რამდენჯერ გვსმენია და წაგვიკითხავს ლამაზი ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ მოუხდა ერთ მშვენიერ დღეს რომელიღაც ბიჭს გრიპიანი ამხანაგის ნაცვლად კარში ჩადგომა, მერე კი სახელგანთქმული მეკარე გახდა. ძოფი ბავშვობიდან სხვა იყო. მას შემთხვევა არ სჭირდებოდა, მას მერე რაც პირველად შეეხო ბურთს, სწორედ კარში თამაში სურდა.

მაგრამ უბედურება ის გახლდათ, რომ ძოფს ოცნების ასრულებაში ყოველ ნაბიჯზე ხელს უშლიდნენ. ჭაბუკთა გუნდში სიმაღლე დაუწუნეს და ძალით არბენინეს მოედანზე წინ და უკან, სხვადასხვა ამპლუაში. მშობლიური ქალაქის ბავშვთა გუნდში, „მარიანენსეში“ ორჯერ ანდეს კარი და ხელი ჩაიქნიეს, ასეთ კაფანდარას გოლკიპერად არაფერი ესაქმებაო.

შემდგომ სამ წელიწადში 12 სანტიმეტრით გაზრდილმა ძოფმა ისევ მიაკითხა „მარიანენსეს“ მწვრთნელებს, მაგრამ კვლავ უხეში პასუხი მიიღო. საგონებელში ჩავარდნილ მოზარდს დონდამ სულზე მიუსწრო. აკი ვთქვით, რომ ამ კაცს ნიჭის შემჩნევის საგანგებო უნარი ჰქონდა ღვთისგან მიმადლებული. დონდამ ხელი ჩასჭიდა დინოს და ტურინს წაიყვანა, სადაც არც მეტი, არც ნაკლები, „იუვენტუსს“ მიუკაკუნა კარზე. „ბებერ ქალბატონს“ იმხანად რენატო სეზარინი ედგა სათავეში. სეზარინიმ ძველებური განაჩენი გამოუტანა 16 წლის ყმაწვილს:

„შენ დაახლოებით ოთხი, შეიძლება მეტი სანტიმეტრის გაზრდა გჭირდება. წადი, წამოიზარდე და მერე დაბრუნდი“.

დინო ძოფი

ეს სიტყვები ფეხბურთზე ფიქრს თავი დაანებეო, ასე ჟღერდა, მაგრამ სწორედ მათ გამო გადაიხადა „იუვენტუსმა“ ერთი ხნის მერე 750 ათასი დოლარი იმ კაცის საყიდლად, რომელიც მაშინ მორცხვად მიდგომოდა კარს და შეშვებას ეხვეწებოდა.

ტურინელთა უარმა დონდა ვერ გატეხა. მან პროტეჟეს ხელი ჩასჭიდა და მილანში ჩაიყვანა, სადაც, როგორც მოგახსენეთ, „ინტერის“ სახელგანთქმულ მწვრთნელ პეპინო მეაცას მიადგა. მეაცას პასუხი ზემოთ ვთქვით...

კარიდან კარზე კარში ჩასადგომად წანწალით გათანგული დინო ძოფის დებიუტი იტალიის სერია A-ში, 1961 წლის სექტემბერში, „უდინეზეს“ შემადგენლობაში შედგა. იმ სეზონში ყველას პირზე ეკერა სენსაცია: „უდინეზემ“ თვით „იუვენტუსი“ დაამარცხა. ყბადაღებულ შეხვედრაში უდინელთა კარს დინო ძოფი იცავდა.

სეზონის ბოლოს ყოჩაღი გოლკიპერი „მანტოვამ“ შეიძინა. ახალ კლუბში მან უმალ მოიპოვა ლიდერის სახელი და საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო. ძოფის შეძენით სხვადასხვა გუნდები დაინტერესდნენ. 1966 წელს ოდესღაც ცხვირაბზუებულმა „იუვენტუსმა“ და „ინტერმა“ გვარიანი ვაჭრობა გააჩაღეს, რომელიც მილანელთა გამარჯვებით დამთავრდა, თუმცა „შავ-ლურჯებმა“ 1968 წელს იგი „ნაპოლის“ დაუთმეს.

იმავე 1968 წელს ძოფმა „სკუადრა აძურას“ შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა.

„ნაპოლიში“ თამაშის დროს მოგვიანებით პაპა დინოდ მონათლულმა გოლკიპერმა რეკორდი დაამყარა — 903 წუთის განმავლობაში გოლი არ გაუშვია, მაგრამ რაკიღა სიტყვამ რეკორდი მოიტანა, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ მის მიერ ნაკრებში დამყარებულ მიღწევას — 1143 უგოლო წუთი.

სარეკორდო ათვლა 1972 წლის 20 სექტემბერს დაიწყო. იმ დღეს იტალიამ იუგოსლავიას 3:1 მოუგო. ძოფის კარში გოლი თანაგუნდელმა, მცველმა აგროასიმ გაიტანა შეხვედრის დამთავრებამდე 17 წუთით ადრე, მერე კი ამ 17 წუთს 1126 დაემატა.

ძოფის კარი ვერაფრით დალაშქრეს ინგლისელმა, ბრაზილიელმა, გერმანელმა და სხვა მოწინავე ქვეყნების საუცხოო თავდამსხმელებმა, 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე კი „სკუადრა აძურას“ მეტოქედ ჰაიტი ერგო და მისმა ფორვარდმა, ვინმე სანონმა შეაჩერა თითქმის ორი წლის წინ ჩართული წამზომი.

უცნაურია ცხოვრება, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ის, რაც დიდმა მოიერიშეებმა ვერ მოახერხეს ჰაიტელმა სანონამ შეძლო, მეორეც იმიტომ, რომ სანონა ისტორიის წიგნში ასე თუ ისე გამორჩეულ ადგილზე მოხვდა, რასაც, რომ არა ეს იღბლიანი შემთხვევა, ვერასდროს შეძლებდა და ისევე ჩაიკარგებოდა უსახელობის უფსკრულში, როგორც უამრავი ჩაკარგული. და კიდევ, იმიტომაა ცხოვრება უცნაური, რომ როგორც მოგვიანებით, 1981 წელს ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენეს, დინო ძოფის ბიორიტმული მაჩვენებლები გფრ-ს ან ბრაზილიის ნაკრებთან თამაშის დროს გაცილებით დაბალი იყო, ვიდრე ჰაიტის ზომა-წონის გუნდებთან ასპარეზობის დროს.

და განა პაპა დინო არასდროს შემცდარა? ცხადია, შემცდარა. როგორც ვთქვით, 1968 წლის ევროპის ჩემპიონატზე „სკუადრა აძურას“ კარს იგი იცავდა, 1970-ის მსოფლიოს ჩემპიონატზე კი ძოფს ალბერტოზის სათადარიგოობა ხვდა წილად. მერე, 1974 და 1978 წლების პირველობებზე, იტალიელთა ეროვნული გუნდი ისევ დინო ძოფით იწყებოდა, მაგრამ არგენტინა 78-ზე მან სამი გოლი შორეული დარტყმით გაუშვა. ამ გოლების ავტორები გახლდნენ ჰოლანდიელები ჰაანი და ბრანდტსი, აგრეთვე ბრაზილიელი ნელინიო. მოკლედ, 1978 წელი დიდ გოლკიპერს უიღბლოდ ჩაუთვალეს და არ ელოდნენ, რომ 1982-ში იტალიელთა მაშინდელი თავკაცი, ენცო ბეარზოტი ისევ მას ანდობდა კარის დაცვას, მაგრამ ბეარზოტმა არავის უგდო ყური.

1982 წელს, ესპანეთში, „სკუადრა აძურა“ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ამ ტრიუმფში დინო ძოფის წვლილი უდიდესი გახლდათ.

„მისი თავური, თამაშის ბოლო წუთზე, ჩემგან მარცხნივ დარტყმული, ყველაზე რთული იყო ამ ჩემპიონატზე, ჩემი ნახტომი კი ყველაზე ძნელად შესასრულებელი. კარის გასწვრივ ჩაწოდებულ ბურთებსაც დიდი სიფხიზლე სჭირდებოდა, მაგრამ მე ყოველთვის უშეცდომოდ გამოვდიოდი და დაცვაც გაფაციცებული გახლდათ“ — იგონებდა მერე პაპა დინო გადამწყვეტ მატჩს ბრაზილიელებთან, რომელშიც, ბოლო წუთზე, მან საოცარი რეაქცია და ოსტატობა გამოავლინა სოკრატესის დარტყმის მოგერიებისას. იმავე მატჩში მან დროულად დასტოვა კარის ხაზი და ტონინიო სერეზოს გარღვევას უშეცდომოდ დაუხვდა.

ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, მიმომხილველი სერჯო კეტლე წერდა: „თავდამსხმელს, პაოლო როსის ხელეწიფება ისეთი გოლების გატანა, რომლებიც ბრაზილიის დარ ფავორიტებს ტურნირიდან გამოთიშავს. ამ გოლებმა გაიყვანეს იტალიის ნაკრები ფინალში, მაგრამ დინო ძოფის თამაში „სკუადრა აძურას“ წარმატებისთვის ასეთივე მნიშვნელობისა გახლდათ. სწორედ დინო ძოფის წყალობით, ფინალში ბრაზილიელებმა კი არა, იტალიელებმა ითამაშეს“.

იტალიისა და ბრაზილიის ნაკრებების შეხვედრა ერთადერთი არ ყოფილა, სადაც იმ დროს უკვე 40 წლის კარის მცველმა მოწინააღმდეგის ფორვარდები გააწბილა, მაგრამ დინო ძოფს ჩემპიონ „სკუადრა აძურაში“ კიდევ უფრო დიდი მისია ჰქონდა, ვიდრე მეტოქეთა დარტყმების მოგერიება. ეს მისია, ძოფი სროლი და აჟტორიტეტი, ნათლად ჩანს იქიდან, რომ იგი თანაგუნდელებმა ერთხმად აირჩიეს თავიანთ წარმომადგენლად პრესასთან ურთიერთობაში. ძოფს ნება მისცეს მთელი ნაკრების სახელით ელაპარაკა.

„ჩვენთვის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში თამაში უდიდესი პატივია. ხოლო ანგარიშის წინასწარმეტყველებას ვერ შევუდგები“ — თქვა ძოფმა გადამწყვეტი თამაშის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე. ესპანეთის სტადიონ მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუზე“ პლანეტის ყველაზე ძვირფასი თასის აღმართვის შემდეგ კი განაცხადა: „ჩვენ მხოლოდ ტიტულის მოპოვებისთვის არ ვთამაშობდით, ჩვენ ოჯახებისთვის, იტალიელი ქომაგებისთვის და ბოლოს და ბოლოს, საკუთარი სიამოვნებისა და სიხარულისთვის ვთამაშობდით. ვგონებ, ფეხბურთისადმი ჩვენი დამოკიდებულება სრულად გამოვხატეთ. შევეჯიბრეთ რამდენიმე ძალიან ძლიერ მოწინააღმდეგეს და დავამტკიცეთ, რომ ჩვენს სტილს მათსაზე გამარჯვება შეუძლია“.

საკლუბო ფეხბურთში კარიერის უდიდესი ნაწილი პაპა დინომ „ბებერ ქალბატონში“ გაატარა. „ნაპოლის“ მერე, 1972 წელს დაუკავშირა დიდმა იტალიელმა გოლკიპერმა თავისი ბედი ტურინის გუნდს და 1983 წელს, აურაცხელი ტიტულის მფლობელის რანგში დაასრულა კარიერა.

ნაკრებში 111 თამაში, რომელთაგან 58-ში კაპიტნობდა...

იტალიის ჩემპიონატის 566 შეხვედრა...

სანრემო, საკონცერტო დარბაზი...

მოწვეულთა შორის არიან წარსულის უდიდესი მეკარეები, ოლივიერი, სარტი, იაშინი... მხოლოდ ბრაზილიელმა ჟილმარმა და გერმანელმა მაიერმა ვერ შეძლეს ჩასვლა. თითოეულს ცალკე იძახებენ სცენაზე, ეკრანზე კი მათ საუკეთესო ნახტომებს, უბედნიერეს წუთებს აჩვენებენ. ისინი თბილი სიტყვებით მიმართავენ პაპა დინოს. სუვენირებს უძღვნიან...

„დღევანდელი საღამო დაუვიწყარია. ძალიან მწყდება გული, რომ გუნდთან განშორება მიწევს. მთელი სეზონი ხომ ჩინებულად ჩავატარეთ, მაგრამ რა გაეწყობა. მკაფიოდ განმიცხადეს, რომ „იუვენტუსში“ ახალი მწვრთნელი მოვა“ — განაცხადა დინო ძოფმა გამოსათხოვარი და იმავდროულად ტრიუმფალურ საღამოს... 1990 წლის 16 მაისს.

იმ დღეს „ბებერი ქალბატონი“ მეორედ დაემშვიდობა თავის ერთგულ და წარჩინებულ რაინდს. ამჯერად პაპა დინო მწვრთნელის რანგში სტოვებდა ტურინის გუნდს.

1990 წლის 16 მაისი ბრწყინვალე და სევდიანი იყო. ძოფის გამოსათხოვარ სიტყვამდე ორიოდ საათით ადრე, „იუვენტუსმა“ „ფიორენტინასთან“ 0:0 ითამაშა და ვინაიდან პირველ შეხვედრაში 3:1 ჰქონდა მოგებული, ორი თამაშის ჯამში გამარჯვებულმა მეორედ აღმართა უეფას თასი. იმ სეზონში „იუვემ“ იტალიის თასიც მოიგო, მაგრამ როგორც ამბობენ, კლუბის ხელმძღვანელებს მხოლოდ თასები ეცოტავათ, მათ „სკუდეტო“ სწყუროდათ და მწყურვალედ დარჩენილებმა დინო ძოფი თანამდებობიდან გაანთავისუფლეს.

და იგი დედაქალაქში, „ლაციოში“ წავიდა, სადაც მწვრთნელადაც იმუშავა და კლუბის პრეზიდენტის სავარძელიც მოირგო.

1998 წელს, საფრანგეთში გამართული და „სკუადრა აძურასთვის“ უიღბლო მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ პაპა დინო ეროვნულ ნაკრებს ჩაუდგა სათავეში, სადაც 2000 წლის 2 ივლისამდე იმუშავა.

პაპუნა კვედია

ლეჩკოვი ნარკომანი ყოფილა

ვერ გეტყვით, ბულგარეთის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი იორდან ლეჩკოვი რამ მიიყვანა იქამდე, რომ ნარკომანი გამხდარიყო, მაგრამ...

პარასკევს, 7 ივლისს, იორდან ლეჩკოვი პატარა ბულგარულ ქალაქ სლივენის საავადმყოფოში მიიყვანეს. იგი კომაში იყო. ექიმებმა ბულგარეთის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის მობრუნება მხოლო ელექტროშოკის საშუალებით შეძლეს.

ექიმთა თქმით, რაც შემდეგ ანალიზებმაც დაადასტურა, იორდან ლეჩკოვს ნარკოტიკი ზედმეტი დოზით მიუღია. ბოლო დროს იგი ქალაქ სლივენის სასტუმრო „იმპერიაში“ ცხოვრობდა, ყველას და ყველაფერს გაურბოდა. მისი მეზობლების თქმით, ლეჩკოვი საკმაოდ კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა, მისი ხალხში გამოსვლა (ისიც ივშიათად) აყალმაყალითა და ჩხუბით მთავრდებოდა. ბოლოს ისე დაჩაჩანაკდა, რომ 55 (!) კილოგრამს იწონიდა.

ბუნებრივია, ბულგარელი ხელისუფალნი მისი მდგომარეობით შეშფოთდნენ და შეეცადნენ, გაეგოთ, რამ მიიყვანა ყოფილი ფეხბურთელი ამ მდგომარეობამდე, თუმცა არაფერი გამოუვიდათ.

ლეჩკოვი ახლა 32 წლისაა. მან ფეხბურთს თავი რატომღაც ადრე დაანება. 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანელთა კარში გამარჯვების გოლის ავტორს სოფიის ცსკა-ში, გერმანულ „ჰამბურგში“, ფრანგულ „მარსელსა“ და თურქულ „ბეშიქთაშში“ უთამაშია. ბოლოს იგი „სლივენის“ ღირსებას იცავდა.

მშვიდობით, ნაკრებო!

დანიელმა მცველმა იეს ჰოგმა თავისი სანაკრებო კარიერა დაასრულა. ფეხბურთელმა გადაწყვეტილება იძულებით მიიღო, მას მუხლის ტრავმა ჰქონდა.

„ნატკენ მუხლს კლავაც ვმკურნალობ. ნაკრებში თამაშს ვეღარ შევძლებ, „ჩელსისთან“ კონტრაქტი კი ერთი წლის შემდეგ მისრულდება — განაცხადა ჰოგმა და დასძინა — ნაკრებში თითქმის ათი წელი გავატარე, გადაწყვეტილების მიღება გამიჭირდა, მაგრამ ვეღარაფერს გავხდები“.

34 წლის ჰოგმა დანიის ეროვნულ გუნდში 57 შეხვედრა ჩაატარა, მცველმა ორი გოლი გაიტანა. მისი სანაკრებო დებიუტი 1991 წელს ბულგარეთის ნაკრების წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში შედგა. ჰოგი დანიის ნაკრებს ევრო 2000-ზეც ახლდა, მაგრამ ტრავმის გამო ვერ ითამაშა.

ნიკა შუბლაძე

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

ავსტრია. მე-2 ტური

11 ივლისი

001	ადმირა-აუსტრია	4,0	3,0	1,8

12 ივლისი

002	რაპიდი-შტურმი	2,1	2,9	3,2
003	ბრეგენცი-ტიროლი	4,4	3,1	1,7
004	გრაცერი-რიდი	1,8	2,9	4,2
005	ლინცერი-ზალცბურგი	2,2	2,9	3,0

შვეიცარია. 1-ლი ტური

12 ივლისი

006	ლუცერნი-ქსამაქსი	1,9	2,9	3,6

შვედეთი. მე-10 ტური

11 ივლისი

007	გიოტებორგი-ჰელსინგბორგი	1,9	3,0	3,5

12 ივლისი

008	ჰალმსტადი-ნორჩიოპინგი	1,6	3,2	5,0
009	ფრიოლუნდა-იორგრიტე	3,0	2,9	2,2

ნორვეგია. გადადებული მატჩი

12 ივლისი

010	მოლდე-რუსენბორგი	3,0	2,9	2,2

ჩემპიონთა ლიგა. I შესარჩევი ეტაპი. I მატჩები

12 ივლისი

501	ტირანა (ალბანეთი)-ზიმბრუ (მოლდოვა)	2,5	2,9	2,5
502	სკონტო (ლატვია)-შამქირი (აზერბაიჯანი)	1,15	5,6	10,0
503	შირაქი (სომხეთი)-ბატე (ბელარუსი)	2,4	2,9	2,6
504	ჟალგირისი (ლიტვა)-ბროტნიო (ბოსნია)	1,8	3,0	4,0
505	ჰაკა (ფინეთი)-ლინფილდი (ჩრდ.ირლანდია)	1,4	3,5	7,0
506	ბირკირკარა (მალტა)-რეიკიავიკი (ისლანდია)	2,6	2,9	2,4
507	კლაქსვიკარი (ფარერები)-ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)	9,0	5,0	1,2
508	სლოგა (მაკედონია)-შელბურნი (ირლანდია)	1,4	3,5	7,0
509	დუდელანჟი (ლუქსემბურგი)-ლევსკი (ბულგარეთი)	7,5	4,0	1,3
510	ლანსანტფრეიდი (უელსი)-ლევადია (ესტონეთი)	2,3	2,9	2,8

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
თემქა, მე11-ე მიკრორაიონი, პირველი კვარტალი და

ახალი ბიუროები: ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან) და წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა №16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში.
ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა №67, II სართული.
გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი.
თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში ხანმოკლე პაუზის შემდეგ კვლავ მუშაობს „კროკოს“ განახლებული ბიურო. მისამართი: შარტავას 7.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

სტეფანია და სონიქსი: ერთად თუ ცალ-ცალკე?

პირველმა და დღემდე ერთადერთმა მართლაც პროფესიონალმა ქართველმა კალათბურთელმა ვლადიმერ სტეფანიამ თავისი მეორე პროფესიული სეზონიც ძირითადად „სიეტლ სუპერსონიქსის" სათადარიგოებში გაატარა. რეგულარული ჩემპიონატის მიწურულს ერთ-ერთ ვარჯიშზე მწვრთნელმა, პოლ ვესტფოლმა ამერიკული ფეხბურთი გააჩაღებინა შეგირდებს, რაც ჩვენებურს მუხლის ტრავმად დაუჯდა და ამის მერე სულაც დაშავებულთა სიაში შეიყვანეს. ვოვამ საადრევად დაასრულა სეზონი და „სონიქსის" დარჩენილ შეხვედრებს არამცთუ სათადარიგო სკამიდან, მაყურებლისთვის განკუთვნილი ადგილიდან აღევნა თვალი.

მერე არდადეგებიც დაიწყო და სტეფანიამ სლოვენიას მიაშურა დასასვენებლად. მან რამდენიმე კვირა ლიუბლიანაში დაჰყო, რის შემდეგაც ხორვატიაში გადაინაცვლა. ადგილსამყოფელი ვოვამ მხოლოდ იმ მიზეზით შეიცვალა, რომ მუხლი კვლავ ასტკივდა და ზაგრებში ექიმებს ჩაკითხა.

ქართველი ამჟამადაც ხორვატი ექიმების მეთვალყურეობით მკურნალობს, რამდენიმე დღეში კი ისევ ოკეანის გაღმა გაემგზავრება, სადაც საზაფხულო ლიგის თამაშებში მიიღებს მონაწილეობას. საზაფხულო ლიგა ჯერ კიდევ შარშან დააჭაშნიკა სტეფანიამ, მაშინ ბევრი ითქვა და დაიწერა იმაზე, რომ იგი ერთ-ერთი საუკეთესო იყო „ზებგერითების" შემადგენლობაში და პოლ ვესტფოლიც თითქოს ხუთეულში უმზადებდა ადგილს. ყოველივეს მიუხედავად, სტეფანია ძირითადში მაინც ვერ დამკვიდრდა, ახლა კი კიდევ ერთი შანსი ეძლევა, თავის სიძლიერეში დაარწმუნოს მწვრთნელი.

მერე კი სრულფასოვანი დასვენების საშუალებაც მიეცემა ქართველს. დამთავრდება საზაფხულო ლიგის თამაშები და სანამ „სონიქსი" ახალი სეზონისთვის მზადებას შეუდგება, ვოვას შვებულებაში გაუშვებენ. გამორიცხული არაა, სამშობლოშიც გამოეშუროს.

კიდევ იმის თქმა შეიძლება, რომ „სიეტლის" სათადარიგოებში ჯდომამ ვოვას გარკვეულწილად გული აუყარა თავის კლუბზე და სხვაგან გადასვლას ესწრაფვის. მას კონტრაქტით კიდევ ერთი წელი აკავშირებს „სონიქსთან", მაგრამ შესაძლოა კლუბმა გაასხვისოს ან სხვა კალათბურთელი გაცვალოს. როგორც შევიტყვეთ, სტეფანიათი ნბა-ს რამდენიმე კლუბია დაინტერესებული, ისინი მოლაპარაკებას აწარმოებენ „სიეტლთან" და რაც გამოუვათ, ამასაც მალე ვნახავთ.

გიორგი გიკაშვილი

ბადრი კეთილაძის ფოტო

ვლადიმერ სტეფანია ევროპაში იმკურნალებს და კვლავ ამერიკას მიაშურებს

გაგიაშვილს და მარკოიშვილს ვოლკოვი ორწლიან კონტრაქტს სთავაზობს

როგორც უკვე ვიუწყებოდით, უკრაინის ჩემპიონ „ბკ კიევში" ისინჯებოდნენ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების წევრები — აზოტელი ზვიად ბაბიაშვილი და თსუ-ელი გიორგი მარკოიშვილი. ჩვენი „ბასკოსი" არ იყოს, კიეველებმა პირველივე ცდაზე შეძლეს ქვეყნის ჩემპიონის ტიტულის მოპოვება. გასულ წელს კი სულაც საქართველოს ვიცე-ჩემპიონი რუსთავის „აზოტი" გამოთიშეს კორაჩის თასის გათამაშებიდან. სწორედ მაშინ შევიტყვეთ, რომ „ბკ კიევი" ქართველი გულშემატკივრებისათვის კარგად ნაცნობ ალექსანდრ ვოლკოვს ჩამოუყალიბებია. ეს კაცი, უკრაინის მაშინდელი სპორტის მინისტრი თბილისში მოუცლელობის გამო ვერ ვიხილეთ. სამაგიეროდ, გვესტუმრა არანაკლებ ცნობილი კალათბურთელი, ვოლკოვის თანამოაზრე ალექსანდრ სალნიკოვი. გიორგი მარკოიშვილის თქმით, „ბკ კიევს" კვლავაც ვიტალი კოვალენკო ავარჯიშებს, ვოლკოვი სპორტის მინისტრობიდან გადამდგარა და კლუბის პრეზიდენტი ძირითად დროს კალათბურთელებთან ატარებს, მათთან ერთად ვარჯიშობს და თავის უდიდეს გამოცდილებას უზიარებს ახალგაზრდებს. რაც შეეხება სალნიკოვს, იგი გუნდიდან წასულა.

„ბკ კიევს" წლეულს ფიბა-ს ეგიდით დაგეგმილ ტურნირებში მონაწილეობისაგან თავი შეუკავებია და ლიტველი შარუნას მარჩულიონისის მიერ ჩამოყალიბებულ ჩრდილოეთ ევროპის საკალათბურთო ლიგაში გაწევრიანებულა. ზუსტად იქ, სადაც ჩვენი ქვეყნის ჩემპიონ ბათუმის „ბასკოს" მიუწევს გული.

ალექსანდრ ვოლკოვს გუნდის გაახალგაზრდავება განუზრახავს და ალბათ უფრო ამიტომაც შეაჩერა არჩევანი ჩვენი ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრების წევრებზე — ზვიად ბაბიაშვილსა და გიორგი მარკოიშვილზე.

ბადრი ფულენგაშვილის ფოტო

გიორგი მარკოიშვილი

გიორგი მარკოიშვილი ახლახან დაბრუნდა კიევიდან და ეს გვიამბო:

— „კიევში გასინჯვაზე ამერიკელი აგენტის საშუალებით მოვხვდი. სლოვენიაში საქართველოს კადეტთა ნაკრების ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში მონაწილეობის დროს გავიცანი ამერიკელი მენეჯერი მარკ ფლეიშერი. დაახლოებით ორი კვირის წინ კი მისი სახელით დამიკავშირდა აგენტი, ვინმე რიდი. ამიხსნა, რომ „ბკ კიევს" შენი ტიპის კალათბურთელი სჭირდება და სასწრაფოდ უკრაინაში უნდა გაემგზავროო. კიევში ბაბიაშვილი ოთხი დღის ჩასული დამხვდა. გასინჯვაზე მყოფი კალათბურთელებიდან ყველა ახალგაზრდა იყო, უცხოელებს კი მარტო მე და ზვიადი წარმოვადგენდით. მწვრთნელი კოვალენკო და პრეზიდენტი ვოლკოვი ჩემი და ზვიადის მომზადებით კმაყოფილნი დარჩნენ და ორწლიანი კონტრაქტიც შემოგვთავაზეს, რასაც ალბათ დავთანხმდებით. მე მპირდებიან, რომ მსროლელად მათამაშებენ, ზვიადს კი — ფრთად. „ბკ კიევი" 6 ივლისს 24-დღიან შეკრებაზე გაემგზავრა ლოს ანჯელესში, სადაც გუნდს იმიტომ ვერ გაეყვევით, რომ ვიზა ვერ მივიღეთ. თურმე უკრაინაში მას ორი კვირის შემდეგ იძლევიან და ჩვენ ამისათვის დრო არ გვეყო.

ვოლკოვმა დაგვაიმედა, არ ინერვიულოთ, აგვისტოს დასაწყისისათვის კიევში გელით, ჩათვალეთ, რომ გუნდის წევრები ხართ. ამერიკის შემდეგ ლიბანშიც ვაპირებთ შეკრების მოწყობას და იქ უკვე აუცილებლად იქნებითო".

ამრიგად, მარკოიშვილის თქმით, თუ სასწაული არ მოხდა, საქართველოს ზვიად ბაბიაშვილის და გიორგი მარკოიშვილის სახით ორით მეტი ლეგიონერი ეყოლება.

კალათბურთის ქართველ გულშემატკივრებს შევახსენებ, რომ კიდევ ერთი ქართველი კალათბურთელი, რეზო ჩხეიძე წლეულს ოდესის გუნდის რიგებში უკრაინის ვიცე-ჩემპიონი გახდა. ადრე კი ბელაია ცერკოვის „ნეფტოხიმავალში" უთამაშიათ ლევან ქარაბაკს და ირაკლი მაისურაძეს. თუ ვოლკოვს კვირაში ცხრა პარასკევი არ აღმოაჩნდა, შეიძლება უკრაინაში ნათამაშევ ქართველთა რიცხვი სულ მალე ხუთამდე გაიზარდოს.

როლანდ ლაგუჩიძე

იყიდება ან ქირავდება

შეღავათიან ფასში, ერთთოთახიანი
იზოლირებული ბინა
სარაჯიშვილის მეტროსთან, ბუნებრივი
აირით და ტელეფონით
ტელ: 60-21-23



რეკლამა
სარგებელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

სუპროლიგა 2000-2001

ფიბა-მ ათენი და სალონიკი ერთმანეთს გადაკიდა

სუპროლიგის მონაწილე 20 გუნდიდან 19 უკვე ცნობილია. დარჩენილია ერთი ვაკანსია, რომელსაც ბერძნული, უფრო ზუსტად კი სალონიკური კლუბი შეავსებს — „არისი" ან „ირაკლისი". ასე გადაწყვიტეს სამყოვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიბა) და საბერძნეთის კალათბურთის ფედერაციამ. ამ გადაწყვეტილებამ ათენის „პანინიოსის" სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია.

„პანიონიოსმა" საბერძნეთის ჩემპიონატში მეექვსე ადგილი დაიკავა. მასზე წინ „პანათინაიკოსი", პაოკ, „ოლიმპიაკოსი", აეკ და „პერისტერი" აღმოჩნდნენ. „პანათინაიკოსი" სუპროლიგაში ითამაშებს, ხოლო დანარჩენმა ოთხმა ფიბა-ს უგანა და ევროპის საკალათბურთო ლიგათა კავშირში (ULEB) გაერთიანდა. შესაბამისად, ოთხივე ULEB-ის ევროლიგაში ითამაშებს.

წესითა და რიგით, სუპროლიგაში საბერძნეთისთვის განკუთვნილი მეორე ადგილი „პანიონიოსს" უნდა დაეკავა, მაგრამ... ფიბა სუპროლიგის გეოგრაფიის გაზრდას ეშურება. იქ ერთი ათენური კლუბი უკვე არის („პანათინაიკოსი"), ხოლო ქალაქი სალონიკი, წინა ევროლიგის „ოთხთა ფინალის" მასპინძელი, სუპროლიგის მატჩების გარეშე რჩებოდა. ამიტომაც ფიბა-მ მიმართა საბერძნეთის კალათბურთის ფედერაციას — ერთი სალონიკური გუნდი შენი შეხედულების მიხედვით შეგვირჩიეო.

ფედერაციამაც სასუპროლიგოდ „არისი" ან „ირაკლისი" შეარჩია, ხოლო „პანიონიოსი" განზე დატოვა. ათენური კლუბის პრეზიდენტი საკის გერასიმიდისი აღშფოთებას ვერ მალავს: „სუპროლიგაში თამაშს ჩვენ ვიმსახურებთ, მაგრამ იქ „არისის" ან „ირაკლისის" გაყვანა სურთ. ეს უსამართლობაა". „პანიონიოსმა" ოფიციალური განცხადებაც გააკეთა, რომელშიც საბერძნეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტს იორგოს ვასილაკოპულოსს „დიქტატორი" და „ბერძნული კალათბურთის მკვლელი" უწოდა.

საბერძნეთის კალათბურთის ფედერაცია მშვიდად შეხვდა კრიტიკას და „პანიონიოსს" საპორტას თასზე თამაში შესთავაზა. გაბრაზებულმა ათენელებმა ეს იუარეს და მეტიც: ფიბა-ს მიერ ორგანიზებულ ევროტურნირებს ბოიკოტი გამოუცხადეს. ფედერაციამ ოთხშაბათს ან ხუთშაბათს უნდა დაასახელოს სუპროლიგის მონაწილე. მისი სიმპათიები აშკარად „არისის" მხარესაა, რომელსაც „ირაკლისზე" გაცილებით დიდი ისტორია და მეტი ტიტულები აქვს. თუმცა, „არისის" ფინანსური მდგომარეობა სავალალოა. კლუბმა ყველა მოთამაშე გაუშვა და მხოლოდ სპონსორების მოძიების შემდეგ შეუძლია დააწყოს სამომავლო გეგმები. „ირაკლისის" საქმე კი პირიქითაა. თუკი კლუბის ახალ მფლობელს პროდრომოს ემფიცოღლუს ვენდობით: „გუნდში ბევრი ბერძენი კალათბურთელი გვყავს. ფული საკმარისი გვაქვს და რამდენიმე ძლიერი ამერიკელის ჩამოყვანა შეგვიძლია. ჩვენს დარბაზს რეკონსტრუქცია უტარდება. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, სუპროლიგაში თამაშს ჩვენ უფრო ვიმსახურებთ".

ერთი სიტყვით, სალონიკი სუპროლიგის მატჩების გარეშე არ დარჩება, ხოლო ამ ტურნირის კენჭისყრა 16 ივლისს მოეწყობა მიუნხენში.

ევროპული ამბები

ესპანეთი

საუკეთესო ფრანგი მალაგაში



მუსტაფა სონკო

ესპანურ პრესაში გამოჩნდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საფრანგეთის ნაკრებისა და „ვილერბანის" კალათბურთელი მუსტაფა სონკო ორი წლით მალაგის „უნიკახაში" გადადის, კლუბში, რომელსაც ბრწყინვალე იუგოსლავიელი სპეციალისტი ბოჟიდარ მალკოვიჩი წვრთნის. სონკო 28 წლისაა. მისი სიმაღლე 192 სანტიმეტრია, ამპლუაით კი გამთამაშებელია. მან კარიერა 1990 წელს „სოში" დაიწყო, შემდეგ „ბრაველინის", „ლევალუასა" და „პო ორტეზის" ღირსებას იცავდა, 1998 წლიდან კი ვილერბანელი იყო და ამ სეზონში საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელადაც აღიარეს. მუსტაფა ფრანგთა ნაკრებში პირველად ხუთი წლის წინ მიიწვიეს და მას შემდეგ ქვეყნის უპირველესი გუნდის ლამის, უცვლელი წევრია. 1995 და 1999 წლებში მან ევროპის ჩემპიონატებზეც ითამაშა, ახლა სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადება.

სონკოს პირინეის ნახევარკუნძულზე გადასვლამ შეიძლება საფუძველი ჩაუყაროს უძლიერესი ფრანგების ესპანეთში ემიგრაციას. თუმცა უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს პროცესი გაგრძელდება. დიგბო „ბარსელონაშია", ფუარე — „ტაუში" და, ალბათ, მალე მას ტიერი გადუც შეუერთდება, პალმერი და ფორტიე შესაბამისად „ხუვენტუდისა" და „კახა სან ფერნანდოს" ღირსებას იცავენ. გამოდის, რომ საფრანგეთის ჩემპიონატმა ესპანეთის ლიგა საუკეთესო მოთამაშეებით უნდა მოამარაგოს? სავსებით შესაძლებელია, რადგან პირინეებზე კალათბურთს უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ და ფრანგებივით თავიანთ საუკეთესო გუნდს არ მტრობენ. შეგახსენებთ, რომ „ლიმოჟს", რომელმაც საფრანგეთის ჩემპიონობა, ქვეყნისა და კორაჩის თასები მოიპოვა, ვალების გამო პრო A-ში თამაში აუკრძალეს.

სონკოს მალაგაში გადასვლა ამ უქმეებზე გაცხადდა და თვით საფრანგეთში ამას ჯერჯერობით მაინც ჭორად მიიჩნევენ, რადგან არც ერთ მხარეს არავითარ ოფიციალურ დოკუმენტზე ხელი არ მოუწერია. სამაგიეროდ სპორტსმენის აგენტმა ფილიპ რიუკმ დაადასტურა, რომ ესპანელებისგან წინადადება მიიღო და სონკოც თანახმაა, „უნიკახაში" ითამაშოს. ასე რომ, გარიგება ფაქტობრივად შედგა. ფრანგი სავარაუდოდ ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს, მაგრამ თუ ნბა-ში თამაშის შანსი მიეცემა, „უნიკახა" მაშინვე გაათავისუფლებს.

ესპანური „მარკას" ინფორმაციით კი, დაინტერესებულმა მხარეებმა უკვე მოაწერეს ხელი წინასწარ შეთანხმებას. აქვე ამოიკითხავთ, რომ ანდალუზიურ კლუბს ჩემპიონობისთვის ბრძოლა სერიოზულად გადაუწყვეტია და ამისთვის შემდგენლობა საკმოდაც გაუძლიერებია. მალგელ ახალწვეულთა შორის არიან: დენია აბრამსი „კასერესიდან", პაკო ვასკესი „მანრესადან", ინგლისურპასპორტიანი ამერიკელი ცენტრი ლარენ ფილიპი (NCCA-ს საუკეთესო მომხსნელი) და სონკო. თუ ამათ მრშიჩს, ჟომინს და პეტრუშკას დავუმატებთ, დავრწმუნდებით, რომ მალაგელებს სავსებით ხელეწიფებათ თავიანთი სურვილის ასრულება.

გაიოზ თალაკვაძე

ჰილიადა გრძელდება

ოჰ, ეს წესდება რომ არ იყოს, რამდენ რამეს მოეფინებოდა ნათელი! ამ წესდებით 1 აგვისტომდე თავისუფალ აგენტსა და კლუბს შორის ნებისმიერი ხელშეკრულების გაფორმება იკრძალება. ასე რომ, მოთამაშეებიც და მათი მსურველი კლუბებიც ხელფეხშეკრულნი არიან, სასურველ კონტრაქტს წერტილი (ხელმოწერა) დაუსვან და ჯერჯერობით სიტყვიერი შეთანხმებით კმაყოფილდებიან, თუმცა ხშირ შემთხვევაში მოსალაპარაკებელიც აღარაფერია. მაგალითად, დეტროიტელ თავისუფალ აგენტს გრანტ ჰილსა და მის მსურველ „ორლანდო მეჯიქს“ შორის თითქმის ყველაფერი ნათელია, მაგრამ ზემოხსენებული წესი აბრკოლებთ, ექვსწლიანი და 67,5-მილიონიანი კონტრაქტი ოფიციალურად გააფორმონ. „ორალნდოს“ ხელმძღვანელობა შფოთავს, ჰილი ჯერ არაა კლუბის საკუთრება. ამასობაში ჰილის მსურველები იმედს არ კარგავენ და კალათბურთელის მაცდუნებელ წინადადებებს სთავაზობენ. ემანდ ეს კაცი ხელიდან არ გამოგვაცალონო, შიშობენ ორლანდოში.

ჰილის მსურველები კი მრავლად არიან. აბა, რომელი კლუბი იტყოდა უარს მასზე, მაგრამ საქმე იმაშია, ვის რამდენის გაღება შეუძლია. გრანტ ჰილის ხელში ჩასაგდებად, უფრო ზუსტად კი შესანარჩუნებლად არაფერს იშურებს „დეტროიტ პისტონზი“, რომელშიც მოთამაშეს თავისი კარიერის პირველი ექვსი წელი გაუტარებია. როგორ არ ცდილობენ დეტროიტელები, იგი თავისთან დაიტოვონ. ჯერ ძმაკაცურ-ახლობლურად მიდგომა სცადეს. ხომ იცი, შენი „უფროსი ძმა“ ჯო დუმარსი ახლა დაინიშნა „დეტროიტის“ პრეზიდენტად, მისი ხათრით მაინც დარჩი. შენ რომ წახვიდე, ძველ გუნდსაც გასწირავ და დუმარსსაც დებიუტს ჩააშხამებო, მაგრამ ჰილი ჯერჯერობით შეუვალია. ვერც „პისტონზის“ მიერ შეთავაზებულმა ზესარფიანმა კონტრაქტმა დაუბინდა გონება კალათბურთელს. ამ კონტრაქტის მიხედვით კი ჰილს საშუალება ექნებოდა, რვა წლის განმავლობაში 115 მილიონი ჩაეჯიბა. ჰილმა ფაქტობრივად საბოლოოდ უთხრა უარი ყოფილ გუნდს, თუმც გული კი სწყდება, რასაც იმით ხსნის, რომ მან და „დეტროიტმა“ ერთად მაქსიმუმს მიაღწიეს. იგი წინ იყურება და „ორლანდოში“ იმიტომ მიდის, რომ ამ გუნდთან ერთად მომავალში მეტის მიღწევის პერსპექტივა ესახება. „ფული არაფერ შუაშია. „დეტროიტი“ მეტს მთავაზობდა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ვალდებული ვარ, ასე მოვიქცე“ — ამბობს ჰილი.

ამასობაში „დეტროიტი“ თანდათან ეგუება იმ ფაქტს, რომ საუკეთესო მოთამაშე ხელიდან გამოეცალა. „ვწუხვარ, რომ გრანტის გვერდით არ მომიწევს ნბა-ში ჩემი

გრანტ ჰილი

პირველი ნაბიჯების გადადგმა. არადა, ეს ჩემთვის უდიდესი პატივი იქნებოდა. იგი შემიფარებდა თავის ფრთებქვეშ, ისევე როგორც თავის დროზე იგი შეიფარა ჯო დუმარსმა“ — ამბობს სულ ახლახან „დეტროიტის“ მიერ დრაფტში აყვანილი გამთამაშებელი მეტინ კლივზი.

ჰილის დაკარგვით „დეტროიტს“ ყველაფერი როდი გამოეცალა ხელიდან. მისი წასვლის შემდეგ კლუბს ჯამური ხელფასების ფონდში 8,27 მილიონი დოლარი გამოუთავისუფლდა და ამ ფულით შეუძლია ჰილს ღირსეული შემცვლელი მოუძებნოს. „დეტროიტს“ ინდიანელ თავისუფალ აგენტ ჯალენ როუზზე უჭირავს თვალი, რომელიც წარმოშობით დეტროიტიდანაა, იქ დაბადებულა, სკოლაც და უნივერსიტეტიც ამ ქალაქში დაუმთავრებია, თუმც თავად როუზს ჯერჯერობით არ სურს, „ინდიანადან“ სხვაგან წავიდეს. ასე რომ, „დეტროიტი“ კვლავ ძიებაშია.

გრანტ ჰილმა კი „მეჯიქისთვის“ კიდევ ერთ სასურველ მოთამაშესთან, ტიმ დანკანთან ერთად კიდევ ერთხელ მოინახულა ქალაქი ორლანდო. „მეჯიქს“ დანკანიც ისევე სურს, როგორც ჰილი და ორივეს თანაბარ კონტრაქტს სთავაზობს. თუმც დანკანს ჯერ არ გადაუწყვეტია, ახალი „ორლანდო“ ირჩიოს თუ ძველი „სან ანტონიო“. დანკანთან და ჰილთან ერთად ფლორიდელები ლიგის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად ჩამოყალიბდებიან. ჰილი კი იმედოვნებს, რომ „ორლანდოს“ დანკანის გარეშეც შეეძლება, აღმოსავლეთის ერთ-ერთ წამყვან გუნდად იქცეს. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა გრანტ ჰილმა, თავისი კარიერის მომდევნო რამდენიმე წელი ამ გუნდისთვის დაეკავშირებინა.

ირაკლი ფირუზვილი

მილუოკიმ ახალბედები გაიფორმა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის წესის მიხედვით, კლუბებს თავისუფალ აგენტებთან კონტრაქტის გაფორმება 1 აგვისტოდან შეუძლიათ. ეს წესი არ ვრცელდება კონტრაქტიან კალათბურთელებზე და ახალბედებზე, მათთან მოლაპარაკება და ხელშეკრულების დადება ნებისმიერ დროს ნებადართულია.

„მილუოკი ბაქსმა“, სანამ თავისუფალ აგენტთა ბაზარზე ვაჭრობას გააჩაღებს, 2000 წლის დრაფტში ამორჩეულ კალათბურთელებთან გააფორმა კონტრაქტები. კლუბმა სამი წლით დაისაკუთრა ცენტრი ჯოელ პრჟიბილა და ორი წლით — უკანახაზელი ჯეისონ ჰარტი.

პრჟიბილა დრაფტში მეცხრე ნომრად აიყვანა „ჰიუსტონ როკიტსმა“, მაგრამ იმავე დღეს გაუცვალა „მილუოკის“ ჯეისონ კოლიეში და მომავალი დრაფტის პირველი წრის არჩევანში. ამ უქმეებზე კი პრჟიბილა კონტრაქტით დაუკავშირდა ახალ კლუბს — სამი წლის განმავლობაში 4 მილიონ 800 ათას დოლარს მიიღებს. კალათბურთელს ხელფასი სეზონიდან სეზონამდე გაეზრდება. პირველ წელიწადს 1,4 მილიონს მიიღებს, მეორე წელიწადს — 1,6 მილიონს, ხოლო მესამე წელს — 1,8 მილიონს. კონტრაქტის მიხედვით, როცა პრჟიბილა თავისუფალი აგენტი გახდება, „ბაქსმა“ მისთვის პირველი წინადადების შეთავაზების უფლება დაიტოვა.

„ჯოელი ჯანიანი და ათლეტური ბიჭია. იგი შესანიშნავი მომხსნელი, დამფარებელი და პასის მიმცემია. მასზე დიდ იმედებს ვამყარებთ“ — აღნიშნავს „მილუოკის“ გენერალური მენეჯერი ერნი გრიუნფელდი და აგრძელებს: „პრჟიბილა ახალგაზრდაა, ამიტომ მასთან გულდასმით უნდა ვიმუშაოთ. თუკი ყველაფერი ნორმალურად წარიმართება, 10-12 წლის განმავლობაში ცენტრის პრობლემა აღარ გვექნება“.

პრჟიბილა მინესოტას უნივერსიტეტში სწავლობდა და თამაშობდა. ბოლო სეზონში გუნდს მატჩში საშუალოდ 14,2 ქულით და 8,4 მოხსნით შეეწია. სულ 81 დაფარება შეასრულა.

ჯოელ პრჟიბილა და ლიგის კომისარი დევიდ შტერნი

სწავლის საქმე კი ვერ ჰქონდა კარგად: გამოცდების ჩაფლავების გამო მეორე კურსიდან გარიცხეს. სწორედ ამის გამო გადაწყვიტა პრჟიბილამ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ნაადრევად გადაბარგება.

„მილუოკის“ მწვრთნელი ჯორჯ კარლი კმაყოფილია პრჟიბილათი: „მას არაჩვეულებრივი რეაქცია და ბუნებრივი მოძრაობები აქვს. შესანიშნავად აფარებს. მის შეტევას გაუმჯობესება სჭირდება, თუმცა, ჯერჯერობით, მისგან აგრესიულობას არავინ ითხოვს. პრჟიბილა დაცვაში გვჭირდება“.

ჯეისონ ჰარტი „ბაქსმა“ დრაფტის მეორე წრეში აირჩია 49-ე ნომრად. სირაკუზის უნივერსიტეტში იგი ცნობილი იყო, როგორც დაცვითი თვისებების მქონე უკანახაზელი. „მილუოკიში“ იგი ძირითადი გამთამაშებლის, სემ კასელის შემცვლელი იქნება.



ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲛᲔᲘᲤᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲑᲣᲠᲗᲘ ᲮᲔᲚᲘᲓᲐᲜ ᲐᲠ ᲒᲐᲣᲒᲓᲘᲐ

ᲓᲦᲔᲡ ᲕᲔᲜᲐᲨᲘ ᲒᲐᲘᲠᲙᲕᲔᲕᲐ

ᲮᲐᲜᲛᲝᲙᲚᲔ შვებულების შემდეგ ვარჯიში განაახლეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელბურთელმა ვაჟებმა. ქვეყნის უცვლელი ჩემპიონები ასე ნაადრევად, ცხადია, ეროვნული პირველობისთვის არ შესდგომიან მზადებას — ზედიზედ მეთერთმეტე ტიტულს ხომ უვარჯიშებლადაც, რომ იტყვიან, ცალი ხელით მოიგებენ. მიზანი ბევრად მნიშვნელოვანია — ევროპულ სარბიელზე ასპარეზობა.

სტუ წლეულს პირველად ითამაშებს არა ჩემპიონთა ლიგაში, არამედ ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე. მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ფედერაციის თავკაცებმა ფეხბურთის მიბაძვით ლიგაში გუნდების დაშვება გაამკაცრეს. ამიერიდან მხოლოდ ქვეყნის ჩემპიონობა აღარაა საკმარისი, ბოლო სამ სეზონში დაგროვილი სარეიტინგო ქულებიც აუცილებელია და ვისაც მეტი მოუპოვებია, ლიგაშიც ის ითამაშებს.

საქართველოს ჩემპიონს სამი ქულა და სამი ადგილი დაკლდა 31-ლიგოსანთა სიამდე და დანაკლისის შევსება ფედერაციის თასზე გამოსვლით უნდა სცადოს.

ახალი სეზონისთვის ტექნიკოსების მზადების გეგმას უფრო სათუო ეთქმის, ვიდრე კონკრეტული: თუ ფულს იშოვიან, ქობულეთში სამკვირიან შეკრებაზე წავლენ, თუ მერე კიდევ დაფინანსდებიან, კვიპროსის ტრადიციულ ტურნირიც მიიღებენ მონაწილეობას. ვარჯიშს კი, ცხადია, უფულობის შემთხვევაშიც არ შეწყვეტენ. სასიამოვნოა, რომ კვლავ გუნდშია ვახტანგ მეიფარიანი. 29 წლის ვეტერანი, რომელიც ორიოდე კვირის წინ დაოჯახდა, ახალ, მწვრთნელის ამპლუაში კი მოგვევლინა, მაგრამ ბიჭებთან ერთად ვარჯიშობს და არაა გამორიცხული, ევროთამაშებში კიდევ ერთხელ დაეხმაროს თანაგუნდელებს.

სტუ-ს გარდა, წლეულს „ევროპაზე“ იასპარეზებს არმიის სპორტული კლუბის გუნდი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „მამული“ და ქალთა უცვლელი ჩემპიონი „მართვე“. მათ მეტოქეებს დაასახელებს დღევანდელი წილისყრა, რომელიც ფედერაციის შტაბბინაში, ვენაში მოწყობა.

ᲒᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲫᲔ

ᲑᲝᲠᲯᲦᲚᲝᲡᲜᲔᲑᲘ ᲯᲐᲠᲨᲘ ᲬᲐᲕᲘᲓᲜᲔᲜ



მეორე ტური
9 ივლისი

ᲐᲡᲙ 18:29 (6:12) ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ 1

ᲐᲡᲙ: მაგრაქველიძე, სუჯაშვილი, ქავთარაძე (ბალანჩივაძე), ჭელიძე, მათიაშვილი, სვანიძე, ცხადაძე (მაისურაძე), უჩავა, აბუსერიძე, კიკნაძე (ძამიაშვილი), აბაშიძე, კაპანაძე, ურჯუკაშვილი, ზაქარიაძე, ხეხელაშვილი

2 ლ — აბუსერიძე, აბაშიძე

2 ს — ურჯუკაშვილი (2), 1 გ — ურჯუკაშვილი

ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ 1: მაჭუტაძე (ჭელიძე), ბერიაშვილი (ჯიბლაძე), ჩადუნელი, მოგელაძე, ხუადე, სუჯაშვილი, გიორგაძე (სორდია), კახიანი, სარიშვილი, იოვაძე, ბუგიანიშვილი, ალანია, ანდღულაძე (ძნელაძე), ქავთარაშვილი, ასათიანი

4 ლ — ბუგიანიშვილი (2), კახიანი, ქავთარაშვილი

1 ს — იოვაძე, 3 გ — იოვაძე (3)

მსაჯი: ნ. რობიტაშვილი

მეთვალყურე: პ. ნარიმანიშვილი

ᲐᲛ მატჩს თამამად შეიძლება ვუწოდოთ საქართველოს ეროვნული ნაკრების ოფიციალური ვარჯიში: ხუმრობა ხომ არ არის, მოედანზე ერთბაშად არც მეტი, არც ნაკლები ათი „ბორჯღალოსანი“ ბურთაობდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ნაკრების კანდიდატები საკმაოდ კარგ ფორმაში არიან და ორივე გუნდის მოპოვებული ქულათა მაქსიმუმი სწორედ მათი შედეგიანი თამაშის დამსახურებაა. მხოლოდ ერთმა, არაბორჯღალოსანმა რკინიგზელმა კახიანმა შეძლო თავისი გვარი დაეფიქსირებინა მატჩის ოქმში. თვითონ შეხვედრა ძალიან დაძაბული გამოდგა. პირველივე წუთიდან ასკ-მ საგრძნობი უპირატესობა მოიპოვა. ყოფილმა „ყორმა“ ხეხელაშვილმა თავისი ცნობილი რეიდი წამოიწყო მარცხენა ფრთაზე, მაგრამ სტუმრებმა თავიანთ სალელოე მოედანთან ახლოს შეძლეს სიტუაციის განმუხტვა. რამდენიმე წუთში ასკ-ელებმა საკმაოდ ხელსაყრელი პოზიციიდან საჯარიმო დარტყმის უფლება მოიპოვეს. მასპინძელთა შტატიანი დამრტყმელი უჩავა ცუდად გაისარჯა და ბურთი დიდი მანძილით ასცდა კარს. ამის შემდეგ საჯარიმო-გარდასახვებს საფრანგეთიდან დროებით მობრუნებული ურჯუკაშვილი ასრულებდა და შედეგიანადაც. სწორედ ურჯუკაშვილის ზუსტი დარტყმის შემდეგ გაიხსნა მატჩში ანგარიში. ასკ შეტევებს განაგრძობდა, „ლოკომოტივი“ კი თავს მწყობრად იცავდა. რამდენიმე წუთის განმავლობაში რკინიგზელები მეტოქის ნახევარზეც არ გადასულან, მაგრამ მასპინძელთა იერიშებს სიმწვავე აკლდა და ლელომდე საქმე არ მისულა. რკინიგზელებს დაცვაში ჯდომა მობეზრდათ და მოწინააღმდეგეს შეუტიეს. განსაკუთრებით აქტიურობდა სტუმართა მეათე ნომერი იოვაძე. მისი გაუზრებული პასების შემდეგ მასპინძელთა სალელოე მოედანთან საფრთხე ხშირად იქმნებოდა. იოვაძეს მხარი თანაგუნდელებმაც აუბეს და შედეგმა დიდხანს არ დააყოვნა. ამ მატჩის საუკეთესო მოთამაშემ იოვაძემ ასკ-ის დაცვის ხაზი გაარღვია და ბუგიანიშვილს ხელსაყრელ პოზიციაში მიაწოდა ბურთი. რკინიგზელთა გარემარბმა ძალისმიერ ბრძოლაში მოწინააღმდეგის რამდენიმე ფორაგბე დაჩაგრა და გუნდის შეტევა ლელოთი დაავირგვინა. ახლა უკვე ასკ გააქტიურდა, მაგრამ მეტოქის დაცვა შეუვალი აღმოჩნდა, აბაშიძემ არეკნით სცადა თავისი ყოფილი გუნდის კარების დალაშქრა, ბურთი კარის მიმართულებით კი დაარტყა, მაგრამ სუსტად და იგი რკინიგზელთა ნადავლი გახდა.

აქვე ერთ პატარა ინფორმაციასაც მოგაწვდით, ხეხელაშვილი და აბაშიძე თურმე სამხედრო სავალდებულო სამსახურში არიან გამოძახებულნი და მორაგბეებმაც გადაწყვიტეს სამშობლოს წინაშე თავიანთი ვალი არმიულ კლუბში ასპარეზობით მოიხადონ. რაც ვერ შეძლო აბაშიძემ, გააკეთა ურჯუკაშვილმა. მან საჯარიმო დარტყმიდან ოვალური ბურთი ძელებს შორის გაატარა და თავისი გუნდი დააწინაურა. თუმცა მხოლოდ რამდენიმე წუთით, ასათიანი-ბუგიანიშვილი-ალანია-კახიანის ოთხსვლიანი, საკმაოდ ლამაზი კომბინაცია ლელოთი დაგვირგვინდა. იოვაძემ ზუსტად გარდასახა და პირველი ტაიმის საბოლოო ანგარიში დაფიქსირა — 6:12.

მატჩის მეორე ნახევარი მთლიანად რკინიგზელთა კარნახით წარიმართა, ბუგიანიშვილმა და ქავთარაშვილმა თითო-თითოჯერ დალაშქრეს ასკ-ის სალელოე მოედანი, იოვაძემ ორივე გარდასახა და ზედ ერთი ზუსტად შესრულებული საჯარიმო დარტყმაც მოაყოლა 6:29.

„ლოკომოტივი 1“-მა პრემიალური ქულაც მოიპოვა და გამარჯვებაც გაინაღდა რადგან, მატჩის დამთავრებამდე მცირე დრო რჩებოდა. ამის შემდეგ სტუმრები მოეშვნენ და მეტოქის ორი სახიფათო შეტევა გამოეპარათ. პირველი მათგანი აბუსერიძემ, ხოლო მეორე აბაშიძემ ლელოთი დაავირგვინეს. ეს უფრო კარის გაჯახუნებას ჰგავდა, ვიდრე მატჩის გადარჩენის მცდელობას, რადგან ბოლო ლელოს მსაჯის საფინალო სასტვენმა მოუსწრო და მატჩის საბოლოო ანგარიშიც დაფიქსირა.

ᲑᲐᲩᲝ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ

ᲠᲝᲡᲘᲛ ᲮᲣᲗᲐᲡᲘᲐᲜᲘᲪ ᲓᲐᲐᲭᲐᲨᲜᲘᲙᲐ

ᲡᲣᲚ რაღაც სეზონის ნახევარი დასჭირდა ვალენტინი როსის, რათა მოტომრბოლთა ყველაზე პრესტიჟულ კლას 500-ის ერთ-ერთი ფავორიტად ქცეულიყო. იტალიელი „პიკოლო“ (როსი ამ კლასში ყველაზე ახალგაზრდაა) ბრიტანეთის „გრან პრიზზე“ ბრწყინვალედ გამოვიდა — სტარტი მეთხუთმეტემ აიღო, ფინიშთან კი პირველი მივიდა და თავის უამრავ ტიტულს (ვალენტინო მსოფლიოს ჩემპიონია კლას 125-სა და კლას 250-ში) კიდევ ერთიც შემატა. მეორე ადგილს დასჯერდა ჩემპიონატის ლიდერი ამერიკელი კენი რობერტსი. მასპინძელთა გულის გასახარად პოდიუმზე მესამე ადგილი მათმა თანამემამულე ჯერემი მაკგილიამსმა შეავსო.

კლას 250-ში გერმანელმა როლფ ვილდმანმა ოლივიე ჟაკს ზედ ფინიშის ხაზთან გამოსტაცა გამარჯვება. სიხარულისგან გადარეული გერმანელი ნახევარი საათის შემდეგ ძლივს დაამშვიდეს თანაგუნდელებმა. მესამე და არც თუ ცუდი ადგილი იაპონელმა მაცუდომ დაიკავა.

125-იანებში პოდიუმის ორი ადგილი იაპონელებმა დაისაკუთრეს, მეორე ადგილი მსოფლიოს ჩემპიონ ესპანელ ემილიო ალზამორას ერგო.

125 ᲙᲣᲑ/ᲡᲛ

1. უიჩი უი (იაპონია, დერბი)
2. ემილიო ალზამორა (ესპანეთი, ჰონდა)
3. ნობურო უედა (იაპონია, ჰონდა)

250 ᲙᲣᲑ/ᲡᲛ

1. რალფ კალდმანი (გერმანია, აპრილია)
2. ოლივიე ჟაკი (საფრანგეთი, იამაჰა)
3. ნაოკი მაცუდო (იაპონია, იამაჰა)

500 ᲙᲣᲑ/ᲡᲛ

1. ვალენტინო როსი (იტალია, ჰონდა)
2. კენი რობერტსი (აშშ, სუძუკი)
3. ჯერემი მაკგილიამსი (ბრიტანეთი, აპრილია)

500 ᲙᲣᲑ/ᲡᲛ

1. კენი რობერტსი (აშშ, სუძუკი) — 145 ქულა
2. კარლოს ჩეკა (ესპანეთი, იამაჰა) — 116
3. ლორის კაპიროსი (იტალია, ჰონდა) — 102
4. ნორიკ აბე (იაპონია, იამაჰა) — 101
5. ვილენტინო როსი (იტალია, ჰონდა) — 92
6. ალექს კრივილე (ესპანეთი, ჰონდა) — 88

250 ᲙᲣᲑ/ᲡᲛ

1. ოლივიე ჟაკი (საფრანგეთი, იამაჰა) — 160 ქულა
2. შინჯა ნაკანო (იაპონია, იამაჰა) — 153
3. ტორუ უკავა (იაპონია, ჰონდა) — 145
4. დაჯირო კატო (იაპონია, ჰონდა) — 134
5. რალფ ვალდმანი (გერმანია, აპრილია) — 89
6. ანტონი ვულტი (ავსტრალია, ჰონდა) — 82

125 ᲙᲣᲑ/ᲡᲛ

1. უიჩი უი (იაპონია, დერბი) — 120 ქულა
2. რობერტო ლოკატელი (იტალია, აპრილია) — 115
3. ემილიო ალზამორე (ესპანეთი, ჰონდა) — 110
4. მირკო ჯიანსანტი (იტალია, ჰონდა) — 106
5. ნობურო უედა (იაპონია, ჰონდა) — 99
6. მასაო აზუმა (იაპონია, ჰონდა) — 98

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ᲐᲖᲛᲐᲘᲤᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲖᲘᲒᲖᲐ�გᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲡ

ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ ვაჟთა პირადი პირველობა ამ კონტინენტის საჭადრაკო კავშირის მიერ მოწყობილი მეორე მასშტაბური მოვლენაა ბათუმში გამართული ქალთა ჩემპიონატის შემდეგ. იტალიურ სენტ ვინსენტში ევროელიტის ჩასვლა ფიქრადაც არავის მოსვლია — ჩემპიონისთვის გადადებული 10000-ევროიანი საპრიზო ფონდი თუნდაც ტოპალოვის ან სვიდლერისთვის ერთობ მცირე სატყუარაა, თუმცა სავსებით მიმზიდველი თანხა გახლავთ რეიტინგ-ლისტების უკვე მეორე ათეულში განთავსებულთათვის, მით უფრო საქართველოსმაგვარი ქვეყნებიდან, ამიტომ სენტ ვინსენტში „ბ“ კლასის მოჭადრაკეთა ფრიადი რიცხვი აღინუსხა, ხოლო ზოგიერთს უმაღლესი კასტის წევრადაც ვერ დაიწუნებს კაცი. რეიტინგებით ყველაზე ტიტულოვანი პოლონელი მიხეილ კრასენკოვია, ერთადერთი, ვისაც ფიდეს სისტემით 2700 ქულაზე მეტი აქვს, მერე კი მოდიან ისეთი ცნობილი სახელები, როგორებიც რუსი ილია სმირინი, ქართველი ზურაბ აზმაიფარაშვილი, ბულგარელი კირილ გეორგიევი, სლოვენიელი ალექსანდრ ბელიავსკი, რუსი ალექსეი ფიოდოროვი და ჰოლანდიელი იან ტიმანი არიან (ჩამოთვლისას ფიდეს რეიტინგ-ლისტს მივყვებოდით), კიდევ არის რამდენიმე გვარიანი მოჭადრაკე, სუსტები, სულაც ურეიტინგოები და ბოლოს 29 იტალიელი, რომელთაც მაგრებთან თამაში თუ უჩანთ პატივად, თორემ რაიმე რეალურის გამკეთებლები ნაღდად არ არიან. ახლა კურიოზი: ევროპის პირად პირველობაზე ამერიკელი და კუვეიტელი თამაშობენ, არაფრით გამორჩეულები და ითამაშონ მერე! საეჭვოა, ამისგან ვინმემ სკანდალი შექმნას. მით უმეტეს, არავინ აღელდება იტალიაში ევროპის მანდილოსანი ჩემპიონის, ნატალია ჟუკოვას თამაშზე. თუ იუდით პოლგარს შეუძლია, უკრაინელმა ვითომ რა დაუშავა?

ზურაბ აზმაიფარაშვილმა კი ჩემპიონატი მშვენიერად დაიწყო, ორი მოიგო, მაგრამ მერე წააგო, კიდევ ორი მოიგო და მე-6 ტურში ერთხელაც დამარცხდა. იქ მისი მეტოქე რუსი პაველ ტრეგუბოვი იყო. პოზიციური ბრძოლის შემდეგ ენდშპილში შავებით მოთამაშე რუსმა იმძლავრა, ორი გამსვლელი პაიკი დაძრა და აზმაიფარაშვილის მათი მიყუჩებისთვის მატერიალურად დაზარალება მოუხდა. ტრეგუბოვს ორ პაიკში მხედარი დარჩა, შემდეგ სულაც ეტლითა და პაიკით სამი თეთრი პაიკის წინაშე დარჩა, ცუგცვანგის მდგომარეობა ადვილად შექმნა და 56-ე სვლაზე ქართველისგან კაპიტულაცია მიიღო.

სენტ ვინსენტში საკმაოდ რიგიანად ირჯება მეორე ქართველი თამაზ გელაშვილი, რომელსაც 6 ტურის შემდეგ 3,5 ქულა აქვს და 30-ედან 55-ე ადგილამდე განლაგებული მოჭადრაკეების ჯგუფში ირიცხება. აზმაიფარაშვილი მეცამეტე-ოცდამეცხრე ადგილებს იყოფს და ეს ჩემპიონატზე მესამე ნომრად განთესილი ჩვენიანს, ცხადია, ვერ დაკმაყოფილებს, თუმცა შეჯიბრზე შვეიცარული სისტემა მეფობს და მასში კი ფინალია გადამწყვეტი. ჯერჯერობით ცხრილის თავში ორნი არიან: რუს ვადიმ მილოვსა (მეცხრედ განთესილი) და გერმანელ ჰერალდ ჰერტნეკს (29) 5-5 ქულა აქვთ.

ამასობაში მიუნხენი „მაქს ეიგეს ასოციაციის“ სახელითა და ჰოლანდიელი იოჰან ვან ოსტერომის ფულებით 10 წლის წინათ დაფუძნებულ ტრადიციულ ტურნირს მასპინძლობს. მასში ვეტერანი ჯენტლმენები და ქალბატონები სცდიან ერთმანეთს და არ ყოფილა შემთხვევა, ტურნირზე ქართველ ქალს არ ეთამაშოს. მიუნხენში ნანა იოსელიანი იღვწის და ჭუდბედიანადაც: 5 ტურის შემდეგ მის აქტივში ჰოლანდიელი ჰანს ბუემეესტერისა და დიდი მარკ ტაიმანოვის დამარცხებანი ითვლება და სამიც ყაიმი. საერთოდ კი წლეულს ქალბატონთა უპირატესობა თვალშისაცემია, ისინი ჯერჯერობით 14,5-10,5 იგებენ.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲣᲚᲣᲐ

ᲫᲘᲣᲓᲝ

ᲔᲠᲗᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ, ᲝᲠᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

ᲡᲘᲓᲜᲔᲘᲡ ოლიმპიოდისწინა ერთ-ერთი ბოლო ასპარეზობა გახლდათ ამ დღეებში სტამბოლში გამართული დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომლის მონაწილეთა შორის, თავისთავად მრავლად იყვნენ ოლიმპიური ლიცენზიატები ანუ ტატამის წამყვანი ოსტატები სხვადასხვა ქვეყნებიდან.

საქართველოს გუნდი უძლიერესი ძიუდოისტების გარეშე ესტუმრა სტამბოლს. ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების თავკაცებს ოქტომბერში გასამართ მსოფლიო ჩემპიონატზე გასამგზავრებელ სპორტსმენთა შერჩევის კარგი შანსი მიეცათ და... გუნდის 21 წევრიდან იმედები მხოლოდ სამმა გაამართლა. 81 კილოში თავი გამოიჩინა 19 წლის ქუთაისელმა გრიგოლ მამრიკიშვილმა, რომელმაც ოთხივე მეტოქე დაამარცხა და უძლიერესის ტიტული მოიპოვა.

73 კილოში მესამე ადგილი ხვდა მამრიკიშვილის თანაქალაქელს, 17 წლის დავით სებისკვერაძეს. იგი ხუთჯერ გავიდა ტატამზე და მხოლოდ ერთი ორთაბრძოლა დათმო. აღსანიშნავია, რომ სებისკვერაძემ ევროპის ჩემპიონ რუმინელ ნიკოლაუს დააყრევინა ფარ-ხმალი.

აბსოლუტურ კატეგორიაში მესამე იყო თბილისელ ზვიად ხანჯალიაშვილი.

ᲘᲣᲖᲐ ᲙᲐᲪᲘᲢᲐᲫᲔ

იტალიელმა ემიგრანტმა საფრანგეთი გაახარა

მე შენ გელ: ასე ხვდებოდნენ იტალიელ ალბერტო ელის ფრანგი თაყვანისმცემლები

ORწლიანი შესვენების შემდეგ „ტურ დე ფრანსის“ ეტაპი როგორც იქნა მასპინძელმაც მოიგო. ეს პარასკევს მოხდა ტურსა და ლიმოჟს შორის. ლეგენდარული მრბოლის, რეიმონ პულიდორის მშობლიურ მხარეში „პრევჟიანსის“ წევრმა კრისტოფ ანიოლუტომ 128-კილომეტრიანი გაქცევა დააგვირგვინა მარტოხელამ. „ძალიან კმაყოფილი ვარ. უკვე ორი წელია, ერთი რბოლაც არ მომეგო“ — განაცხადა ანიოლუტომ, ვინც პელოტონში ყველაზე სწრაფ მარსელ ვუსტს წუთი და 11 წამი მოუგო. საუკეთესო სპრინტერისთვის განკუთვნილი მწვანე მაისურაც ვუსტმა ჩამოართვა ბელგიელ ტომ სტეელს. მეორე გერმანელი ერიკ ზაბელი თავის დაბადების დღეს (30 წლის შესრულდა) მესამე ადგილს დაჯერეს.

ლიმუზინის გზებზე წამოსულმა წვიმამ იტალიელ ალბერტო ელის ყვითელი მაისურა ვერ დააკარგვინა. იგი ფაბრის გუგოს კვლავინდებურად 12 წამს უგებდა, ფავორიტთაგან ყველაზე წინ მყოფებს კი ხუთ წუთზე მეტს. საერთო ჩათვლაში არც შემდგომ ორ ეტაპს მოუხდენია რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, ამიტომაც ყვითელი მაისურისთვის ბრძოლას ხვალამდე აღარ დავუბრუნდებით, დღეს კი მხოლოდ ეტაპების მიმდინარეობის შესახებ მოგითხრობთ.

77-ე კილომეტრზე, მანამდე რამდენიმე წარუმატებელი ცდის შემდეგ, ანიოლუტომ როგორც იქნა, შეძლო პელოტონს გაქცეოდა. მისი გამოდევნება თავიდან არავის მოსვლია აზრად, რადგან იმ დროისთვის გაწვიმდა და ლტოლვილი დიდხანს ვერ გაუძლებს მარტოობასო, იფიქრეს, თუმც შეცდნენ. ანიოლუტომ უპირატესობა სწრაფად გაზარდა და მალე 6 წუთსაც უგებდა დანარჩენებს, 129-ე კილომეტრზე კი მასსა და პელოტონს შორის სხვაობამ შვიდ წუთსა და 40 წამს უწია. „ამის მერე ეს უპირატესობა უნდა შემენარჩუნებინა და პელოტონისთვის წამოწევის საშუალება არ მიმეცა. გამარჯვება კი ფინიშამდე სამი კილომეტრით ადრე ვირწმუნე, როცა დანარჩენებს კიდევ ორ წუთს ვუგებდი“ — თქვა ფრანგმა, რომელიც გაჭიმული კუნთების დასაამებლად ველოსიპედზე წამომდგარი ხან ერთ ფეხს იშუშებდა და წელავდა, ხან — მეორეს.

შაბათს მესამე ცდით როგორც იქნა, იმარჯვა ჰოლანდიელმა ერიკ დეკერმა. მეორე და მეხუთე ეტაპებისას დიდხნიანი გაქცევები წარუმატებლად დამთავრდა. ანიოლუტის არ იყოს, რაბობანკელმაც გააფრთხილა თავისიანები ეტაპის დაწყებამდე, რომ მალევე შეუტევდა. ასეც მოიქცა. იგი თავიდანვე დაწინაურდა, მაგრამ მერე 17 კაცი შეუერთდა. პელოტონმა ცოტა აცალა ლტოლვილებს, შემდეგ კი „ონსეს“, „პოსტალისა“ და „მერკატონე უნოს“ ინიციატივით ოციოდე კილომეტრის მერე წამოეწია მათ.

48-ე კილომეტრზე საკულებმა ჰიერრიმ და მორიმ შეუტიეს ბოვენისა (რაბობანკი) და რადაელის (ვინი კალდიროლა) თანხლებით. მალე მათ 13 მრბოლი მიეწიათ. დაწინაურებულები ისე კარგად თანამშრომლობდნენ, ფინიშამდე ზუსტად 100 კილომეტრით ადრე 10 წუთსაც უგებდნენ დანარჩენებს. თუმცა ისევ „მერკატონე უნოს“ ხალხი ამუშავდა და ამ დროსაც დნობა იწყო. ამის შემხედვარე ბევრმა იფიქრა, პელოტონს პატრონი გამოუჩნდა იტალიური გუნდის ლიდერის მარკო პანტანის სახითო, რადგან მასზე იყო დამოკიდებული დევნის დაწყება. თუმცა პანტანი არმსტრონგისა და ულრიხისგან განსხვავებით, ამდენს იმიტომ აქტიურობდა, რომ საერთო ჩათვლაში ისედაც უკვე ძალიან ბევრს აგებდა.

პანტანის გრეგარების გააქტიურება რომ შეიტყვეს, ლტოლვილები აირივნენ და ყველამ ცალ-ცალკე მოინდომა ფონს გასვლა. ყველაზე იღბლიანი კი დეკერი აღმოჩნდა. წლეულს პარიზ-ნიცას დროს იდაყვნატკენი დეკერი შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზე არ დაუშვეს, რადგან სისხლში ჰემატოკრიტების დონე დასაშვებზე მეტი ჰქონდა. ახლა კი მან „რაბობანკს“ მეორე გამარჯვება მოუტანა ლეონ ვან ბონის შემდეგ.

კვირასაც, მეშვიდე და მერვე ეტაპების მსგავსად, დღის ერთ-ერთი შეტევა წარმატებული გამოდგა. პირინეის მთებში ასვლამდე ბოლო სწორგზიანი ეტაპი იტალიელი პაოლო ბეტინის გამარჯვებით დასრულდა. იგი კიდევ სამ მრბოლთან ერთად კარგა ხანს ლიდერობდა, მაგრამ დიდი უპირატესობისას ამ ჯგუფმა ვერ მიაღწია. თუმცა ვერც პელოტონმა შეძლო მათი დაწევა. ეს მხოლოდ ზედ ფინიშის ხაზთან მოხდა. ოთხეულის სპრინტში უსწრაფესი წლევანდელი ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟის მომგები ბეტინი აღმოჩნდა. პელოტონის სპრინტში კი ერიკ ზაბელმა იმარჯვა და მეხუთე ადგილთან ერთად მწვანე მაისურაც მოიპოვა, რომელსაც, სავარაუდოდ, აღარც დაუთმობს ვინმეს.

თავიდან მრბოლთა სიჩქარე ძალიან დაბალი იყო (საშუალოდ 30,2 კმ/სთ), თითქოს მთების წინ ყველამ ძალების დაზოგვა გადაწყვიტაო, მაგრამ მერე პელოტონი იძულებული გახდა, უფრო აჩქარებით ეტრიალებინა პედლები. 64-ე კილომეტრზე 18-კაციან შეტევაში ყვითელმაისურიანი ალბერტო ელიც მონაწილეობდა, ეს კი სხვებისთვის მიუღებელი იყო და 24 კილომეტრის შემდეგ შეერთებაც მოხდა. მერე კი ბეტინის ოთხეულიც გაიქცა და იტალიელმა იმარჯვა.

გაიოზ თალაკვაძე

ცოტა ოდენი გეოგრაფია და ისტორია



ლიმოჟი საფრანგეთის ცენტრალურ ნაწილში, მდინარე ვიენის რაპირზე, ლიმუზინის რეგიონში მდებარეობს. იგი უძველესი დროიდან ცნობილია, როგორც ფაიფურისა და მინანქარის მწარმოებელი ქალაქი, რომელიც ამჟამად რეგიონის ეკონომიკური ცენტრია (12 ათასი სანარმო და 213 ათასი მაცხოვრებელი). აქაური უნივერსიტეტი (17 ათასი სტუდენტი) მთელს საფრანგეთშია განთქმული. ახალგაზრდული ლიმოჟი (ყოველი მესამე ლიმოჟელი 25 წლისაც არაა) სპორტითაც განთქმულია. ყველაზე დიდ წარმატებას მისმა კალათბურთელებმა მიაღწიეს. ამ სეზონში „ლიმოჟი“ საფრანგეთის ჩემპიონი გახდა და თან კორაჩისა და საფრანგეთის თასებიც მოიპოვა.



ვილნევ-სიურ-ლო „ტურ დე ფრანსის“ ქალაქი-ეტაპი ოთხი წლის წინაც იყო. ეს მომხიბვლელი პატარა დაბა პერიგორის, კერსისა და გიენის შესაყარზეა გაშენებული. მის ფუძემდებლად ფრანგი დიდგვაროვანი ალფონს დე პუატიე ითვლება, ვისაც 1264 წელს უბრძანებია მდინარე ლოზე ქალაქის დაარსება. მას მერე ვილნევ-სიურ-ლო ანუ ლოზე მდებარე ვილნევი მდინარის ორივე ნაპირზე ჰარმონიულად განვითარდა და ლოც მისი სპორტის მთავარი წყაროა — აქ ყველაზე მეტად წყლის თხილამურებით და კანოეთი ერთობიან.



აჟანი უკვე ორ ათას წელზე მეტია, სავაჭრო ცენტრია, რომელიც აკვიტანიისა და ლანგედოკის საზღვარზე მდებარეობს. იგი ბორდოდან და ტულუზიდან თითქმის ერთნაირი მანძილითაა დაშორებული და ამიტომაც მის ცხოვრებასა და კულტურაზე ორივე ამ დიდ ქალაქს ერთნაირი გავლენა მოუხდენია. „ტურს“ აქ პირველად 1951 წელს გაუვლია, უკანასკნელად კი პელოტონი 1996 წელს სტუმრებია აჟანს.

დაქსი ბალნეო-კლიმატური კურორტია მდინარე ადურზე, ლანდის დეპარტამენტში. აქაურ ცხელ წყლითა და ტალახით ყოველწლიურად დაახლოებით 57 ათასი ადამიანი მკურნალობს. თუმც დაქსი თავისი გასტრონომიული მიღწევებით და კორიდითაცაა ცნობილი. აგვისტოში „ფერია“, სექტემბერში კი „ტოროს ი სალსა“ 60 ათასამდე კაცს აძლევს საშუალებას ადამიანისა და ხარის ორთაბრძოლა იხილონ. ოციათასიან დაქსში მოსახლეობის მესამედზე ცოტა მეტი სპორტით აქტიურადაა დაკავებული, აქაურ მორაგბეთა კლუბი კი საფრანგეთში ერთ-ერთი საუკეთესოა.

მეშვიდე ეტაპი

ტური — ლიმოჟი, 205კმ

1. კრისტოფ ანიოლუტო (საფრანგეთი, პრევუაიანსი) — 5სთ 11წთ 41წმ
2. მარსელ ვუსტი (გერმანია, ფესტინა) — +1წთ 11წმ
3. ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი)
4. რომანს ვაინსტეინი (ლატვია, ვინი კალდიროლა)
5. ზორან კლემენჩიჩი (სლოვენია, ვინი კალდიროლა) — ყველას იგივე დრო

მერვე ეტაპი

ლიმოჟი — ვილნევ-სიურ-ლო, 203,5კმ

1. ერიკ დეკერი (ჰოლანდია, რაბობანკი) — 4სთ 22წთ 14წმ
2. ჟანვიე ჟანი (საფრანგეთი, ფრანსეზი) — +52წმ
3. ვისენტე გარსია-აკოსტა (ესპანეთი, ბანესტო) — +56
4. ფრედ როდრიგესი (აშშ, მაპეი) — +58
5. დარიო პიერი (იტალია, საეკო) — +58

მეცხრე ეტაპი

აჟანი — დაქსი, 181კმ

1. პაოლო ბეტინი (იტალია, მაპეი) — 4სთ 29წთ 06წმ
2. გერტ ვერჰეინი (ბელგია, ლოტო)
3. ხოსე ანხელ ვიდალი (ესპანეთი, კელმე)
4. დიდიე რუ (საფრანგეთი, ბონჟური)
5. ერიკ ზაბელი — ყველს იგივე დრო

სერთო ჩათვლა

1. ალბერტო ელი (იტალია, ტელეკომი) — 33სთ 8წთ 34წმ
2. ფაბრის გუგო (საფრანგეთი, კრედი აგრიკოლი) — 112
3. მარკ ვოუტერსი (ბელგია, რაბობანკი) — +1წთ 15
4. პასკალ შანტერი (საფრანგეთი, პრევუაიანსი) — +2წთ 56
5. ხოსე ლუის არიეტა (ესპანეთი, ბანესტო) — 3წთ 08

ერთი დღის ისტორია

8 ივლისი

1953 წლის 8 ივლისს „ტურ დე ფრანსის“ მეხუთე ეტაპი გაიმართა დიეპიდან კაენამდე. დღის მთავარ შეტევაში რვა მრბოლი მონაწილეობდა. მათგან ბოლოს ბრეტონელი მალეჟაკი დაწინაურდა და ეტაპიც სწორედ მისი გამარჯვებით დასრულდა. ლიდერის ყვითელი მაისურა კი მეორე მოიერიშემ, „ფანტასტიკურმა ალბასელმა“ როჟე ასნეფორდემ მოიპოვა. იგი სიხარულით მეშვიდე ცაზე იყო, ყვავილების ბუკეტების გადამცემი ლამაზი გოგონები თხუთმეტ-თხუთმეტჯერ ჩაკოცნა და მერე საპატიო წრეც დაარტყა, ოღონდ მეტად უჩვეულოდ — ველოსიპედზე უკუღმა შეჯდა და ხელები საჭის მაგივრად სკამზე ჰქონდა დაწყობილი. ღამე კი ასანფორდეს ყვითელი მაისურა არ გაუხდია, ასევე დაიძინა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ერთ-ერთ საუკეთესო მრბოლზე ამასაც ამბობდნენ: მას ტვინის მაგივრად რობოტი ჩაუდგამ და ამქვეყნიურ რამეებზე აღარ ფიქრობს, ისეთი ფიზიკური მონაცემები აქვს, „ტურს“ მაინც ცალი ფეხით მოიგებსო.

9 ივლისი

უამრავი ქვაფენილიანი მონაკვეთი გაიარა „ტურის“ პელოტონმა 1955 წლის 9 ივლისს, რადგან ეტაპი ქალაქ რუბეში მთავრდებოდა. პელოტონს რამდენიმეკაციანი ჯგუფი გაექცა და ეტაპის გამარჯვებულის ბედიც სწორედ მათ შორის გაირკვა. რუბეს ველოდრომზე გამართულ სპრინტში ფრანგმა ანტონინ როლანმა ჰოლანდიელ ვოუტ ვაგტმანსს აჯობა, ამ უკანასკნელმა კი ყვითელი მაისურა მოიპოვა. როლანისთვის ეს 1952 წლის „პარკ დე პრენსის“ ეტაპის შემდეგ, მეორე წარმატება იყო „ტურზე“, რომელსაც ორ დღეში კიდევ უფრო დიდი სიხარული მოჰყვა — წარმოშობით კალელმა (ქალაქი ჩრდილოეთ საფრანგეთში) ვაგტმანსს ლიდერობაც ჩამოართვა. თუმცა ეს მას დიდად არც მოუწადინებია, რადგან მისი გუნდის ლიდერი და „ტურის“ პოტენციური მომგები ლეიზონ ბობე იყო. ახლა კი მთელ გუნდს როლანის ყვითელი მაისურა უნდა დაეცვა და ეს ბობეს შეიძლება ძვირი დასჯდომოდა. თუმცა ბოლოს მაინც_ როლანი კარგა ხანს ლიდერობდა და ყვითელი მაისურა მხოლოდ ერთ-ერთ ბოლო ეტაპზე დაუთმო მომავალ გამარჯვებულ_ ბობეს_

10 ივლისი

მილო-ავინიონის ეტაპი 1960წლის 10 ივლისს ტრაგიკულად დასრულდა. პატარა მთიდან დაშვებისას როჟე რივიერის კარიერა სამუდამოდ დასრულდა, კიდევ კარგი, იგი სიკვდილს მაინც გადაურჩა. სენტეტიენელი დიდებული სპორტსმენი და მსოფლიოს რეკორდსმენი ერთსაათიან რბოლაში იყო. იმ დღეს მას გადაწყვეტილი ჰქონდა, იტალიელი გასტონე ნენჩინისთვის ყვითელი მაისურა წაერთმია, რადგან საერთო ჩათვლაში სულ მცირედით ჩამორჩებოდა. მან შეტევა პერეურედან დაშვებისას გადაწყვიტა. სამი კილომეტრის მანძილზე ხან იგი იყო წინ და ხან — ნენჩინი, მაგრამ აპენინელი დაღმართებზე უძლიერესის სახელით ტყუილად არ სარგებლობდა და ამიტომაც რივიერს გასწრების საშუალება არ მისცა. ერთ-ერთ ბოლო მოსახვევში ფრანგი, რომელიც იტალიელს ბორბალში ეჯდა, გზას ასცდა და ფერდობზე გადავარდა. იგი ისე ძლიერად დაშავდა, რომ ველოსიპედზე დაჯდომა ველარასოდეს მოახერხა.

გსურთ ხელმისაწვდომ ფასებში მაღალპროფესიული იურიდიული მომსახურება?

მაშ, ეწვიეთ ფირმა „პრეცედენტს“, რომელიც მდებარეობს ვერაზე, სასტუმრო „საქართველოს“ მოპირდაპირე მხარეს, მელიქიშვილის №7.

ტელ: 29-29-46, 52-64-25 (საღამოს), 8 99 56-00-50

პერეკს ოთხასიც გაახსენდა

REUTERS ნიკიდან

კეტი ფრიმენი

ნიცის დიდი პრიზის შედეგთა დაფის დათვალიერებისას ერთი უცნაური შედეგი მოგვხვდა თვალში: კენიელი ტეგლა ლორუპე 3000 მეტრზე რბენაში მხოლოდ მესამე ყოფილა. გასაგებია, ჯერჯერობით მარი-ჟო პერეკი რად ვერ იხვეჭს ოქროს მედლებს, სერგეი ბუბკა 5 მეტრსა და 60 სანტიმეტრზე მაღლა რატომ ვერ ხტება, და დონოვან ბეილიმ 100 მეტრის გარბენას 10,15 წამი რად დაახარჯა, ფრანგიც, უკრაინელიც და კანადელიც ფსიქოლოგიურ-ფიზიკური ტრავმებისგან ახლახან განიკურნენ და ფორმაში შესვლას ეშურებიან, ეს კი ია-ვარდებით მოფენილი პროცესი როდი გახლავთ. და ლორუპე? არამცთუ რაიმე ტრავმაზე, საერთოდ ამ პროვინციაზე საინფორმაციო საშუალებებს ბოლო დღეებში კრინტი არ დაუძრავთ და ჩვენც მხოლოდ იმის დასკვნა შეგვიძლია, რომ ხანდახან უძლეველნიც ჩათვლემენ. ციცქნა კენიელს ლაჟვარდოვან სანაპიროზე რუსმა ტატიანა ტომაშოვამ და ეთიოპელმა გეტე ვამიმ გაუსწრეს. პირველს მაინც ეს გარემოება კარგა ხანს ტკბილ მოგონებად უნდა გაჰყვეს, ჩვენ კი რეაბილიტაციისთვის მებრძოლთა იმ ჯგუფის ნიცური თავგადასავალი აღვწეროთ, ზემოთ რომ ვახსენეთ.

მარი-ჟო პერეკმა ლოზანაში 200 მეტრზე მეორე ადგილის დაკავების შემდეგ ახლა ორჯერ გრძელი დისტანცია მოისურვა (ბოლოს მასზე ოთხი წლის წინ ირბინა) და დავიწყებულის გახსენების გვარიანი უნარი გამოამჟღავნა, მესამე მიიჭრა ფინიშთან, ხოლო მისი 50,32 წამიც ოლიმპიადის საკვალიფიკაციო სტანდარტზე ბევრით მეტი იყო. წინა ღამის უძილობა რომ არა, პერეკის შედეგი იქნებ უკეთესიც ყოფილიყო. ნერვიულობდა ადამიანი, მერე ამერიკიდან აცნობეს, კეტი ფრიმენია უწინდებურად აწყვეტილიო და ამანაც ცოტა იმოქმედა. სწორედ ავსტრალიელმა წაართვა ოთხი წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონობა, მერე სევილიის მსოფლიოს პირველობა მოიგო, ახლა კი შტატებში ცოცხლადვე ლეგენდარულ ჯონ სმიტთან ვარჯიშობს, რომელიც ადრე პერეკს წვრთნიდა და მოკლედ, ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, ფრიმენმა კვირადღეს 49,56 წამით სეზონის რეკორდი დაამყარა. ეს გაფრთხილება იყო პერეკისთვის, თუმცა ფრანგმა არაფრით გამოამჟღავნა შფოთი და წუხილი. „ფრიმენის დონე აქამდეც ვიცოდი — თქვა მან — მაგრამ სიდნეიში მოსაგებად 49 წამის გადაცილებაც უკვე აღარ იკმარებს. მე იქითკენ მივდივარ“. ნიცის ქალთა 400 მეტრიკი ბრიტანელმა კეტრინ მერიმ მოიგო (50,05), მეორემ ფინიშთან იამაიკელმა ლორან გრემმა მიირბინა, 50,10-წამიანი შედეგით. რბენის გასრულების შემდეგ პერეკმა თქვა: „დაბრუნება ძნელი და ხანგრძლივი საქმეა, მაგრამ მთავარი შევძელი, დისტანცია ხელახლა შევიგრძენი, უკვე შემიძლია, განვაცხადო, რომ 200 და 400-მეტრიანი დისტანციები ჩემია, ჩემმა გონებამ და სხეულმა ის მიიღო. ახლა ახალი რბენების დაწყებამდე ერთი სული მაქვს“.

ბუბკას ამბავი გადაიდო. გენიალური მეჭოკე ლოზანაში ჩავარდნიდან მოკლე ხანში ექიმებმა გასინჯეს და ბარძაყის გადაღლა დაუდგინეს. უკრაინელი აგვისტომდე თითს თითზე აღარ დააკარებს.

დონოვან ბეილი კი ნიცაში წარუმატებლობამ საკუთარ თავზე განარისხა და დავიღალე, შინ მივდივარო, ათქვინა, თუმცა კანადელმა მასმედიას რამდენიმე სიტყვა მაინც [illegible] მელშიც თვითკრიტიკა სჭარბობდა და რაღაც პიონერულისმაგვარი პირობაც დადო — ამგვარი რამ აღარ განმეორდებაო. ლაპარაკია 100 მეტრისთვის 10,15 წამის დახარჯვასა და მესამე ადგილზე, რაც ბეილისთვის ორი კვირის წინ ნაჩვენები 9,98 წამის შემდეგ ჩავარდნის ტოლფასი შედეგია.

დავით გულუა

ნიცის დიდი პრიზი. 8 ივლისი

კაცები

1500 მ. 1. უილიამ ჩირჩირი (კენია) — 3:32,72; 2. ჯონ კიბოუენი (კენია) — 3.33,95; 3. დრის მააზუზი (საფრანგეთი) — 3.34,13.

100 მ. 1. ფრანსის ობიკველუ (ნიგერია) — 10,06; 2. დარენ კემპბელი (დიდი ბრიტანეთი) — 10,13; 3. დონოვან ბეილი (კანადა) — 10,15.

400 მ. 1. ანტუან მეიბანკი (აშშ) — 44,80; 2. გრეგორი ჰოუტონი (იამაიკა) — 45,03; 3. ჯემი ბოლი (დიდი ბრიტანეთი) — 45,38.

3000 მ. 1. ბენჯამინ ლიმო (კენია) — 7.37,73; 2. ისმაილ სირი (საფრანგეთი) — 7.37,91; 3. მუსტაფა ესაიდი (საფრანგეთი) — 7.38,03.

ეროს ტყორცნა. 1. ლენს დილი (აშშ) — 80,99; 2. ჟილ დიუპრე (საფრანგეთი) — 79,59; 3. ტიბორ გეცეკი (უნგრეთი) — 79,49.

400 მ. წინაღობებით. 1. ერიკ ტომასი (აშშ) — 48,20; 2. სემუელ მატეტე (ზამბია) — 48,44; 3. ერონილდე ნუნეს დე არაუჟო (ბრაზილია) — 48,74.

3000 მ. სტრიპლჩეიზი. 1. ბრაჰიმ ბულამი (მაროკო) — 8.03,30; 2. ალი ეზინი (მაროკო) — 8.04,06; 3. გალ პენკრიჩი (საფრანგეთი) — 8.19,48.

1000 მ. 1. ნოა ნგენი (კენია) — 2.14,78; 2. მეხდი ბაალა (საფრანგეთი) — 2.15,45; 3. ლაბან როტიხი (კენია) — 2.16,45.

ჭოკით ხტომა. 1. მაქსიმ ტარასოვი (რუსეთი) — 5,82 მ; 2. ოკერტ ბრიტსი (სამხრეთ აფრიკა) — 5,76; 3. როდიონ გატაულინი (რუსეთი) — 5,68.

სიმაღლეზე ხტომა. 1. სტეფან სტრანდი (შვედეთი) — 2,32; 2. ჩარლზ ოსტინი (აშშ) — 2,32; 3. კვაკუ ბოატენგი (კანადა) — 2,32.

ქალები

100 მ. 1. ჩანდრა სტარაპი (ბაჰამის კუნძულები) — 11,18; 2. ჟანა პინტუსევიჩი (უკრაინა) — 11,19; 3. მერსი ნკუ (ნიგერია) — 11,31.

100 მ. წინაღობებით. 1. ოლგა შიშიგინა (ყაზახეთი) — 12,75; 2. დელორინ ენისლონდონი (იამაიკა) — 12,81; 3. შერონ კოუჩჯეველი (აშშ) — 12,91.

400 მ. 1. კეტრინ მერი (დიდი ბრიტანეთი) — 50,05; 2. ლორან გრემი (იამაიკა) — 50,10; 3. მარი-ჟო პერეკი (საფრანგეთი) — 50,32.

400 მ. წინაღობებით. 1. ტატიანა ტერეშჩუკი (უკრაინა) — 54,52; 2. ანდრეა ბლეკიტი (ბარბადოსი) — 54,56; 3. მარი ტაკო დიუფი (სენეგალი) — 55,11.

1500 მ. 1. ოლგა კუზნეცოვა (რუსეთი) — 4.03,50; 2. ოლგა ნელიუბოვა — 4.04,05; 3. ჰეილეი ტიულეტი (დიდი ბრიტანეთი) — 4.05,19.

3000 მ. 1. ტატიანა ტომაშოვა (რუსეთი) — 8.36,37; 2. გეტე ვამი (ეთიოპია) — 8.36,92; 3. ტეგლა ლორუპე (კენია) — 8.37,65.

1000 მ. 1. ვილეტა ზეკელი (რუმინეთი) — 2.37,22; 2. ლეტიცია ვრისდე (სურინამი) — 2.37,42; 3. ელენა ბუზენკო — 2.37,89.

ჭოკით ხტომა. 1. სვეტლანა ფეოფანოვა (რუსეთი) — 4,46; 2. მარი პუასონი (საფრანგეთი) — 4,34; 3. ელენა ბელიაკოვა (რუსეთი) — 4,34.

ბადროს ტყორცნა. 1. ირინა იაჩენკო (ბელარუსი) — 65,42; 2. ნიკოლეტა გასუ (რუმინეთი) — 64,50; 3. იზაბელ დე ვალუა (საფრანგეთი) — 58,05.

ჯაბურიას რეკორდი გადარჩა
პალმერს რომ ჰკითხოთ, იდიოტებმა გაიმარჯვეს

XXV European swimming championships

ჰელსინკში დასრულებულ კონტინენტის პირველობაზე, სადაც 46 ქვეყნის 1000-მდე სპორტსმენთან ერთად ქართველებიც გამოდიოდნენ, ჩვენებს ასე თუ ისე მნიშვნელოვანი შედეგებისთვის არ მიუღწევიათ, თუ არ ჩავთვლით წყალში მხტომელ ნანა ნებიერიძის გამოსვლას. მან, როგორც ვიუწყებოდით, 10-მეტრიანი კოშკურიდან ხტომისას 12 საუკეთესოსთან ერთად ფინალში გააღწია, მოცურავეებმა ზურაბ ბერიძემ და ზურაბ ხომასურიძემ კი საკვალიფიკაციო ეტაპები ვერ გადალახეს.

ეს ჩემპიონატი ჩვენთვის საინტერესო იყო უცხოელი ქართველების მონაწილეობითაც, თუმცა არც მათ მიუღწევიათ რაიმე განსაკუთრებულისთვის. შედარებით უკეთ გამოვიდა უკრაინელი სვიატოსლავ სვანიძე, როდესაც 4X100 მეტრზე თავისუფალი სტილით მეხუთე ადგილი დაიკავა, ბელარუსმა „ქართველმა“ ვალერიან ხუროშვილმა კი 200 მეტრზე კროლით ნახევარფინალში ასპარეზა (1.23,61)

ერთადერთი, რითიც ახლა შეგვიძლია თავი „ვინუგეშოთ“, ისაა, რომ 50 მეტრზე ბრასით 1996 წლის 27 აპრილს ხარლოვში უკრაინელი ალექსანდრე ჯაბურიას მიერ დამყარებული მსოფლიოს რეკორდი (27,61) დარჩა ხელუხლებელი. აქ გერმანელი მარკ ვარნეკი (27,75) ახლოს იყო მსოფლიოსა და რაღა თქმა უნდა, ჩემპიონატის რეკორდთანაც (27,63), რომელიც მასვე ეკუთვნის, თუმცა ამ შედეგითაც კმაყოფილი უნდა იყოს, რადგან მიღწეულით ვარნეკმა ნაწილობრივ გამოუკეთა გუნება გერმანელებს.

საქმე ისაა, რომ მათ უდავო ფავორიტები, მოქმედი ჩემპიონები სანდრა ფოლკერი და რალფ ბრაუნი მოისაკლისეს, როდესაც არასწორი ბრუნის გამო ორივეს დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს.

ჩემპიონატზე ჰეთ ორკი შეასრულა იტალიელმა მასიმილიანო როსოლინიმ. თავდაპირველად მან 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მოიპოვა გამარჯვება, მერე იმავე დისტანციაზე თავისუფალი სტილით იზეიმა წარმატება (1.47,31), როცა უკან მოიტოვა ჰოლანდიელი პიტერ ვან დენ ჰუუგენბანდი (1.47,62), ხოლო მესამეზე გასული ბრიტანელი პოლ პალმერი მათ გვარიანად ჩამორჩა (1.49,54).

საბოლოოდ ჩემპიონიც კმაყოფილი დარჩა შედეგით და მეორე პრიზიორიც.

— მეორე ადგილზე გასვლით და ჩემპიონობის დაკარგვით გულნატკენი არ ვარ. ყველაფერი კარგად იყო. საკმაოდ კარგი დრო ვაჩვენე, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ ჩემპიონატისთვის არ ვიყავი კონცენტრირებული. ჩემი მიზანი ოლიმპიური თამაშებია. ვიმედოვნებ, რომ იქ პირველი ვიქნები — თქვა ჰოლანდიელმა.

დიდ გულზე იყო მესამეადგილოსანი პალმერი. ნებისმიერი, ვისაც ამ ჩემპიონატზე ჰქონდა აქცენტი აღებული იდიოტია. მე წელიწადში მხოლოდ ერთი უმთავრესი შეჯიბრებისთვის ვემზადები. — უმთავრესი კი ოლიმპიური თამაშებიაო, თქვა მან.

ცხადია, კმაყოფილი იყო გამარჯვებული როსოლინიც, ვისთვისაც ეს წარმატება სიუპრიზი აღმოჩნდა. მან მესამე ოქროს მედალი თანაგუნდელებთან მატეო პელიკიარისთან, სიმონე ჩერკატოსთან და ემილიანო ბრემბილასთან ერთად 4X200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მოიპოვა.

იტალიელთა „კვარტეტს“ ფინიშამდე 16,52 წამი დასჭირდათ. მეორე ადგილზე გასულ გერმანელებს — 7.18,96, ხოლო ბრინჯაოსმედალოსან ჰოლანდიელებს — 7.19,91

უთუოდ აღსანიშნავია შვედი ლარს ფროლანდერის გამოსვლა. მან 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში დენის პანკრატოვის მიერ 1996 წელს ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე დამყარებული ევროპის რეკორდი (52,27) დაამხო (52,23) და ამ გამარჯვებით ჩემპიონატის სამივე სინჯის მედალი მოიპოვა. მანამდე მან საშშპათს 50 მეტრზე იმავე დისციპლინაში „ვერცხლი“, ხოლო ოთხშაბათს 100 მეტრზე თავისუფალი სტილით „ბრინჯაო“ მოიპოვა.

მეორე ადგილზე გავიდა გერმანელი ტომას რუპრატი (53,38), ხოლო მესამეზე ბრიტანელი ჯეიმს ჰიკმანი (53,44).

— ტრავმის გამო დიდი ხანია არ მივარჯიშია, მაგრამ ვიმედოვნებდი, რომ ევროპულ რეკორდს დავამყარებდი. ასეც მოხდა. ამიტომაც ეს დიდი გამარჯვება იყო ჩემთვის — თქვა ფროლანდერმა.

თავი გამოიჩინა რუსმა ვეტერანმა ალექსანდრ პოპოვმაც, რომელმაც 50 მეტრზე თავისუფალი სტილით საკვალიფიკაციო გაცურვისას ჩემპიონატის რეკორდი დაამყარა (21,98), ფინალში კი გამარჯვებაც მოიპოვა — 21,95. მეორე ადგილზე გავიდა პიტერ ვან დენ ჰუუგენბანდი (22,35). მესამე იყო იტალიელი ლორენცო ვისმარა (22,38).

REUTERS ჰელსინკიდან

მასიმილიანო როსოლინო, სიმონე ჩერკატო, მატეო პელიკიარი და ემილინო ბრემბილა

50 მეტრზე ჩემპიონობას პოპოვმა 4X100 მეტრიზე კომბინირებულ ესტაფეტაში გამარჯვებაც მიაყოლა, რითაც თანაგუნდელები (ვლადისლავ ამინოვი, დმიტრი კომორნიკოვი და დმიტრი ჩერნიშევი) დახმარებით ჩემპიონატის მეოთხე „ოქრო“ დაისაკუთრა.

ჩემპიონების შედეგია 3.39,29, ხოლო მეორე და მესამე ადგილებზე გასული შვედებისა და უკრაინელი მოცურავეებისა შესაბამისად — 3.40,43 და 3.40,91.

ოთხი ოქროს მედალი დაიმსახურა შვედმა ქალთევზა ტერეზა ალსამარმაც, რომელსაც ჰოლანდიელი ინგე დე ბრუინის მსოფლიოს რეკორდის დამხობაც შეეძლო 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში, როდესაც ასეთ შედეგს 0,05 წამით აცდა, მაგრამ ამას ჩემპიონობისთვის ხელი არ შეუშლია (24.44).

აქვე იმასაც გეტყვით, რომ დე ბრუინმა ჰელსინკში ასპარეზობას აშშ-ში ოლიმპიადისთვის ვარჯიში ამჯობინა. თუმცა ბრუინის არყოფნით გარკვეული კომპენსაცია მოახდინა მისმა თანამემამულე ვილმა ვან რიინმა, რომელიც მეორე ადგილზე გავიდა (25,46). მესამე იყო უკრაინელი ოლგა მუკომოლი (25,54).

4X100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში ტერეზა ალსამარმა თანამემამულე ემა ინგელსტრომთან, იოანა სიობერგთან და ლუის იონკესთან ერთად გამარჯვებით დაასრულა კონტინენტის პირველობა და ახლა მთავარ საზრუნავად სიდნეის ოლიმპიადისთვის ფორმის შენარჩუნება გაუხდიათ.

შვედურ კვარტეტს გამარჯვებისთვის 4.06,00 წამი დასჭირდათ. მეორე და მესამე ადგილებზე გასულ ბელგიელებსა და რუმინელებს შესაბამისად 4.09,52 და 4.10,05.

პოპოვმა და ალსამარმა ოთხ-ოთხი „ოქროს“ მოპოვებით სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის გარკვეული ფონი შეიქმნეს. დანარჩენს კი იქ გვიჩვენებენ.

კურიოზული რამ მოხდა ქალთა 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში, რაზეც მკითხველის ყურადღების შეჩერება ღირს.

აქ გამარჯვებულის გამოსავლენად სპორტსმენებს მთელი დისტანციის თავიდან ბოლომდე გაცურვა ორჯერ მოუხდათ. საქმე ის იყო, რომ მსაჯ-ინფორმატორს მიკროფონი გაუტყდა მაშინ, როდესაც ფინალური ასპარეზობის მონაწილენი სტარტზე ადგილის დასაკავებლად იხმო. ზოგიერთს სასტარტო მდგომარეობის მიღებაც კი ვერ მოესწრო, რომ შეჯიბრების დაწყების სიგნალი გაისმა. დაბნეული მოცურავეები წყალში მაინც გადაეშვნენ და გაცურეს კიდეც. ერთადერთი, ვინც უმალ არ გადახტა, გახლდათ სლოვაკი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი მარტინა მორავცოვა, ხოლო როდესაც შეატყო, რომ ეულად დარჩა, გაოგნებულმა გადაწყვიტა თავადაც გადამხტარიყო, რითაც სულ ცოტა ორი წამი დაკარგა. ამიტომ მედლებისთვის ბრძოლა მის გარეშე მიმდინარეობდა. ფინიში დასრულებული არც იყო, როცა სლოვაკებმა პროტესტი გამოთქვეს, რადგან მსაჯის შეცდომა აშკარად ჩანდა. მსაჯი ვალდებული იყო, რომ ცურვა თავიდანვე შეეჩერებინა და განმეორებითი სტარტი დაენიშნა. განმეორებითი გაცურვა, წესების თანახმად, ესტაფეტის მერე დაინიშნა. რასაც გაგულისებული მორავცოვა მოუთმენლად ელოდა, რადგან „გამარჯვებულ“ ბელარუს ნატალია ბარანოვსკაიაზე რევანში სწადდა, თავად კი მხოლოდ მეექვსე იყო.

განმეორებითი გაცურვისას სლოვაკი მაინც ნახევარი წამით ჩამორჩა ბელარუსს, რომელსაც ამჯერად ფინიშთან მისაცურად მეტი დრო დასჭირდა (1.59,51), თუმცა მაინც გაიმარჯვა. სლოვაკმა კი მეორე ადგილი დაიკავა (2.00,08).

— პირველი სტარტისას მართლაც რააც არასწორად მოხდა. ამ მოკლე დროში ძალიან ძნელი იყო ორი ფინალის გაცურვა, მაგრამ ორივეჯერ გამარჯვებით დავამტკიცე, რომ საუკეთესო ვარ — თქვა ბელარუსმა ჩემპიონმა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში, თუ მეტი არა, ცურვაში ასეთი რამ არ მომხდარა.

გიგა გურასაშვილი

ჩემპიონის ცრემლი ამოდის, შავდება



REUTERS ლონდონიდან

ლინდსი დევენპორტი უიმბლდონის ჩემპიონის დაყარგულ ტიტულს ნაღვლობს

ესეც შვიდი: პიტ სამპრასი პატრიკ რაფტერის დამარცხების მერე უიმბლდონის შვიდგზის ჩემპიონი შეიქნა

დასაწყისი პირველ გვერდზე

„ასე ემოციური იმიტომ ვიყავი, რომ უმალ გავიაზრე, რაც მოხდა, რამდენს ნიშნავს ეს ტიტული ჩემთვის, როგორ ვიწვალე ბოლო კვირანახევრის მანძილზე და თავი ვეღარ შევიკავე“ — განგვიცხადა უკვე მოგვიანებით სამპრასმა პრესკონფერენციაზე.

თუმც ერთხანს საქმეს ისეთი პირი უჭანდა, რომ ფინალის დასრულება კვირას სულაც არ მოხერხდებოდა და ამ სტრიქონების ავტორიც უიმბლდონის კაცთა ფინალს ვერ იხილავდა: ორშაბათ დილით უკვე შინ უნდა გამოვფრენილიყავი, ლონდონში კი კვირას მთელი შუადღე გადაუღებლად წვიმდა.

მატჩი ერთი საათის დაგვიანებით დაიწყო. 4:3-ზე რაფტერის სასარგებლოდ 25 წუთით შეწყდა, რამდენიმე გათამაშების შემდეგ კი ისეთი თავსხმა წამოვიდა, რომ ჩემგან ფრიად ნაქებ „მილენიუმ ბილდინგში“ ჭერიდან წყალმა დაიწყო წვეთა.

ორ საათზე მეტი ხნის მანძილზე უაზროდ და განწირულად ვუყურებდი კორტის თავზე მოქუფრულ შავ ღრუბლებს, მერე კი, როდესაც იმედი საბოლოოდ გადამეწურა, მოულოდნელად გამოიდარა, მზემ გამოანათა და თამაშიც გაგრძელდა. ერთი ეგ იყო, უკვე საღამოს 7 საათი იყო, ამიტომ მატჩი ცოტათიც რომ გაწელილიყო, ცხრაზე იმდენად დაბნელდებოდა, მაინც მეორე დღისთვის გადაიტანდნენ.

შეხვედრის ბედი ორ ტაი-ბრეიკზე გადაწყდა. მიუხედავად იმისა, რომ სამპრასს შესამჩნევი უპირატესობა ჰქონდა, რაფტერისთვის მოწოდების ართმევა პირველ ორ სეტში მან ვერ მოახერხა და ორჯერვე საქმე გადამწყვეტ გეიმამდე მივიდა.

პირველ სეტში ნერვებმა ამერიკელს უმტყუნა. ჯერ 3:9-ზე, მერე კი 10:11-ზე მან ორმაგი შეცდომა დაუშვა და მოგება საკუთარი ხელით გადაულოცა მეტოქეს.

მეორე ხელის ტაი-ბრეიკზე უკვე რაფტერმა „გამოიჩინა თავი“. 4:1-ით დაწინაურების შემდეგ უიმბლდონის ჩემპიონობის პერსპექტივამ ახლა უკვე კიკინიანი ოზი დააფრთხო, მანაც ორმაგი და ერთი-ორი უნებლიე შეცდომა გამოურია და სეტებით ანგარიში გათანაბრდა.

„1:4-ზე მეგონა, რომ ყველაფერი დაკარგული იყო და აღარაფერი გადამარჩენდა, მაგრამ ორი წუთი გავიდა და უკვე მე აღმოვჩნდი უკეთეს მდგომარეობაში. ბალახზე თამაშში ასე ხშირად ხდება“ — აღნიშნა მოგვიანებით სამპრასმა.

რაფტერი ხელსაყრელი შანსის ხელიდან გაშვებამ საბოლოოდ გატეხა. თავის მხრივ ამერიკელი მიღებებზე სულ უფრო უკეთ და ზუსტად ათამაშდა, მეტოქე თავის მოწოდებებს აღარ გააკარა და გამარჯვებას სწრაფად მიაღწია.

ბოლო ორ-სამ გეიმში კორტზე ისე ჩამობნელდა, ბურთს გაჭირვებით გაარჩევდით, თუმცა რაფტერს არ გაუპროტესტებია, ის უკვე შეეგუა მარცხს და პირველივე მატჩ-პოინტზე მიღება აუტში გადაგზავნა.

მერე კი იყო ჩემპიონის ცრემლი, სიბნელეში მოციმციმე ათასობით ფოტოაპარატი, სამპრასის ტრიბუნებზე ავარდნა შმობლებთან გადასახვევად და დაჯილდოების სწრაფი ცერემონიალი — უკვე საღამო კი არა, ღამე გახლდათ.

„ორივეს შეგვეძლო მოგება, მაგრამ მე მეტად გამიმართლა, ეტყობა იქ, ზევით, ვიღაც ჩემს მხარეს იყო. ძალიან მიხარია, რომ დედ-მამა დავითანხმე, ფინალზე ჩამოსულიყვნენ. მე მიყვარს ისინი და ჩემი საცოლე ბრიჯიტიც. მადლობა ყველას“ — ეს სამპრასის სიტყვებია.

ფინალი. ქალები: ვინუს უილიამსი (5, აშშ) — ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) 6:3, 7:6 (7:3)

სიმართლე გითხრათ, ამ წერილს გაცილებით ლაზათიანად და სიამოვნებით მაშინ დავწერდი, გამარჯვებულსა და დამარცხებულს ადგილები რომ გაეცვალათ. საქმე მარტო ის კი არ არის, დევენპორტს ვქომაგობდი. ძალლის თავი იქაა დამარხული, რომ მატჩის წინ „პერიეს“ ანგარიშის ამოსაცნობ თამაშში ვიწინასწარმეტყველე, რომ ქალების ფინალი საათსა და 21 წუთს გასტანდა, 22 გეიმს გაგრძელდებოდა (და ეს ყველაფერი ასეც მოხდა), ოღონდ გამარჯვებულის გრაფაში ლინგსი დევენპორტი ჩავწერე. ეს იაღლიში პორტატული კომპიუტერის დაკარგვად დამიჯდა.

საერთოდ, გასული უქმეები მეტად უსიამოვნოდ დაიწყო და კიდევ უფრო უარესად გაგრძელდა. შაბათ დილით, წესით ჟურნალისტთა საჩოგბურთო ტურნირზე უნდა მეთამაშა, მაგრამ ისე გვიან გამეღვიძა, წასვლას აზრი აღარ ჰქონდა. გამარჯვებით იქ ყოფილმა პროფესიონალმა, ამერიკელმა ლიუკ ჯენსენმა გაიმარჯვა, რომლისთვისაც, ჩემი აღშფოთებული კოლეგების აზრით, თამაშის უფლება საერთოდ არ უნდა მიეცათ.

უიმბლდონური ტრადიციის მიხედვით, ფინალი შუადღის 2 საათზე უნდა დაწყებულიყო, მაგრამ წვიმის გამო საათზე მეტით გადაიდო. უსაქმურობისგან მოთამაშეთა რესტორანში შესვლის უფლება ავიღე და „მილენიუმ ბილდინგის“ ყველაზე მიუწვდომელ კუთხეებში შევეხეტე.

წინა დღეს კლაუდია შიფერთან ნასაუბრევს რაღა გამაკვირვებდა, ამიტომ მოაჯირთან ჰოლივუდელი ვარსკვლავი ვუდი ჰარელსონი რომ დავინახე, წარბიც არ შემიხრია. მარიხუანის მოყვარულ მსახიობს ისე მივესალმე, თითქოს დიდი ხნის მეგობრები ვიყავით, რაღა თქმა უნდა, ფილმები და ოსტატობა შევუქე და ვკითხე, ვის ქომაგობ-მეთქი.

დადარაჯებულმა პრესაგენტმა კლიენტის ნაცვლად გამცა პასუხი — ამერიკასო. თუმცა ჰარელსონი პოლიტიკურ კორექტულობას ყურადღებას, ეტყობა, დიდად არ აქცევს, ამიტომ ერთი თანამემამულის წყენინებას არ მოერიდა და გულწრფელად მითხრა, მინდა ვინუსმა მოიგოსო...

უფროსმა უილიამსმა შეხვედრა მეტად ნერვიულად დაიწყო და საკუთარი მოწოდება სწრაფად დათმო, თუმც იმის ნაცვლად, რომ უპირატესობა განემტკიცებინა, თავის მხრივ დევენპორტმაც აურია, მეტოქეს ვალი გადაჭარბებით დაუბრუნა და ზედიზედ ოთხი გეიმი წაგო. პირველი სეტის ბედიც მაშინ გადაწყდა.

ყველაზე დიდი განსხვავება მოთამაშეებს შორის კორტზე მოძრაობის უნარში გამოჩნდა. დევენპორტის სირბილს ბაჯბაჯი უფრო ეთქმის, მაგრამ ამჯერად მსოფლიოს მეორე ჩოგანს ესეც კი დიდი გაჭირვებით გამოსდიოდა. მას უიმბლდონის მიმდინარეობისას ბარძაყის ტრავმა აწუხებდა, თანაც ბოლო სამი-ოთხი დღე გაცივებულიც გახლდათ.

აი, უილიამსი კი [illegible] დაჭარბებით ასრულებდა. როდესაც ეს შავი კუნთების საოცრად აყლაყუდა მსა კორტზე თავქუდმოგლეჯილი მიქრის, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ცოტაც და კიდურები სხვადასხვა მხარეს დაიფანტებიან. სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, აქამდე საქმე არასოდეს მიდის, სამაგიეროდ, ორ ნახევრში ვინუსი მთელ კორტს გადაირბენს-ხოლმე და ნებისმიერი სხვა ქალი ჩოგბურთელისთვის აუღებელ ბურთებსაც უსწრებს.

რამდენჯერმე ისეთი მომენტიც იყო, როდესაც დევენპორტს ქულა მოგებული ეგონა, უილიამსმა კი თავისი უსაშველოდ გრძელი ფეხებით ბალახზე ჟირაფივით გადაიფრინა და საბრძოლო გმინვა-ყიჟინით ბურთი ტყვიასავით მიაბრუნა უკან. ლინდსის თვალის გაყოლების მეტი აღარაფერი დარჩენოდა.

გაცილებით თანაბარი და დაძაბული მეორე ხელის ბოლოს, ვინუსი 5:4 დაწინაურდა. უიმბლდონის საოცნებო ტიტულის მოპოვებამდე საკუთარი მოწოდების შენარჩუნებაღა რჩებოდა, მაგრამ უილიამსმა დაძაბულობას ველარ გაუძლო, ორი ორმაგი და ორიც უნებლიე შეცდომა დაუშვა და მეტოქეს საშუალება მისცა, ანგარიში გაეთანაბრებინა.

დევენპორტის ჩუმად მყოფმა ქომაგებმა ხმა ამოიღვეს, თუმც ეს, უბრალოდ, აგონიის გაგრძელებას ჰგავდა. ტაი-ბრეიკზე უილიამსი ისევ შესანიშნავად გაისარჯა, ხაზს გაყოლებული ბექჰენდებითა და სხარტი შემოკლებულებით მეტოქეს შანსი არ დაუტოვა, მეორე მატჩ-პოინტზე კი ლინდსიმ ბურთი ბადეში გაახვია.

თუ მატჩი მაინცდამაინც კარგი სანახავი არ გამოდგა, ვინუსის ზეიმი ერთ რამედ ღირდა — ისეთი შეიკუნტრუშა, თავი ლამის ცენტრალური კორტის ზევით ამოჰყო, მერე კი პირდაღებულმა და დამუნჯებულმა ტრიბუნებზეც გადაალაჯა და აცრემლებულ სერენას და მამიკო რიჩარდს გადაეხვია.

რიჩარდი ფინალის მანძილზე თავისი ლოჟიდან ნაირ-ნაირ პლაკატებს ჰფენდა გამაღიზიანებელი წარწერებით („ეს ვინუსის წვეულებაა, დევენპორტი დაპატიჟებული არ არის“), რითაც CNN-ის კომენტატორი მარტინა ნავრატილოვა ძალიან აღაშფოთა, ეს ლინდსის მიმართ უსამართლობაა, თანაც რჩევების მიცემას ჰგავსო.

ყოველ შემთხვევაში, ოჯახის მამა ტრიბუნიდან არ მიაბრძანეს, მისმა ქალიშვილმა კი სულ მალე მთავარი ჯილდო შეათამაშა ხელში.

ვინუსმა პრესკონფერენციის დაწყებამდე ჟურნალისტები თითქმის საათი გვალოდინა, ხოლო როდესაც პატივი დაგვდო და მობრძანდა, წინასწარ დაზუთხულ-დაზეპირებული, მეტად ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით დაიწყო:

— სულაც არ ვლელავ, მე მიყვარს ჩოგბურთის თამაში, უიმბლდონის მოგება, მაგრამ ამავე დროს ახლა მიკვდი, რომ ზოგადად, ცხოვრებაში მოიგებ თუ წააგებ, ამით, მეტად ან ნაკლებად ბედნიერი არ იქნები. ტიტულები, ფული, დიდება, გამარჯვებები ბედნიერებას არ ნიშნავს. ეს კარგია ჩემი კარიერისთვის, მაგრამ როგორც პიროვნებისთვის, სულერთია.

— რას ნიშნავს თქვენთვის სიტყვები — ვინუს უილიამსი, უიმბლდონის ჩემპიონი?

— ეს ასეც უნდა მომხდარიყო, მთელი ცხოვრება ვშრომობდი ამისთვის. ბევრი შევწირე წარმატების მიღწევას, უამრავი ტრავმა და მწარე მარცხი გადავიტანე, მაგრამ გული არ გავიტეხე. ისევ ვაგრძელებდი ვარჯიშს და მჯეროდა, რომ დასახულ მიზანს აუცილებლად მივაღწევდი.

— მამათქვენი თავიდანვე გარწმუნებდათ, რომ ჩემპიონი გახდებოდით?

— ო, დიახ. ჩვენ იმისთვის არ ვშრომობდით, რომ მხოლოდ პროფესიონალები გავმხდარიყავით და ტურზე გვეთამაშა. გვინდოდა, საუკეთესოები ვყოფილიყავით. შეიძლება, ზოგჯერ სხვები გვჯობდნენ, მაგრამ ჩვენ მაინც გვწამდა და მთავარიც ეს არის.

— ჩემპიონთა წვეულებისთვის საღამოს კაბა უკვე შეარჩიეთ?

— სიმართლე გითხრათ, კაბა ჯერ კიდევ ფლორიდაში ვიყიდე. ლონდონში გამომგზავრებამდე სულ რამდენიმე საათი რჩებოდა, როცა მე და სერენამ ბაზრობაზე შევიარეთ. იქ მხოლოდ ხელთათმანების შეძენა დამჭირდა.

პატრიკის ოჯახური

REUTERS ამსტერდამიდან

ეკრო 2000-ეული დეპრესიის დასაძლევად — პატრიკ კლუივერტმა ნახევარფინალიდან ჰოლანდიის გაძევების გამო სავარაუდოდ რომ განიცადა, საუკეთესო წამლად მას ქორწინება მიუჩნევია. აი, მარწყვივით გოგო (ფერით არა), ვინმე ანჯელა — ვისაც გვარი უეჭველად ექნება და ჩვენ ვერ შევიტყვეთ — როგორი ბედნიერი ჩანს სახელოვანი მეუღლის შეძენით და თავად პატრიკსაც სიამოვნება აშჩნევია მდიმარ სახეზე. პატარა ქუინსიც არ ჩანს დაბღვერილი: დედინაცვალი რიგიანი ვინმე უნდა იყოს.

REUTERS ამსტერდამიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეცდომა

REUTERS ბუენოს აირესიდან

ვაი, დედა, თავი!.. თავი გამიტეხეს... რას შვებით, ბიჭო, თქვენ?! ხელი გამიშვით და დასაჭერი დაიჭირეთ!.. ცუდი არაფერი მიფიქრია, ყველაფერს გეფიცებით, მარტო ჩემს „ოქროს ბიჭებს“ მინდა ჩავეხუტო, ჰოდა, გამიშვით ახლა...

„რივერ პლეიტის“ ქომაგი: „რივერ პლეიტი“ არგენტინის ჩემპიონი გახდა.

ზეიმის ნიშნით



REUTERS ბერლინიდან

გერმანია 2006 წლის ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელია. ამ ამბავმა გაახარა მიხაელ შუმახერი და „ფორმულა 1“-ის პილოტმა მთელი არმია ჩამოარეკინა სამშობლოში, სადაც 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონთა ნაკრები უკვე სათამაშოდ გამოწყობილიყო. შუმი ჯერ კაიზერს მიეახლა და მრავალი იცინეს, შემდეგ კი მწვანე მინდორი და სალაღობო თამაში პილოტებსა და ვეტერანებს შორის. ფეხბურთის ყოჩაღად მოთამაშე შუმი რომელიღაც დახვეწილი მანევრის ჩვენებისასაა აღბეჭდილი. პიერ ლიტბარსკი ამ ამბავს მოწონებით უჭვრეტს.

სირცხვილი და ვაჟკაცობა

პირზე დუყმომდგარი და გაცოფებული ხარის, აგრეთვე უძნელესად გასახედნი ცხენის ზურგზე ნებით შეხტომა შერეკილობის ნაირსახეობა გვგონია, თუმც კოვბოური კაცურკაცობის ამბავში დიდად საპატიო საქმედ ითვლება. ჩამოვარდნა კი სირცხვილივით რაღაც უნდა იყოს და კალგარის როდეოს მაყურებელთაგან ორიოდეს ვინძლო ქირქილიც აღმოხდეს, მაგრამ არა „სარბიელს“: ჩვენი ჭკუით, მთავარი ვაჟკაცობა შეხტომაშია, ჩამოვარდნას კი რა ვუყოთ, ამგვარებიც ხდება. და კიდევ უფრო მთავარი — პოლ ვინბერგერი (ხარის მსხვერპლი) და დილან კალამი (ცხენისა) უვნებლად დარჩნენ.



REUTERS კალგარიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge